შპს-ის წილი, თავისი იურიდიული ბუნებით, საკუთრების უფლების ობიექტია.<sup>4</sup> იგი, სანივთო სამართლებრივი გაგებით, წარმოადგენს ქონებას,<sup>5</sup> რომელიც იყოფა ნივთებად და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთედ. შპს-ის წილი სწორედ ამ უკანასკნელს განეკუთვნება. სამოქალაქო კოდექსი არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს განმარტავს, როგორც იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეეძინას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება, მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.<sup>6</sup> შპს-ის წილი უფლებრივ კატეგორიაში შედის და არ განიხილება, როგორც მოთხოვნა. ამიტომაც წილზე საკუთრების უფლების გადაცემა ექვემდებარება უფლებაზე საკუთრებისა და მსგავსი უფლების გადაცემის წესს.<sup>7</sup>

2 მიგრიაული, რ. (2021). სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: შპს „სეზანი“, გვ. 176.

3 ლილუაშვილი, გ. (2005). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: ჯისიაი. გვ. 212; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, 2001 წ., #1, გვ. 5.

4 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 30-ე მუხლი პირდაპირ მიუთითებს, რომ წილი წარმოადგენს საკუთრების ობიექტს.

5 გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან.

6 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლი.

7 ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ. (2019). შეზღუდული პასუხისმგებლობის

1 იხ. ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ. (2019). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 126.

შპს-ის წილის მფლობელის სტატუსი პარტნიორს ანიჭებს რიგ ძირითად უფლებებს, რომელთაგანაც ქონებრივი ხასიათის უფლებებია (1) საზოგადოების მოგებაში მონაწილეობის მიღების უფლება, (2) სალიკვიდაციო ამონაგების მიღების უფლება, (3) უფლება, საზოგადოებიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, მიიღოს შესაბამისი კომპანსაცია,<sup>8</sup> (4) პარტნიორთა გადაწყვეტილებით კაპიტალის შემცირების შემთხვევაში, შემცირებული კაპიტალის მიღების უფლება. არაქონებრივი ხასიათის უფლებებს განეკუთვნება (1) საზოგადოების მართვაში მონაწილეობის მიღების უფლება და (2) ინფორმაციის მიღების უფლება.<sup>9</sup>

პარტნიორის საკუთრების უფლება წილზე აბსტრაქტული სიკეთეა. წილის უკან უნდა იდგეს გარკვეული ქონება, რათა მას ეკონომიკური ღირებულება შესძინოს.<sup>10</sup> ეკონომიკური თვალსაზრისით, პარტნიორის წილი არის საზოგადოების კაპიტალის პროპორციული ნაწილი (მათ შორის ის, რაც პარტნიორმა შპს-ში წილის სანაცვლოდ შენატანის სახით გაიღო). იურიდიული თვალსაზრისით, შპს-ის ქონების მესაკუთრე არის თავად შპს და პარტნიორთა მიერ მისი განკარგვა ხორციელდება არაპირდაპირ, შპს-ის მართვის გზით. ამრიგად, წილი სამართლებრივად უნდა გავიგოთ, როგორც საზოგადოებაში მონაწილეობის უფლების ნაირსახეობა და არა როგორც შპს-ის კაპიტალის ნაწილზე უფლება.

შპს-ის წილი არის სამოქალაქო ბრუნვის ობიექტი, რომელსაც არ გააჩნია მატერიალური განსახიერება და წარმოადგენს საკუთრებისა და არაქონებრივი უფლებების ერთიან და განუყოფელ წყობას და აქვს გა-

რკვეული მნიშვნელობა, გამოხატული ნომინალური ღირებულებით.<sup>11</sup> შესაბამისად, შპს-ის წილი უნდა განვიხილოთ, როგორც შპს-ის პარტნიორის სუბიექტური უფლება (წევრობის უფლება), რომელიც თავისი შინაარსით როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ელემენტების მატარებელია.

შპს სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა. ამიტომ უნდა მივიჩნიოთ, რომ შპს-ის წილი ასევე შპს-ის რეგისტრაციის მომენტიდან წარმოიშობა. წილზე საკუთრების უფლება დასტურდება სამეწარმეო რეესტრის ამონაწერში პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ შესაბამისი ჩანაწერით. საყურას-ლებოა, რომ ამონაწერით მხოლოდ პარტნიორის შპს-ში წევრობა დასტურდება და იგი არაა ფასიანი ქალაქი.<sup>12</sup>

## 1.2. შპს-ის პარტნიორის უფლებამოსილება

შპს-ის წილზე საკუთრების უფლების მიღება შპს-ის პარტნიორს ავტომატურად აღჭურავს შესაბამისი უფლებამოსილებით, რომელშიც იგულისხმება შპს-ის პარტნიორის უფლება-მოვალეობათა მთელი სისტემა. ამ უფლებებსა და მოვალეობებს შეიძლება გააჩნდეთ განსხვავებული საფუძველი და ბუნება.

შპს-ის პარტნიორის უფლება-მოვალეობები შეიძლება არსებობდნენ კანონიდან ან შპს-ის წესდებიდან გამომდინარე. ისინი შეიძლება ჰქონდეს ყველა პარტნიორს თანაბრად ან მათი მატარებელი შეიძლება იყოს კონკრეტული პარტნიორი ან პარტნიორები. დღეისათვის საქართველოს კანონმდებლობა ძალიან ბოგადი მოწესრიგებით შემოიფარგლება, რაც შპს-ის პარტნიორებს აძლევს თავისუფლებას, წესდებით გა-

საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 11-20.

8 მიგრაული, რ. (2021). სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: შპს „სეზანი“, გვ. 180.

9 იქვე, გვ. 179.

10 ზუბიტაშვილი, ნ. (2014). პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. წიგნში ბურდული, ი. (რედ.). საკორპორაციო სამართლის კრებული II (გვ. 133-196), თბილისი: მედიანი, გვ. 184.

11 Илюшина, М. Н. (2015). Сделки с долями в уставном капитале общества с ограниченной ответственностью, учебное пособие. (2-е изд.). Москва: РПА Минюста России, с. 18.

12 ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 272.

აფართოვონ პარტნიორის კანონისმიერ უფლებამოსილებათა ფარგლები.

შპს-ის პარტნიორის უფლებების კლასიფიცირება, როგორც აღინიშნა, შესაძლებელია ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებად.

შპს-ის პარტნიორთა ყველაზე მნიშვნელოვანი ქონებრივი უფლებებია დივიდენდის მიღების უფლება.<sup>13</sup> დივიდენდის მიღების უფლებისაგან განსხვავდება მისი მოთხოვნის უფლება. პირველი წარმოიშობა პარტნიორად გახდომის მომენტიდან, ხოლო მეორე – პარტნიორთა მიერ მოგების განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.<sup>14</sup> დივიდენდის გაცემის საფუძველია შპს-ში მოგების არსებობა და პარტნიორთა გადაწყვეტილება პარტნიორებზე დივიდენდის გაცემის შესახებ.<sup>15</sup> ამ ორივე წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, დაუშვებელია პარტნიორს უარი ეთქვას განაწილებული მოგების დივიდენდის სახით გაცემის მოთხოვნაზე.<sup>16</sup>

პარტნიორის სტატუსის მისი გასვლის ან გარიცხვით შეწყვეტისა და შესაბამისი წილის დაკარგვის შემთხვევაში, შეიძლება წარმოიშვას წილის ღირებულების კომპენსაციის უფლება. თუმცა კომპენსაციის მიღების უფლება არ წარმოშობს საზოგადოების ვალდებულებას, წილის კომპენსაციის სახით პარტნიორს დაუბრუნოს მის მიერ განხორციელებული შენატანი.<sup>17</sup> მოქმედი კანონისაგან განსხვავებით, კანონპროექტით დგინდება, რომ პარტნიორის გასვლის შემთხვევაში, გამსვლელი პარტნიორის წილის ღირებულებას განსაზღვრავენ

მხარეები ან მხარეთა მიერ შეთანხმებული ან სასამართლოს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.<sup>18</sup> პარტნიორის გარიცხვის დროს კი წილის ანაზღაურება უნდა მოხდეს „სამართლიანი ფასით“.<sup>19</sup>

შპს-ის პარტნიორებს შეუძლიათ მიიღონ საწესდებო კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილება (მათ შორის დამატებითი შენატანის უკან დაბრუნების გადაწყვეტილებაც<sup>20</sup>). საწესდებო კაპიტალის შემცირების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, თუ პარტნიორები სხვაგვარად არ შეთანხმებულან, მათ უფლება აქვთ მიიღონ შემცირებული კაპიტალის შესაბამისი წილი.

შპს-ის პარტნიორთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქონებრივი უფლებებია სალიკვიდაციო ამონაგების მიღების უფლება. ამ უფლებით გათვალისწინებულია ლიკვიდირებული შპს-ის კრედიტორთა მოთხოვნების დაფარვის შემდეგ დარჩენილი ქონების განაწილება პარტნიორთა შორის, მათი წილების შესაბამისად.<sup>21</sup>

შპს-ის პარტნიორის მართვისა და კონტროლის უფლებებში იგულისხმება პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის უფლება, პარტნიორთა კრებაში მონაწილეობის უფლება, პარტნიორთა კრებაზე გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობის (ხმის) უფლება, ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობისა და მიღების უფლება.

შპს-ის პარტნიორს, ზოგადად, აქვს მმართველობითი უფლებამოსილება, რომელსაც ის საერთო კრების მეშვეობით ახორციელებს.<sup>22</sup> შპს-ის პარტნიორებს მაქსიმალური დისკრეცია გააჩნიათ თვით პარტნიორთა კრების კომპეტენციის განსაზღვრის კუთხით, ვინაიდან ისინი წესდებაში თავად განსაზღვრავენ პარტნიორთა

13 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 ივნისის გადაწყვეტილება №ას-1328-1170-2010.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება №ას-75-408-09.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება №ას-1063-1018-2014.

17 ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 282.

18 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 146-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

19 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 145-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

20 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-91 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

21 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის მე-5 პუნქტი.

22 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

კრების კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებს.<sup>23</sup> კანონპროექტით, 5%-იანი წილის მფლობელ პარტნიორებს ასევე აქვთ პარტნიორთა კრების მოწვევის უფლება.<sup>24</sup>

შპს-ის პარტნიორს აქვს საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და შპს-ში არსებული დოკუმენტაციის გაცნობის უფლება.<sup>25</sup> „მეწარმეთა შესახებ“ კანონი შპს-ის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე პარტნიორის უფლების იმ მინიმალურ სტანდარტს ადგენს, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია პარტნიორთა შეთანხმების არსებობის შემთხვევაშიც კი.<sup>26</sup> აღნიშნული ნორმა ამავდროულად ავალდებულებს პარტნიორს, ინფორმირებული იყოს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რათა თავიდან აცილებულ იქნას საზოგადოებისთვის საზიანო გადაწყვეტილებების მიღება.<sup>27</sup>

შპს-ის პარტნიორის მოვალეობებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საწესდებო კაპიტალში შენატანის შეტანის ვალდებულება. ტერმინი „საწესდებო კაპიტალი“ აღნიშნავს პარტნიორთა მიერ შეთანხმებით დადგენილი კაპიტალის რაოდენობას, სხვაგვარად კი – თავდაპირველ ან ნაჩვენებ კაპიტალს.<sup>28</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი „მეწარმეთა შესახებ“ კანონში აღარ გვხვდება და სანაცვლოდ გამოყენებულია

ტერმინი „კაპიტალი“.<sup>29</sup> შენატანები საზოგადოების კაპიტალის ფორმირების მნიშვნელოვანი მექანიზმია. მას, განსაკუთრებით კი – საწესდებო კაპიტალს, ასევე კრედიტორთა დაცვის ფუნქციაც აკისრია და განიხილება როგორც „დაცულ საგარანტიო ფონდად“.<sup>30</sup> შენატანის შეუტანლობის შემთხვევაში, პარტნიორი კარგავს თავის წილს საზოგადოებაში.<sup>31</sup>

შპს-ს პარტნიორს, როგორც მრავალმხრივი გარიგების მხარეს, აქვს კეთილსინდისიერების მოვალეობა.<sup>32</sup> შპს, გარკვეულწილად, ვალდებულებით სამართლებრივ კატეგორიად განიხილება და სამართალურთიერთობის სახეს ატარებს.<sup>33</sup> შპს-ის პარტნიორთა შორის, აგრეთვე, თავად შპს-სა და მის პარტნიორთა შორის არსებობს სახელშერკულებო ურთიერთობა, რომლის საფუძველსაც მათ მიერ დადებული გარიგება (წესდება) წარმოადგენს.<sup>34</sup> ზოგადად, კეთილსინდისიერება კერძო სამართლის უნივერსალური შეფასებითი კატეგორიაა.<sup>35</sup> თუმცა კეთილსინდისიერების

23 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტი; „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 38-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

24 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 130-ე მუხლი.

25 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 3 მუხლის მე-10 პუნქტი და 46-ე მუხლის მე-4 პუნქტი; ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება №ას-243-228-2014.

26 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება №ას-31-28-2015.

27 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 29 იანვრის გადაწყვეტილება №1/1/543,4.

28 მახარობლიშვილი, გ. (2014). სააქციო საზოგადოების ძირითადი სტრუქტურული ელემენტები. წიგნში ბურდული, ი. (რედ.). საკორპორაციო სამართლის კრებული II (გვ. 55-129), თბილისი: მერიდიანი, გვ.104-105; შედ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 69-ე მუხლი მე-6 პუნქტი.

29 მიგრიაული, რ. (2021). სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: შპს „სეზანი“, გვ. 87.

30 ზუბიტაშვილი, ნ. (2014). პარტნიორის გარიცხვა შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. წიგნში ბურდული, ი. (რედ.). საკორპორაციო სამართლის კრებული II (გვ. 133-196), თბილისი: მერიდიანი, გვ. 146.

31 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტი.

32 ბურდული, ი. და ჩიტაშვილი, ნ. (2020). მნიშვნელოვანი საფუძველით პარტნიორის გარიცხვა შემზღვეული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 9, 1-14, გვ. 12.

33 ბურდული, ი. (2012). ერთგულების მოვალეობა, როგორც უმრავლესობისა და უმცირესობის ქმედების მასშტაბი საკორპორაციო სამართალში, გერმანული სამართლის მაგალითზე. მართლმსაჯულება და კანონი, 4(35), 51-63, გვ. 51.

34 მიგრიაული, რ. (2020). ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ქცევის სტანდარტი საზოგადოებათა სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე). შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 11, 20-25, გვ. 20.

35 ჭანტურია, ლ. (2017). მუხლი 8. კერძო სამართლის სუბიექტები. წიგნში ჭანტურია, ლ. (რედ.) სამოქალაქო კოდექსის კომენტარი,

ერთიანი დეფინიციის ქართულ სამართალში არ გვხვდება.<sup>36</sup> იგი გამოიყენება, როგორც ზოგადი დათქმა, ზოგადი ვალდებულება და, მაშასადამე, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი. ამ პრინციპიდან გამომდინარეობენ ქცევის იმპერატიული წესები, რომლებიც უპირობოდ უნდა იყოს დაცული.<sup>37</sup>

შპს-ის პარტნიორებს ეკისრებათ ფიდუციური მოვალეობები, რომლებიც მოიცავენ ერთგულებისა და გულმოდგინების (ზრუნვის) მოვალეობებს.<sup>38</sup> პარტნიორის გულმოდგინების (ზრუნვის) მოვალეობა გულისხმობს პარტნიორის მოვალეობას, არ ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება ან უხეში გაუფრთხილებლობა საზოგადოების წინააღმდეგ.<sup>39</sup> პარტნიორის ერთგულების მოვალეობა – ესაა საზოგადოების საუკეთესო ინტერესისადმი პირადი ინტერესის დაქვემდებარება, უფრო კონკრეტულად კი პარტნიორს ეკრძალება საზოგადოების, მის ინტერესების, ქონებისა და პარტნიორთა საერთო ინტერესის საზიანო ქმედება.<sup>40</sup> ერთგულების მოვალეობა თავის თავში მოიცავს ანგარიშვა-

ლდებულების, საკუთარ თავთან გარიგების დადების აკრძალვის, კონკურენციის აკრძალვისა და ინფორმაციის სრულად გამჟღავნების მოვალეობებს.<sup>41</sup>

აშშ-ში, ფიდუციური მოვალეობები ვრცელდება Limited Liability Company (LLC)-ის<sup>42</sup> წევრებსა და ხელმძღვანელებზეც. აღნიშნული მოვალეობები მოიცავს ერთგულებისა და გულმოდგინების მოვალეობას.<sup>43</sup> გარდა ამისა, მათი საქმიანობა ექვემდებარება ასევე კეთილსინდისიერებისა და „სამართლიანი ქმედების“ (obligation of good faith and fair dealing) ზოგად მოვალეობას.<sup>44</sup> თუმცა პრობლემატურია LLC-ის არახელმძღვანელი წევრების (non-manager LLC members) ფიდუციური მოვალეობების სტატუსი. არსებობს მოსაზრება, რომ მათზე არ ვრცელდება ფიდუციური მოვალეობები და მხოლოდ კეთილსინდისიერებისა და „სამართლიანი ქმედების“ ზოგადი მოვალეობა ეკისრებათ. აშშ-ის ზოგიერთი სასამართლო კი მიიჩნევს, რომ ყველა პარტნიორზე თანაბრად უნდა გავრცელდეს ფიდუციური მოვალეობები. ამასთან, წესდებით შეიძლება შეიზღუდოს ფიდუციური მოვალეობები, მაგრამ მათი გაქარწყლება დაუშვებელია.<sup>45</sup>

გერმანიაში, ერთგულების მოვალეობა (Treupflicht), ზოგადად, ავალდებულებს პარტნიორებს თავიანთი ქმედებით ზიანი არ მიაყენონ და გაითვალისწინონ საზოგადოებისა და სხვა დანარჩენი პარტნიორის ინტერესები.<sup>46</sup> გერმანული სამართლის

წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები (გვ. 47-52). თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 50.

36 ვაშაკიძე, გ. (2007). კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქტია თუ მოქმედი სამართალი. ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1, 14-58, გვ. 38.

37 ხუნაშვილი, ნ. (2016). კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში. თბილისი: ბონა კაუზა, გვ. 91, გვ. 49.

38 ბურდული, ი. და ჩიტაშვილი, ნ. (2020). მნიშვნელოვანი საფუძვლით პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 9, 1-14, გვ. 13.

39 ზუბიტაშვილი, ნ. (2014). პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. წიგნში ბურდული, ი. (რედ.). საკორპორაციო სამართლის კრებული II (გვ. 133-196), თბილისი: მერიდიანი, გვ. 155.

40 ბურდული, ი. და ჩიტაშვილი, ნ. (2020). მნიშვნელოვანი საფუძვლით პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 9, 1-14, გვ. 13.

41 ზუბიტაშვილი, ნ. (2014). პარტნიორის გარიცხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებიდან. წიგნში ბურდული, ი. (რედ.). საკორპორაციო სამართლის კრებული II (გვ. 133-196), თბილისი: მერიდიანი, გვ. 155-156.

42 ქართულად – შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია.

43 ULLCA Sec. 409.

44 Gartenberg, E. and King, T. (2003). Fiduciary Duties in Partnerships and Limited Liability Companies under California Law. California Business Law Practitioner, 93-104, p. 102-103.

45 იქვე.

46 შეფერი, კ. (2019). სამართლის საწყისები: საზოგადოებათა სამართალი (მთარგ. მიგრიაული, რ.). (მე-5 გამოცემა). თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. (ორიგინალი ნაშ-



თანახმად, საცილოა უმრავლესობით მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც არაპროპორციულად ჩაერევა მინორიტარი პარტნიორების წევრობაში.<sup>47</sup> ამდენად, ერთგულების მოვალეობა მიმართულია პარტნიორთა უმცირესობის ინტერესების დასაცავად. გერმანული იურიდიული ლიტერატურის თანახმად, პარტნიორის ერთგულების მოვალეობა მოიცავს მოქმედების, ქმედებისაგან თავის შეკავების, თმენისა და თანხმობის გაცემის მოვალეობებს.<sup>48</sup> ის შეიძლება ასევე მოიცავდეს GmbH-ს პარტნიორებისათვის კონკურენციის აკრძალვას, ზიანის მიყენების აკრძალვიდან გამომდინარე.<sup>49</sup>

გერმანიაში, ზემოთ ჩამოთვლილი მოვალეობების გარდა, GmbH-ს პარტნიორს ასევე ეკისრება ვალაუვალობის განცხადების წარდგენის მოვალეობა. კერძოდ, თუ საზოგადოება გადახდისუუნარო ან ზედვალაუვალია, და როდესაც საზოგადოებაში არ არსებობს ფუნქციონარიანი წარმომადგენლობითი ორგანო (რაც განმარტებულია InsO-ს § 10-ის მე-2 აბზაცში), პარტნიორებს ეკისრებათ ვალდებულება წარადგინონ ვალაუვალობის განცხადება.<sup>50</sup>

პარტნიორის უფლებამოსილება, ძირითადად, მისი წილის ოდენობის პროპორციულია. სწორედ მისი წილობრივი მონაწილეობის პროცენტის შესაბამისად განისაზღვრება დივიდენდის მიღება, კრებაზე ხმის უფლება, კრების მოწვევის მოთხოვნის უფლება.<sup>51</sup> თუმცა წესდებით

შეიძლება ზოგიერთ წილს (პარტნიორს) მიეკუთვნოს უპირატესი უფლებები, როგორც ამ წილის თანდაყოლილი უფლებები (ე. წ. „პრივილეგირებული წილები“). კანონით პარტნიორებს ეძლევათ უფლება, წესდების საფუძველზე შეცვალონ გადაწყვეტილების მიღების სტანდარტი, კერძოდ, პარტნიორთა ხმის უფლებასა და წილის მოცულობას შორის წარმოშვან დისბალანსი, მაგრამ ეს კონკრეტულად უნდა აისახოს წესდებაში.<sup>52</sup>

### 1.3. შპს-ის პარტნიორობის სუბიექტები

შპს-ის წილიდან გამომდინარე შპს-ს პარტნიორის უფლებამოსილების რეალიზების წინაპირობა, როგორც აღინიშნა, პარტნიორის სამართლებრივი სტატუსია, რომლითაც ხასიათდება პარტნიორის სამართლებრივი მდგომარეობა, მისი სამართლებრივი მიმართება სხვა პარტნიორებთან, შპს-სთან, შპს-ის ხელმძღვანელობასთან და მესამე პირებთან.

პარტნიორი არის შპს-ის წევრი (მონაწილე), რომელსაც აქვს კანონმდებლობითა და შპს-ის წესდებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები საზოგადოების მიმართ.<sup>53</sup> კანონპროექტი ადგენს პარტნიორის ზოგად საკანონმდებლო დეფინიციას, რომლის თანახმადაც, პარტნიორი არის პირი, რომელიც სამეწარმეო საზოგადოების წილის მესაკუთრეა.<sup>54</sup> შესაბამისად, შემოთავაზებული ფორმულირებით, პარტნიორის სტატუსი დაკავშირებულია საზო-

რომი გამოიცა 2018 წელს), გვ. 462-464, §36, ვნ. 23.

47 იქვე.  
 48 მიგრიული, რ. (2020). ერთგულების მოვალეობა, როგორც პარტნიორის ქცევის სტანდარტი საზოგადოებათა სამართალში (გერმანული სამართლის მაგალითზე). შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 11, 20-25, გვ. 22.  
 49 შეფერი, კ. (2019). სამართლის საწყისები: საზოგადოებათა სამართალი (მთარგ. მიგრიული, რ.). (მე-5 გამოცემა). თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. (ორიგინალი ნაშრომი გამოიცა 2018 წელს), გვ. 462-464, §36, ვნ. 23.  
 50 იქვე, გვ. 462, ვნ. 22.  
 51 ლილუაშვილი, გ. (2005). შებენიური პასუხის-

მგებლობის საზოგადოება (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: ჯისიი. გვ. 212.  
 52 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 სექტემბრის განჩინება №2ბ/2643-12; თოდუა, უ. (2019). მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი სასამართლო გადაწყვეტილებებში. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 173.  
 53 ნინიძე, თ. და ჭანტურია ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 20.  
 54 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი.

გადოების წილზე საკუთრების უფლების ფლობასთან.

პარტნიორის სტატუსი შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ ფიზიკურ პირს. ამ შემთხვევაში, პარტნიორი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მიუხედავად მისი მოქალაქეობისა, სქესისა, ასაკისა და ა. შ.<sup>55</sup> მათ შორის პარტნიორის სტატუსის მატარებელი შეიძლება იყოს არასრულწლოვანი პირი, რომლის წევრობიდან გამომდინარე უფლებებსა და მოვალეობებს, სრული ქმედუნარიანობის დადგომამდე, ახორციელებენ მისი კანონიერი წარმომადგენლები.

შპს-ს პარტნიორი შეიძლება იყოს იურიდიული პირიც. ამასთან, ვინაიდან ა(ა)იპ-ის და სსიპ-ის უფლებაუნარიანობა სპეციალურია და მათ შეუძლიათ მხოლოდ იმ საქმიანობის განხორციელება, რაც გათვალისწინებულია მათი სადამფუძნებლო დოკუმენტაციით ან კანონით,<sup>56</sup> მათ შეუძლიათ მიიღონ პარტნიორის სტატუსი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ნებადართულია მათი წესდებით ან კანონით. ამის გარდა, სახელმწიფო, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი,<sup>57</sup> შეიძლება იყოს შპს-ს პარტნიორის სტატუსის მატარებელი. ა(ა)იპ-ის მიმართ გამოიყენება ზოგადი უფლებაუნარიანობის პრინციპი და, შესაბამისად, მას შეუძლია სპეციალური ნებართვის გარეშე მიიღოს პარტნიორის სტატუსი შპს-ში,<sup>58</sup> თუ მოცემული მას აკრძალული არ აქვს სადამფუძნებლო დოკუმენტაციით.

შპს-ის პარტნიორის სტატუსით არ გვევლინება სამართალწარმონაქმნი, რომელიც არაა იურიდიული პირი, მაგალითად,

55 ნინიძე, თ. და ჭანტურია ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 21.

56 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლი.

57 ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 24.

58 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 25-ე მუხლის მე-2 ნაწილი; ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 23.

ამხანაგობა და არარეგისტრირებული კავშირი.<sup>59</sup> ამის მიზეზი ისაა, რომ მათ არ აქვთ ორგანიზციული მოწყობის ფორმა და ისინი სამართალეებრივ ურთიერთობებში გამოდიან მათი წევრების მეშვეობით. ამის გარდა, მათი შექმნა შესაძლებელია ზეპირი სახით, რითაც რთულდება მათი წევრებისა და წევრთა უფლება-მოვალეობების იდენტიფიცირება.<sup>60</sup>

## 2. შპს-ის პარტნიორის სტატუსის მიღება

შპს-ის პარტნიორის სტატუსის მიღება ხდება შპს-ის წილზე საკუთრების უფლების მოპოვებით, რაც შესაძლებელია მოხდეს ორი ძირითადი გზით: (1) შპს-ის წილის თავდაპირველი შექმნით, რომელიც შეიძლება განხორციელდეს შპს-ის დაფუძნების პროცესში მონაწილეობით, როგორც დამფუძნებელი პარტნიორი ან შპს-ის კაპიტალის გაზრდისას წილის შექმნით ან შპს-ის დაფუძნების შემდეგ, გაზრდილი კაპიტალის შესაბამისი წილის ახალი პარტნიორისათვის დათმობით;<sup>61</sup> (2) შპს-ის წილის შემდგომი მიღებით, კერძოდ, მემკვიდრეობით მიღების, გარიგებით-სამართალეებრივ საფუძველზე წილის შექმნითა და რეორგანიზაციის საფუძველზე,<sup>62</sup> ასევე მეუღლეთა საერთო ქონებაში შემავალი წილის დაყოფით.<sup>63</sup>

59 მიგრიაული, რ. (2021). სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: შპს „სეზანი“, გვ. 56.

60 იქვე, გვ. 57.

61 ბურდული, ი. (2019). სამეწარმეო საზოგადოებაში წილის კეთილსინდისიერად მოპოვება. შედარებითი სამართლის ქართულ-გერმანული ჟურნალი, 2, 11-36, გვ. 26.

62 იქვე.

63 Тихонов, В., В. (2016). Доля ООО как объект совместного имущества супругов. <http://lexandbusiness.ru/view-article.php?id=7949>; წილის დაყოფასთან დაკავშირებით იხ. ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 275.

## 2. 1. წილის თავდაპირველი შექმნა

შპს-ის მომავალი პარტნიორი – დამფუძნებელი – საზოგადოების დაფუძნების პროცესის არსებითი შემადგენელი ნაწილია. დამფუძნებელი შპს-ის წესდებაზე, როგორც სადამფუძნებლო დოკუმენტზე ხელმოწერით აფიქსირებს ნებას, ჩამოაყალიბოს სამეწარმეო საზოგადოება და მისი მონაწილეობით განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა. დამფუძნებლად მონაწილეობა და მისი მხრიდან შენატანის განხორციელების ვალდებულების აღება ავტომატურად განაპირობებს მის მიერ სამომავლოდ შპს-ის წილის და, შესაბამისად, პარტნიორის სტატუსის მოპოვებას. ამდენად, შპს-ის დამფუძნებლებს, „ჩვეულებრივი“ პარტნიორებისგან განსხვავებით, აქვთ დამატებითი უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე აქვთ სოლიდარული პასუხისმგებლობა შპს-ის დაფუძნებასთან დაკავშირებულ და სამეწარმეო რეესტრში მის რეგისტრაციამდე წარმოშობილ ვალდებულებებზე.

შპს-ის რეგისტრაციამდე მის დამფუძნებლებს, შპს-ის წესდების მიღებით, ეკისრებათ ვალდებულება, კომპანია წინარე საზოგადოებიდან სრულფასოვან, უფლებაუნარიან და ქმედუნარიან სამეწარმეო საზოგადოებად ჩამოაყალიბონ, რაც მისი სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციით სრულდება. აღნიშნული გულისხმობს სარეგისტრაციო წინაპირობების დაკმაყოფილებას და, ასევე, წესდებით შეთანხმებული შენატანების განხორციელებასა და შპს-ის მმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბებას.<sup>64</sup> წინარე საზოგადოებას შეუძლია დადოს გარიგებები.<sup>65</sup> მისი კრედიტორების წინაშე დამფუძნებლები პასუხს აგებენ პერსონალურად, როგორც სოლიდარული მოვალეები, მთელი თავიანთი ქონებით,

პირდაპირ და უშუალოდ.<sup>66</sup> წინარე საზოგადოების სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ, მისი სახელით განხორციელებული მოქმედებიდან წარმოშობილი ვალდებულებისთვის პასუხისმგებლობა გადადის რეგისტრირებულ სამეწარმეო სუბიექტზე.<sup>67</sup>

გერმანიაში საზოგადოება იურიდიულ უფლებაუნარიანობას იძენს საზოგადოების წესდების სათანადოდ ხელმოწერის და მოქმედებს არამართო დამფუძნებელთა შორის ურთიერთობებზე, არამედ მესამე პირებთან ურთიერთობაშიც. ამდენად, საზოგადოების სახელით მესამე პირებთან დადებული გარიგებები ავტომატურად საზოგადოების ვალდებულებად მიიჩნევა და არ არის დამოკიდებული მის მოწონებაზე.<sup>68</sup>

აშშ-ში LLC-ის დაფუძნების პროცესი სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ ფორმალური წინაპირობების კონტროლს ექვემდებარება, ამიტომ სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში ასახულია კომპანიის ფორმალური წინაპირობების დაკმაყოფილებისთვის საჭირო რამდენიმე მნიშვნელოვანი მონაცემი, მათ შორის, ინფორმაცია LLC-ის დამფუძნებლის შესახებ. თუმცა, აშშ-ში დამფუძნებლად ყოფნა ყოველთვის არ ნიშნავს რეგისტრაციის შემდეგ კომპანიის პარტნიორის სტატუსის მიღებას. აშშ-ში მიღებული პრაქტიკაა იურიდიული ფირმისათვის რეგისტრაციისთვის საჭირო მოქმედებების განხორციელების მინდობა, ანუ კომპანიის მომავალი პარტნიორი მიმართავს კონკრეტულ იურიდიულ ფირმას საზოგადოების დაფუძნებისათვის საჭირო იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებისა და კომპანიის რეგისტრაციისთვის სახელმწიფოსთან ურთიერთობის წარმართვის

64 ბაქაქური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ. და ჯუღელი გ. (2019). საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 56.

65 იქვე.

66 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

67 იქვე.

68 ბაქაქური ნ., გელტერი მ., ცერცვაძე ლ. და ჯუღელი გ. (2019). საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისთვის. თბილისი: გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გვ. 57.

მოთხოვნით.<sup>69</sup> მაშასადამე, LLC-ის დამფუძნებელი (incorporator) შეიძლება იყოს იურიდიული ფირმა ან მისი თანამშრომელი, რომელიც არ წარმოადგენს LLC-ის მომავალ პარტნიორს. დამფუძნებელი ფორმალურად ქმნის LLC-ის, ამიტომაც აშშ-ში დამფუძნებლები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ სტატუსს ატარებენ.<sup>70</sup>

კაპიტალის გაზრდის დროს წილის შეძენას ადგილი აქვს ძირითადად მაშინ, როცა საწესდებო კაპიტალი საკმარისი არ არის შპს-ის მიზნების მისაღწევად და პარტნიორები საერთო კრებაზე იღებენ გადაწყვეტილებას კაპიტალის გაზრდაზე. შპს-ის პარტნიორებს უფლება აქვთ თავიანთი წილების პროპორციულად მიიღონ მონაწილეობა კაპიტალის გაზრდაში, პარტნიორთა საერთო კრების მიერ დადგენილ ვადაში კაპიტალში შესაბამისი შენატანების სრული ოდენობით განხორციელებით. რომელიმე პარტნიორის მიერ აღნიშნული უფლების სრულად ან ნაწილობრივ გამოუყენებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კაპიტალის გაზრდის შემდეგ პარტნიორთა წილების ახალი თანაფარდობა წარმოიშვას.<sup>71</sup>

გერმანიაში, GmbH-ის კაპიტალის გაზრდისათვის, პარტნიორებმა გადაწყვეტილება უნდა მიიღონ არამართო თავად კაპიტალის გაზრდის შესახებ,<sup>72</sup> არამედ განსაზღვრონ ასევე იმ პირთა წრე, ვინც დაშვებულია კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით.<sup>73</sup> ახალი წილების მისაღებად, ამჟამინდელ პარტნიორებთან ერთად დაშვებულ უნდა იქნან ახალი პარტნიორე-

ბიც.<sup>74</sup> პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, კაპიტალის გაზრდის შედეგად წილის მიმღებებმა უნდა გააფორმონ წილის მიღების შესახებ ხელშეკრულებები, რომლითაც ისინი კისრულობენ ახალი შენატანის შეტანის ვალდებულებასა და სხვა GmbH-ის პარტნიორობასთან დაკავშირებულ მოვალეობებს.<sup>75</sup>

## 2.2. წილის შემდგომი შექცევა

პარტნიორის სტატუსის მოპოვება, როგორც აღინიშნა, შესაძლებელია უკვე არსებული შპს-ის წილის შექცენითაც. წილის შემდგომი შექცევა შეიძლება მოხდეს ნასყიდობის, ჩუქების, მემკვიდრეობის ან მეუღლეთა თანასაკუთრების საფუძველზე.

შპს-ის წილის ნასყიდობა და ჩუქება ფორმდება გარიგებითი სამართლებრივი აქტით, რომელზეც ვრცელდება გარიგების ნამდვილობის მომწესრიგებელი სამოქალაქო კოდექსის ნორმები. ხელშეკრულება იდება წერილობით. მართალია, კანონმდებლობით მისი სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, მაგრამ მხარეების მიერ ხელშეკრულების დასამოწმებლად ნოტარიუსისთვის მიმართვა მიღებული პრაქტიკაა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „პარტნიორის წილის (მიმოქცევადი უფლება) შემქცნზე საკუთრების უფლებით გადასვლისათვის აუცილებელია პარტნიორებს შორის ნამდვილი შეთანხმება ანუ ურთიერთმფარავი ნების არსებობა და ამ უფლების კანონით დადგენილი წესით რეესტრში რეგისტრაცია“.<sup>76</sup> წილზე უფლების გადასვლა უნდა დარეგისტრირდეს სამენა-

69 ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ. (2019). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 110-111.

70 იქვე, გვ. 113.

71 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის 46-ე მუხლის მე-21 პუნქტი.

72 GmbHG § 53.

73 შეფერი, კ. (2019). სამართლის საწყისები: საზოგადოებათა სამართალი (მთარგ. მიგრიაული, რ.). (მე-5 გამოცემა). თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. (ორიგინალი ნაშრომი გამოიცა 2018 წელს), გვ. 433-434, §35, ვნ. 57.

74 GmbHG § 55-ის Abs. 2.

75 შეფერი, კ. (2019). სამართლის საწყისები: საზოგადოებათა სამართალი (მთარგ. მიგრიაული, რ.). (მე-5 გამოცემა). თბილისი: სსიპ საქართველოს ნოტარიუსთა პალატა. (ორიგინალი ნაშრომი გამოიცა 2018 წელს), გვ. 433-434, §35, ვნ. 57.

76 საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 02 მარტის გადაწყვეტილება №აბ-664-635-2016.

რმეო რეესტრში, რათა პარტნიორი ჩაითვალოს წილის კანონიერ მესაკუთრედ.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა განამტკიცებს წილთა თავისუფალი გასხვისების პრინციპს, თუმცა, წილის გარიგებითი სამართლებრივი გზით შეძენის დროს, შემძენმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, ხომ არ არსებობს წილის გასხვისების შეზღუდვები. ასეთი შეზღუდვები შეიძლება იყოს, მაგალითად, დანარჩენი პარტნიორების მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება, თანხმობა წილის გასხვისებაზე და შპს-ის წესდებით გათვალისწინებული სხვა შეზღუდვები.

შპს-ის წილის გასხვისების შეზღუდვა შეიძლება გამომდინარეობდეს წილზე მეულღეთა თანასაკუთრებიდან.<sup>77</sup> მეულღეთა საერთო საკუთრებაში, სხვა ქონებასთან ერთად, შეიძლება იყოს შპს-ში ერთ-ერთი მეუღლის წილიც, რომელიც შეძენილია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში.<sup>78</sup> თუ ერთ-ერთი მეუღლე შპს-ის პარტნიორია და წილი შეძენილია რეგისტრირებული ქორწინების განმავლობაში, ამ წილის გასხვისება მას შეუძლია მხოლოდ მეორე მეუღლის თანხმობით.<sup>79</sup> „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის თანახმად, მეუღლეები გამოდიან როგორც თანაპარტნიორები, ხოლო პარტნიორის უფლებამოსილებას (წილის მართვას) განახორციელებს ერთობლივად არჩეული მესამე პირი ან ერთ-ერთი მეუღლე.<sup>80</sup>

შპს-ის წილის მიღება შესაძლებელია ასევე მემკვიდრეობის გზით. ამ შემთხვევაში, დამატებით მოქმედებს მემკვიდრეობითი სამართალის ნორმები. გარდაცვლილი პარტნიორის (მამკვიდრებლის) წილი, როგორც არამატერიალური ქონებრივი

სიკეთე, კანონისმიერი ან ანდერძისმიერი მემკვიდრეობის საფუძველზე, სრული მოცულობით გადადის მის მემკვიდრე(ებ)ზე.<sup>81</sup> მემკვიდრეები შპს-ის პარტნიორებად მიიჩნევიან მხოლოდ სამეწარმეო რეესტრში მათი, როგორც შპს-ის პარტნიორის რეგისტრაციის მომენტიდან და არა სამკვიდროს ფაქტობრივად მიღებიდან.<sup>82</sup>

მემკვიდრეების მიერ პარტნიორის სტატუსის მიღების საკითხები წესრიგდება საზოგადოების წესდებაში, სადაც გამოხატული უნდა იყოს მამკვიდრებლის ნება მემკვიდრეების პარტნიორობის თაობაზე. მაგალითად, მხოლოდ კონკრეტული მემკვიდრე ან მემკვიდრეები შეიძლება გახდნენ პარტნიორები. რამდენიმე მემკვიდრის შემთხვევაში კი ერთ-ერთი მემკვიდრის, როგორც მემკვიდრეთა ჯგუფის წარმომადგენლმა განახორციელოს პარტნიორის უფლებები.<sup>83</sup> ამასთან, წესდებაში დაუშვებელია იმის მითითება, რომ გარდაცვლილი პარტნიორის წილის მიღება და, შესაბამისად, საზოგადოების წევრობა, შესაძლებელია მხოლოდ ანდერძისმიერი მემკვიდრის მიერ, რადგან სამოქალაქო კოდექსი ადგენს კანონისმიერ მემკვიდრეთა უფლებას, მიიღონ სავალდებულო წილი, რაც მათ თანაბრად ანიჭებს საზოგადოებაში პარტნიორობის უფლებას.<sup>84</sup>

შპს-ის წილი შეიძლება მიღებულ იქნეს მისი რეორგანიზაციის შედეგად. რეორგანიზაციის დროს ხდება როგორც ვალდებულებათა გადასვლის, ასევე რეორგანიზებულ იურიდიულ პირზე ქონებრივი და არაქონებრივი ხასიათის უფლებების გადაცემის (მათ შორის წილზე უფლებების)

77 ნინიძე, თ. და ჭანტურია, ლ. (2002). მეწარმეთა შესახებ კანონის კომენტარი. თბილისი: სამართალი, გვ. 273.  
78 სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.  
79 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, 2002 წ., #2, გვ. 225.  
80 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

81 ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მადრაძე, გ. (2019). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 120.  
82 იქვე.  
83 იქვე, გვ. 122.  
84 ლილუაშვილი, გ. (2005). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (თეორია და პრაქტიკა). თბილისი: ჯისიაი. გვ. 221; საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, 2003წ. #7, გვ. 1926.

საკითხის გადაწყვეტა.<sup>85</sup> რეორგანიზაცია შეიძლება გარდაქმნით, შერწყმით და გაყოფით.<sup>86</sup> თავის მხრივ, შერწყმა შესაძლებელია მიერთებითა და გაერთიანებით, ხოლო გაყოფა – დაყოფით ან გამოყოფით.<sup>87</sup> გარდაქმნის დროს არსებული შპს-ს უფლებამონაცვლე ხდება ახალი საზოგადოება. სხვა ფორმით რეორგანიზებული შპს-ს პარტნიორები კი დებენ შერწყმის (გაერთიანების ან მიერთების) ან გაყოფის (დაყოფის ან გამოყოფის) ხელშეკრულებას, სადაც დეტალურად უნდა გაიწეროს რეორგანიზაციის შემდეგ წილების გადახაწვების წესი.<sup>88</sup> ახალ წარმოშობილ საზოგადოებაში უნდა განისაზღვროს პარტნიორის სტატუსის მქონე პირები, მათი წილების გადახაწვები და უფლებამოსილების ფარგლები.<sup>89</sup>

### 2.3. შპს-ს პარტნიორობის პერიოდი

პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობის მქონეა საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რა პერიოდში აქვს პირს შპს-ის პარტნიორის სტატუსი.

მოქმედი „მეწარმეთა შესახებ“ კანონი არ შეიცავს სპეციალურ დათქმას პარტნიორის სტატუსის წარმოშობის ან შეწყვეტის მომენტის შესახებ, რის გამოც პრაქტიკაში შესაძლებელია წარმოიშვას გაურკვევლობა, მაგალითად, იმ შემთხვევებში: როდეს-

საც მომავალმა პარტნიორებმა დადეს შეთანხმება, მაგრამ შპს ჯერ არ დაურეგისტრირებიათ; როდესაც პარტნიორისგან სხვა პარტნიორმა ან მესამე პირმა ნოტარიალურად შეიძინა წილი, მაგრამ ჯერ არ დაურეგისტრირებია; როდესაც წილი გადადის მემკვიდრეობით, მაგრამ მემკვიდრე პარტნიორად არ დარეგისტრირებულა; როდესაც წილი მეუღლეთა თანასაკუთრებაა, მაგრამ მხოლოდ ერთ-ერთი მეუღლეა პარტნიორად რეგისტრირებული; როდესაც პარტნიორი გაირიცხა შპს-დან პარტნიორთა კრებაზე, მაგრამ დავის დასრულებამდე ჯერ კიდევ პარტნიორად არის რეგისტრირებული.

წილზე საკუთრების უფლების გადაცემა ძალაში შედის წილის ახალი პარტნიორის სახელზე მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციით,<sup>90</sup> ხოლო წილზე საკუთრების უფლების მიღება წარმოშობს პარტნიორის სტატუსს. ამიტომაც, უნდა ჩავთვალოთ, რომ პირი პარტნიორის სტატუსს იძენს სამეწარმეო რეესტრში წილზე საკუთრების უფლების რეგისტრაციიდან, ანუ მისი პარტნიორად აღრიცხვიდან.

სწორედ მსგავს მიდგომას ითვალისწინებს გერმანული სამართალი. მიუხედავად იმისა, თუ რა გზით მოიპოვებს პარტნიორი წილზე საკუთრების უფლებას, გერმანიის შპს-ის სამართალი GmbH-თან მიმართებაში პარტნიორად განიხილავს სავაჭრო რეესტრში წარდგენილ პარტნიორთა სიაში აღნიშნულ პირს.<sup>91</sup> აღნიშნული იმას ნიშნავს, რომ წილიდან გამომდინარე უფლებამოსილების რეალიზება პარტნიორს შეუძლია პარტნიორთა სიაში მისი ასახვისა და ამ განახლებული სიის სავაჭრო რეესტრში რეგისტრაციის და არა წილის შექმნის მომენტიდან.<sup>92</sup> ამ წესიდან გამონაკლისს წა-

85 Илюшина, М. Н. (2015). Сделки с долями в уставном капитале общества с ограниченной ответственностью, учебное пособие. (2-е изд.). Москва: РПА Минюста России, с. 19.

86 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-144 მუხლის 1-ლი პუნქტი; მიგრიაული, რ. (2021). სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: შპს „სეზანი“, გვ. 116.

87 იქვე; იხ. „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 61-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

88 მიგრიაული, რ. (2021). სამეწარმეო სამართლის მოკლე სახელმძღვანელო. თბილისი: შპს „სეზანი“, გვ. 124.

89 მიგრიაული, რ. (2018). სამეწარმეო საზოგადოების რეორგანიზაცია (სახელმძღვანელო მითითებები). თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 20.

90 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-51 მუხლის მე-51 პუნქტი; „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 143-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

91 GmbHG § 16 Abs. 1.

92 ბურდული, ი., მახარობლიშვილი, გ. და მალრაძე, გ. (2019). შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში: არსებული რეალობა და რეგულატორული დეფიციტი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 132.

რმოადგენს შემთხვევა, როდესაც ხდება პარტნიორის ტექნიკური ცვლილება (მაგალითად, როდესაც ქორწინების შედეგად პარტნიორის გვარი იცვლება), რომელიც არ იწვევს თავად პარტნიორის პიროვნების ცვლილებას. ასეთ შემთხვევაში, პარტნიორს შეუძლია გამოიყენოს თავისი წილიდან გამომდინარე უფლებამოსილება სავაჭრო რეესტრში ცვლილების რეგისტრაციამდეც.<sup>93</sup>

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, თუ რეგისტრაციამდე მენარმე სუბიექტის სახელით რაიმე მოქმედება შესრულდა, ამ მოქმედების შემსრულებლები და დამფუძნებლები აგებენ პასუხს კრედიტორების წინაშე.<sup>94</sup> ამდენად, უნდა დავასკვნათ, რომ საწარმოს შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით დარეგისტრირებამდე მის დამფუძნებლებს ეძლევათ შესაძლებლობა, ისარგებლონ პარტნიორის გარკვეული უფლებებით, თუმცა პარტნიორის ყველა უფლებამოსილება ვერ ჩაითვლება წარმოშობილად. მაგალითად, შპს-ის რეგისტრაციამდე შეუძლებელია მისი წილის გასხვისება, ვინაიდან, წინარე საზოგადოების პირობებში, ჯერ კიდევ არ არსებობს შპს-ს წილი.

მემკვიდრეობის შემთხვევაშიც მემკვიდრეს რეგისტრაციამდე გარკვეული უფლებები გააჩნია. მემკვიდრეობითი სამართლის თანახმად, მამკვიდრებლის გარდაცვალებისთანავე იხსნება სამკვიდრო,<sup>95</sup> ხოლო მემკვიდრეს ენიჭება უფლება, მართოს ეს სამკვიდრო.<sup>96</sup> შესაბამისად, მემკვიდრეს შეუძლია სამენარმეო რეესტრისთვის მიმართვა წილის მმართველად რეგისტრაციის მოთხოვნით, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღოს პარტნიორთა კრებაში და ისარგებლოს წილის მმართველის ყველა უფლებით. თუ მემკვიდრეს არ აქვს მართვის უფლება მიღებული, მემკვიდრის მიერ პარტნიორთა კრებაში მონაწილეო-

ბაზე ნებართვის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს შპს-ის დარჩენილმა (მოქმედმა) პარტნიორებმა.

პარტნიორის მიერ თავისი სტატუსის შპს-იდან გასვლით ან გარიცხვით დაკარგვის შემთხვევებში, მოქმედი კანონით პასუხგაუცემელია კითხვა, პარტნიორთა კრებაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან სამენარმეო რეესტრში გასვლის ან გარიცხვის რეგისტრაციამდე გასულ ან გარიცხულ პარტნიორს აქვს თუ არა პარტნიორის სტატუსი. მითითებული ზოგადი წესის თანახმად, თუ გასვლა და გარიცხვა ხდება სასამართლო დავის გარეშე, პარტნიორი თავის სტატუსს კარგავს სამენარმეო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის მომენტიდან. იმ შემთხვევაში კი, როდესაც პარტნიორის გარიცხვა ხდება სასამართლო გადაწყვეტილებით, პარტნიორი გარიცხულად ითვლება სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მომენტიდან.<sup>97</sup> ამასთან, სასამართლოში დავის მიმდინარეობის დროს, დავის დასრულებამდე, საზოგადოების მოთხოვნის საფუძველზე პარტნიორს შეიძლება შეუჩერდეს ხმის ან სხვა არაქონებრივი უფლებები.<sup>98</sup> თუმცა პარტნიორს არ უნდა შეუჩერდეს ქონებრივი უფლებები.

93 იქვე, გვ. 133.

94 „მეწარმეთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი.

95 სამოქალაქო კოდექსის 1319-ე მუხლი.

96 სამოქალაქო კოდექსის 1421-ე მუხლი.

97 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 145-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

98 „მეწარმეთა შესახებ“ კანონპროექტის 145-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

## გაუპატიურების პარადიგმა: მოდალადე უცხო პირი vs მებრძოლი მსხვერპლი

### თამარ გეგელია

*სამართლის დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის  
აფილირებული ასოცირებული პროფესორი,  
ბერნის უნივერსიტეტის პოსტსადოქტორო მკვლევარი*

საკვანძო სიტყვები: გაუპატიურება, თანხმობა,  
დისკრიმინაცია

### შესავალი

გაუპატიურება მკვლევლობის მსგავსად ოდითგანვე ისტე-  
ბოდა, თუმცა მისი საზღვრები და შინაარსი, რამდენადაც მე-  
ტადაა პოლიტიკურად დეტერმინირებული, მრავალჯერ გახდა  
გადახედვის და კრიტიკის საგანი.<sup>1</sup> ძველ პერიოდში ქალის ხმა  
საჯარო სივრცეში საერთოდ არ ისმოდა, ქალი არ განიხილე-  
ბოდა სამართლის სუბიექტად. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ  
იმ ეპოქაში, სადაც სახელმწიფოს პოლიტიკური დღის წესრი-  
გი ქალისთვის არ იცლიდა, ეს სამართალზეც აისახებოდა.  
გაუპატიურების დეფინიციის მოდერნიზება და საზღვრების  
გადახედვა დასავლურ ცივილიზაციაში გასული საუკუნის 80-  
იანი წლებიდან დაიწყო, რაშიც ლომის წილი ფემინისტებმა,  
კონკრეტულად კი მეორე ტალღის ფემინიზმმა შეიტანა აქტი-  
ვიზმითა და აკადემიური ნაშრომების შექმნით.<sup>2</sup> გაუპატიურე-

1 Conaghan, J. (2019). The Essence of Rape, Oxford Journal of Legal Studies, vol. 39(1), 182.

2 ისტორიის ანალიზისთვის იხ. Gruber, A. (2013). Neofeminism, Houston Law Review, vol. 50, 1335-1343; Gruber, A. (2012). A Neo-Feminist Assessment of Rape and Domestic Violence Law Reform, Journal of Gender, Race & Justice, vol. 15(3), 588-589; Baker, K.K. & Oberman, M. (2016). Women's Sexual Agency and the Law of Rape in the 21st Century, Studies in L., Politics & Soc'y, vol. 69, 69.



ბის დეფინიციბ, მართალია, მრავალმხრივ შეიცვალა, მაგრამ სრულად მაინც არაა შეცვლილი და ეს პროცესი ძალიან ნელი ტემპით გრძელდება ამერიკაშიც და ზოგადად, მთელ მსოფლიოში. ცვლილებებს შორის ყველაზე მთავარი გაუპატიურებისგან დაცული ინდივიდუალური სიკეთის მნიშვნელობაა<sup>3</sup> – ადამიანის სექსუალური თავისუფლება.<sup>4</sup> მნიშვნელოვანი ცვლილებაა ასევე ცოლის გაუპატიურებისგან ქმრის დამცავი იმუნიტეტის გაუქმება, რომელიც 90-იან წლებამდე მოქმედებდა ამერიკასა და ევროპის ბევრ ქვეყანაში.<sup>5</sup> აღსანიშნავია, რომ ქმრის იმუნიტეტი ფორმალურად არ ყოფილა აღიარებული გასული საუკუნის ქართულ კანონმდებლობაშიც კი, თუმცა მაშინაც და ახლაც, გაუპატიურება როგორც ოჯახში ძალადობის ფორმა, ფაქტობრივად დაუსჯელია.<sup>6</sup> გაუპატიურების რეკონცეფტუალიზაციის რეფორმებს მსოფლიოში დღესაც ფემინისტები უდგანან სათავეში.<sup>7</sup> ახალი პროტესტი რომე-

ლმაც გაუპატიურების კულტურის<sup>8</sup> წინააღმდეგ 2017 წლის ოქტომბერში იფეთქა, #MeToo მოძრაობა იყო, რომელმაც ბევრი ცვლილება მოიტანა სექსუალური შევიწროვებისა თუ ზოგადად სქესობრივი დანაშაულების ხელახალი გააზრებისთვის. ბევრ ქალს დღეს აღარ რცხვენია სოციალური სტიგმის, როდესაც ძალდობრივ გამოცდილებაზე საუბრობს და რაზეც საუბრობს, აღარ ფასდება, როგორც რაღაც „შემთხვევითობა“ ან „გამონაკლისი“.<sup>9</sup> დღეს ქალებს მეტად უსმენენ და ენდობიან, რაც ამ მოძრაობის დამსახურებაცაა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს პოზიტიური ძვრები, რაზეც ზემოთ გამხვილდა ყურადღება, საქართველოს სინამდვილეზე ჯერჯერობით არ ასახულა მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჯერ კიდევ 1994 წელს რატიფიცირდა 1979 წლის გაეროს კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხოლო ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (სტამბოლის კონვენცია) 2017 წელს გახდა საქართველოს საკანონმდებლო სისტემის ნაწილი.<sup>10</sup> მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ვალდებულებების ძალით, სსკ-ით გათვალისწინებული სქესობრივი დანაშაულები (მუხლ. 137-141) შეიცვალა,<sup>11</sup> მთავარი ჯერ

3 გაუპატიურებისგან დაცულ სიკეთედ მეცნიერების ნაწილი ქალის სექსუალურ ავტონომიასთან ერთად სხვა ქალთა, როგორც კოლექტიური ჯგუფის, ინტერესს მიიჩნევს. ანალიზისთვის იხ. Whisnant, R.(2009). Feminist Perspectives on Rape, Philosophy Faculty Publications, paper 86, 17-18.

4 იქვე. 3.

5 იქვე. 3; Munro, V. (2014). Sexual Autonomy. In Dubber, M. D. & Hörnle, T. (eds), The Oxford Handbook of Criminal Law, Online Publication, 750.

6 დეკანოსიძე, თ., ჩიხლაძე, ნ., ხარატიშვილი, გ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (ევროპის საბჭო 2020), 22. ფაქტობრივად დაუსჯელობის მაღალი სტატისტიკაა სხვა ქვეყნებშიც. მაგალითად, ინგლისი იხ. Munro, V. მითითებული წიგნი, სქოლ. 5, 757.

7 ანალიზისთვის იხ. Green, P. S. (2020). Criminalizing Sex, A Unified Liberal Theory, New York: Oxford University Press, 49; Bladini, M. & Andersson, W.S. (2020). Swedish Rape Legislation from Use of Force to Voluntariness – Critical Reflections from an Everyday Life Perspective, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 96-97; Jacobsen, J. & Skilbrei, M. (2020). Reforming the Rape Offence in Norwegian Criminal Law, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 91-92; Bragadottir, R. (2020). Legislation on the offence of rape in Icelandic criminal law, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 55-56.

8 ტერმინის განმარტებისთვის იხ. საფარი, გაუპატიურების კულტურა <https://sapari.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/> 14.6.2021

9 Mackinnon, C. A. (2019). Butterfly Politics, Changing the World for Women, Cambridge and London: Harvard University Press, xi, xiii

10 ამ და სხვა საერთაშორისო აქტის ანალიზისთვის იხ. ჯიშკარიანი, ბ. (2020). თავი 1. საერთაშორისო აქტები და ქართული კანონმდებლობა სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით – ზოგადი მიმოხილვა წიგნში გეგელია, თ., კელენჯერიძე ი., ჯიშკარიანი ბ., სქესობრივი დანაშაულები, თბილისი: იურისტების სამყარო, 11-16.

11 2017 წელს სსკ-ში სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით შეტანილი ცვლილებების ანა-

ისევ შესაცვლელი რჩება – გაუპატიურების დაფუძნება თანხმობის არარსებობაზე<sup>12</sup> და გენდერული სტერეოტიპებით განსაზღვრული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება, კვლავ დიდი პრობლემაა.

ერთ-ერთი ბოლო საკანონმდებლო ცვლილებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ხანდაზმულობის ვადები შეიცვალა სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით. გაუპატიურებასთან მიმართებით, სადაც დაზარალებული არასრულწლოვანია, ხანდაზმულობის ვადა საერთოდ გაუქმდა, ხოლო სრულწლოვანებთან მიმართებით 20 წელი გახდა, თუ განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის არ არის. უკანასკნელთან მიმართებით, ზოგადი ნორმის მიხედვით, ხანდაზმულობის ვადა 30 წელია. ეს ცვლილებებიც საერთაშორისო სამართლის გავლენით მოხდა.<sup>13</sup> თუმცა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, მაშინაც, როცა დაზარალებული არასრულწოვანია, დანერგილი პრაქტიკით, პენეტრაციულ სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით მთავარი მტკიცებულება ექსპერტის დასკვნაა, რომლის სიზუსტე დამოკიდებულია ექსპერტიზის ჩატარებაზე პენეტრაციიდან ორკვირიან ვადაში, რადგან სხვის სხეულში პენისით შეღწევის ზუსტი დროის დადგენა მხოლოდ ამ პერიოდშია შესაძლებელი. ეს ქართული მართლმსაჯულების ის მანკიერებაა, რაც ადამიანის უფლებათა დაცვის მონიტორინგის არაერთ ანგარიშშია გაკ-

რიტიკებული.<sup>14</sup> მაგალითად, სიღნაღის რაიონული სასამართლოს განაჩენით პირი გამართლდა გაუპატიურების ბრალდებაში.<sup>15</sup> მან 14 წლის გოგონა მოიტაცა ცოლად მოყვანის მიზნით, მრავალჯერ გააუპატიურა, შემდეგ ორი კვირა სახლში ჰყავდა გამოკეტილი. როდესაც გაუშვა, გოგონამ პოლიციას შეატყობინა, მაგრამ ექსპერტის დასკვნით შეუძლებელი აღმოჩნდა იმის დადგენა, შეღწევა ნამდვილად ბრალდებულმა ჩაიდინა თუ სხვამ. სასამართლომ სხვა მტკიცებულებები აღარ იკმარა გამამტყუნებელი განაჩენისთვის.<sup>16</sup> ასეთი პრაქტიკა აძალიერებს მოძალადე კულტურას და დაუცველს ტოვებს ძალადობის მსხვერპლს. აღნიშნული პრაქტიკის ფონზე ზემოთ ხსენებული ცვლილება ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით სსკ-ის მორიგი დეკორაციაა.

გენდერული ძალაუფლების ასიმეტრიულობა განსაკუთრებული სიმძლავრით აისახა სქესობრივ დანაშაულებზე. სწორედ ამიტომაც, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ძალადობა ქალის მიმართ, მათ შორის სქესობრივი დანაშაულები, განიხილება როგორც გენდერული უთანასწორობის შედეგი.<sup>17</sup>

მიუხედავად ცვლილებებისა, გაუპატიურების დეფინიცია დღემდე ირეკლავს შუასაუკუნეობრივ ხედვას ამ დანაშაულის მიმართ. იმ პერიოდში გაუპატიურებისგან რელიგიური და მორალური ინტერესები იყო დაცული და არ მსხვერპლის სექსუალური ავტონომია,<sup>18</sup> ეს ინტერესი საერთოდ

12 ლიზისთვის იხ. გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მიითითებული წიგნი, სქოლ. 10, 24. გაუპატიურების შემადგენლობის სტამბოლის კონვენციასთან შესაბამისობაში მოყვანა საქართველოს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში გამართულ სესიაზეც შეახსენეს. იხ. Human Rights Council Working Group on the Universal Periodic Review Thirty-seventh session Geneva, 18–29 January 2021, 6.201.

13 იხ. სტამბოლის კონვენციის 58-ე მუხლი და მისი განმარტებითი ბარათი. Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series – No. 210. Art. 58.

14 მაგალითად იხ. დეკანოსიძე, თ., ჩიხლაძე, ნ., ხარატიშვილი, გ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (ევროპის საბჭო 2020), 25 (89-ე სქოლიო) და 29.

15 სიღნაღის რაიონული სასამართლოს #1/67-14 განაჩენი, 26.11.2014

16 იქვე. გვ. 25.

17 დეკანოსიძე, თ., ჩიხლაძე, ნ., ხარატიშვილი, გ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (ევროპის საბჭო 2020), 17.

18 Hörnle, T. (2018). #MeToo-Implications for Criminal Law? Bergen Journl Law and Criminal Justice, vol. 6(2), 126.

არ არსებობდა მაშინ, ამიტომ სწორი შენიშვნაა, რომ სამართლებრივი სიკეთის შეცვლასთან ერთად, გაუპატიურების მოდიფიცირების საჭიროებაც გახდა აუცილებელი, რადგან ადამიანის თავისუფალ ნებას და არჩევანს მეტი ქმედება ზღუდავს, ვიდრე ძალადობით განსაზღვრული გაუპატიურება მოიცავდა.<sup>19</sup> ცვლილების მოწინააღმდეგეების შენიშვნას, რომ გაუპატიურების ძველი მოდელი, რომელიც ძალადობასთან ერთად მუქარას და უმწეობას მოიცავს ალტერნატიულ ელემენტად, საკმარისია და გაფართოება საჭირო არაა, ჰორნლე პასუხობს, რომ გაუპატიურების არც ეს დეფინიციაა საკმარისი იმ მრავალფეროვან სოციალურ ურთიერთობასთან მიმართებით, რაშიც ადამიანებს უწევთ ცხოვრება,<sup>20</sup> ასევე, ისიც ფაქტია, რომ ქართველი მოსამართლეები ერიდებიან ნორმის დაშვებულ ფართო ინტერპრეტაციებს გაუპატიურებასთან მიმართებით.<sup>21</sup>

ძველ დროში გაუპატიურებისგან (რომლის მსხვერპლიც ქალი იყო) დაცული იყო არა დაზარალებულის ინტერესი, არამედ მამის ქონება და ოჯახის ღირსება, ხოლო დაქორწინებული ქალის გაუპატიურების

დროს შელახულ ინტერესად მიიჩნეოდა ქმრის ღირსება.<sup>22</sup> ქალების საუკუნეობრივ ჩაგვრას, მათ მარგინალიზებას და მეორეხარისხოვან ადამიანებად წარმოჩენას, რასაკვირველია, უკვალოდ არ ჩაუვლია, საზოგადოებაში მყარად გამჭდარი სტერეოტიპები ქალების მიმართ, რაც დღემდე დომინირებს, სწორედ იმ ძველი პერიოდის გამოძახილია, რომელიც ექოსავით გასდევს სისხლის სამართლის მართლმსაჯულებას თანამედროვე ეპოქაშიც კი.<sup>23</sup> ქალის მიმართ უნდობლობა, მისი როგორც „ექვიან“, „ისტერიულ“ და „შურისმაძიებელ“ ადამიანად წარმოჩენა, სწორედ იმ ძველი ეპოქის ანარეკლია დღევანდელობაშიც. ქალის ჩვენება, რომ მასზე იძალადეს, იმ აბსოლუტური რწმენით ფასდება, რომ ის იტყუება, ერთადერთი მტკიცებულება, რაც ამ მყარ მოსაზრებას უკუაგდება, ეს ქალის დასახიჩრებული სხეულია. ქალმა სხეულზე დატოვებული ძალადობის კვალით უნდა დაამტკიცოს, რომ მასზე იძალადეს, მის თავისუფალ ნებას თავს დაესხნენ. გაუპატიურების მსხვერპლი ქალები პროკურორის ფუნქციას თავად ასრულებენ. გაუპატიურების გამოძიების არაეფექტურობას კულტურაც განაპირობებს, რომელიც სექსუალურ ძალადობას ამართლებს. ქართულ სინამდვილეში ჯერ ისევ ხდება გოგოს მოტაცება, მისი გაუპატიურება და შემდეგ ოჯახის შექმნა. ამ კრიმინალურ პრაქტიკას თავისი დარატები ჰყავს – მთელი საზოგადოება. საზოგადოება დაზარალებულს კიცხავს, თითქოს სწორედ მას ჩაედინოს რაღაც სამარცხვინო, რისი გამოსყიდვის ერთადერთი გზაც მოძალადესთან ქორწინებაზე გადის. სწორედ ასე აქორწინებს მსხვერპლსა და მოძალადეს გაუპატიურების კულტურა.

ამ კულტურის შედეგია ის, რაც 2021 წლის 9 თებერვალს მოხდა. 14 წლის ნინიმ თავი მოიკლა.<sup>24</sup> გოგონა. რომელიც გაუპა-

19 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 78-79; Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 126; Roffee, J. A. (2015). When Yes Actually Means Yes Confusing Messages and Criminalising Consent. In Powell, A., Henry, N. & Flynn, A. (eds), Rape Justice Beyond the Criminal Law, New York: Palgrave Macmillan, 73. ძალადობით განსაზღვრული გაუპატიურების დეფინიციის მხარდაჭმერი ამბროსოვის იხ. Rubenfeld, J. (2013). The Riddle of Rape by Deception and the Myth of Sexual Autonomy, Yale Law Journal, 122(6), 1372 – 1443.

20 Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 127.

21 აღსანიშნავია, რომ ქართული სასამართლო არ ერიდება ფართო ინტერპრეტაციებს სხვა დანაშაულების მიმართ. მაგალითად, თაღლითობის შემადგენლობის ფართო სამოსამართლო ინტერპრეტაციის ანალიზისთვის იხ. გეგელია, თ. (2018). Lex Praevia პრინციპის მიმართება სასამართლო ინტერპრეტაციასთან, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XII, 36. ნორმის სემანტიკური მნიშვნელობის საპირისპიროდ გაუპატიურების ფართო განმარტება არ მიიჩნია კანონიერების პრინციპის დარღვევად ევროპულმა სასამართლომ. იხ. SW and CR v United Kingdom 21 EHRR363. 1995.

22 Kaplan, M. (2017). Rape Beyond Crime, Duke Law Journal, vol. 66, 1055.

23 გენდერული დანაშაულების მკაცრი დასჯის კრიტიკისთვის იმ თვალსაზრისით, რომ ის დისკრიმინაციულია აშშ-ს პრაქტიკაში, იხ. Gruber, A. (2012), მითითებული სტატია, სქოლ. 2, 598, 604.

24 საქმის ირგვლივ დეტალური ინფორმაცი-

ტიურების სავარაუდო მსხვერპლი იყო, ზიზის და სიძულვილის კორიანტელში გაახვივა ყველაზე ახლოებულმა ადამიანებმაც კი, რომელთა მიმართაც, ალბათ ბუნებრივია, ყველაზე მეტი ნდობა და მოლოდინი ჰქონდა ბავშვს, რომ მას დაიცავდნენ. ნინის შემთხვევა გამონაკლისი არაა, ეს არც პირველია და სამწუხაროდ, არც უკანასკნელი იქნება, თუ არაფერი შეიცვალა. ცვლილებას კი მხოლოდ სისხლის სამართალი ვერ უზრუნველყოფს, ამისთვის სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება და განთლების რეფორმაა საჭირო.

გაუპატიურების გამოძიებისა და სასამართლო განხილვის პროცესში ასევე ფესვგამდგარია გენდერული სტერეოტიპები, რაც საქმის გონივრულად განჭვრეტას ხელს უშლის და, როგორც წესი, მოძალადის გამართლებით სრულდება. „უმანკობის“ სოციალური ნორმებით ქალის სექსუალური თავისუფლება კონტროლდება, მისი ნებისმიერი სახით „შებლაღვა“ ისევ ქალის ტვირთია. სწორი შენიშვნით, სწორედ უბიწოების ნორმებია, რომელიც ხელს უწყობს სექსუალური ძალადობის აყვავებას<sup>25</sup> და გაუპატიურების იმ არაყოვლისმომცველი საკანონმდებლო დეფინიციის შენარჩუნებას, რაც დღემდე ბევრ იურისდიქციაშია.

სწორედ ამ საკითხების განხილვა მოხდება წინამდებარე სტატიის მომდევნო თავებში.

## 1. გენდერთან დაკავშირებული მითები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში

გენდერული სტერეოტიპებისა და მითების საილუსტრაციოდ მნიშვნელოვანია რამდენიმე საქმის ციტირება ქართული სის-

ხლის სამართლის მართლმსაჯულებიდან.<sup>26</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენის<sup>27</sup> მიხედვით, პირი გამართლდა გაუპატიურების ბრალდებაში. მოსამართლე აქცენტს დაზარალებულის ნასვამ მდგომარეობაზე აკეთებს, და იმაზე, რომ ქალი უცხო მამაკაცს სახლში ეწვია, სადაც მართო იყვნენ.<sup>28</sup> მოსამართლის თქმით, „[...] დაზარალებულის ქცევა შესაძლოა მიმანიშნებელიც ყოფილიყო [ბრალდებულისთვის], რომ დაზარალებულს ჰქონდა მასთან ინტიმური ურთიერთობის სურვილი“. ამ საქმეში საყურადღებოა ის გარემოება, რომ დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენება ძირითადად ემთხვეოდა ფაქტობრივ გარემოებებს. დაზარალებულის ჩვენებით, ის ცემეს და ტანსაცმელი შემოახიეს. თუმცა მოსამართლემ ამ ფაქტების ბრალდებულის ინტერპრეტაცია დაიჭერა. ბრალდებულის ჩვენებით, სექსი ორმხრივი თანხმობით მოხდა, ის მაშინ გალახა, როდესაც გაიგო, რომ მას ფული მოჰპარა. სასამართლომ ორი ჩვენებიდან რატომღაც ბრალდებულის ჩვენება მიიჩნია სარწმუნოდ, მიუხედავად იმისა, რომ არავინ დაობდა – ქალი ნაცემი იყო. სისხლნაჟღენთები, რომელიც ლოგინის ზენრიდან იყო აღებული და ქალს ეკუთვნოდა, სასამართლოს თქმით არ იყო გამორიცხული, ნებაყოფლობით სქესობრივი კავშირის ბუ-

26 აღნიშნულის შესახებ მრავალი ფაქტია მითითებული 2020 წლის კვლევაში. იხ. დეკანოსიძე, თ., ჩიხლაძე, ნ., ხარატიშვილი, გ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (ევროპის საბჭო 2020), 34-38.

27 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი #2კ-413აპ.-17, 11.1.2018.

28 სქესობრივი დანაშაულების გამოძიების დროს გენდერული სტერეოტიპების გავლენებზე მოსაზრებისთვის იხ. Kaplan, M. მითითებული სტატია, სქოლ. 22, 1064; Halilović, M., Watson, C., Huhtanen, H. & Socquet-Juglard, M. Gender Bias in Cases of Rape, Attempted Rape, and Sexual Assault in Gender Bias and the Law: Legal Frameworks and Practice from Bosnia & Herzegovina and Beyond, Sarajevo: 2017, 80-88; Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. (2018). Rape Myths in the Criminal Justice System. In Milne E., Brennan K. & South N., Turton J. (eds) Women and the criminal Justice System, Berlin: Springer, 16-28.

ისთვის იხ. თარხნიშვილი, ნ., როცა სისტემა დუმს, ბავშვები ქრებიან, რადიო თავისუფლება, 12.2.2021 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31100186.html> 22.3.21

25 Gruber, A. (2012), მითითებული სტატია, სქოლ. 2, 607; Whisnant, R. მითითებული სტატია, სქოლ. 3, 17-18.

ნებრივად თანმხლები ყოფილიყო ან მაშინ მომხდარიყო, როცა ბრალდებულმა დაზარალებულს სახეში გაართყა ხელი. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გაუპატიურების ქართული მოდელისთვის ძალადობის კვალიც არაა საკმარისი, თუ ის ძალადობის მაღალ ხარისხს არ აღწევს.

ქართული მართლმსაჯულება მასკულიზირია, ამას ისიც ააშკარავებს, თუ როგორ განიმარტება გაუპატიურება პრაქტიკულად. გაუპატიურების დეფინიცია (მუხლ. 137) სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში სუბიექტის მხრიდან ფიზიკურ ძალადობით, ხოლო დაზარალებულისგან ძლიერი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობით განიმარტება. ფორმალურად გაუპატიურების ალტერნატიული ხერხია მუქარაც, თუმცა, მხოლოდ მუქარით ჩადენილი გაუპატიურების საქმეები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში არ მოიძებნა.<sup>29</sup> რაც შეეხება გაუპატიურების მესამე ალტერნატიულ ხერხს – დაზარალებულის უმწეო მდგომარეობა, ის ვიწროდ გაიგება და პრაქტიკაში არის შესაბამისი საქმეები.<sup>30</sup> ამდენად, გაუპატიურების დეფინიციაში, ქართული სამოსამართლო განმარტების მიხედვით, ნაგულისხმევია დაზარალებულის დავალდებულება იმაზე, თუ როგორ უნდა მოიქცეს თავდასხმის დროს. ის ქალს სექსუალური თავდასხმისას ავალდებულებს, თუნდაც სიცოცხლის ფასად შეებრძოლოს მოძალადეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიანი კვალიფიკაციის მიღმა დარჩება, სექსი კი ქალისთვის სასურველად შეფასდება. ეს რომ ასეა, ამაზე არაერთხელ დაიწერა სხვადასხვა კვლევაში რომელიც საქართველოში ჩატარებულა.<sup>31</sup> ხოლო, რუსთავის საქალაქო

სასამართლოს 2015 წლის განაჩენში კი ყველაზე დემონსტრაციულადაა არეკლილი გენდერის ნიშნით ჩაგვრითა და პატრიარქალური ცნობიერებით განსაზღვრული გაუპატიურების არსი. გადაწყვეტილების მიხედვით, ქმედება რომ გაუპატიურებად შეფასდეს „... ძალმომრეობა ქალის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ესე იგი ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მისი წინააღმდეგობის ფიზიკურად დაძლევიტ – შებოჭვით, ცემის, სხეულის დაზიანების და სხვა საშუალებით, რასაც ... [მოძალადის] მხრიდან [მსხვერპლის] მიმართ ჰქონდა ადგილი [...]. ქალის წინააღმდეგობა უნდა იყოს ნამდვილი და შეუპოვარი და არა მოჩვენებითი, თვალთმაქცური [...]“<sup>32</sup>

ამ და სხვა გადაწყვეტილებებში ჩანს ქართული სისხლის სამართლის ნამდვილი სული, რასაც არაფერი ეშველება იქამდე, სანამ პოლიციელის, პროკურორისა და მოსამართლის ცნობიერება არ შეიცვლება და სახელმწიფო ნება არ გაჩნდება, რომ კულტურული ცვლილებისთვის შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგას. ამისთვის ასევე საზოგადოების განათლება და მათთვის ცვლილების საჭიროების მრავალჯერ ახსნაა საჭირო, ასევე სექსუალური განათლების სკოლებში შეტანა. ყოველივე აღნიშნული კი ხელს შეუწყობს ქალთა გაძლიერებასა და სოციალური სტიგმის მოშლას, რაც გაუპატიურების მსხვერპლის მთავარი დაბრკოლებაა ხოლმე – ისაუბროს დანაშაულის შესახებ.<sup>33</sup> მხოლოდ სისხლის სა-

29 გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 33; აბაშიძე, ა., არგანაშვილი, ა., დეკანოსიძე, თ. და ნაცვლიშვილი, ა. სისხლის სამართლის გენდერული ანალიზი, თბილისი 2016, 43.  
30 ანალიზისთვის იხ. გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 38-39.  
31 მაგალითად იხ. აბაშიძე, ა., არგანაშვილი, ა., დეკანოსიძე, თ. და ნაცვლიშვილი, ა. მითითებული კვლევა, სქოლ. 29; დეკანოსიძე, თ., ჩიხ-

ლაძე, ნ. და ხარატიშვილი, გ., ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობის დანაშაულებზე მართლმსაჯულების განხორციელება საქართველოში (ევროპის საბჭო 2020).  
32 საქმე ციტირებულია: გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 21-22.  
33 Leary, M.G. (2016). Affirmatively Replacing Rape Culture with Consent Culture, Texas Tech Law Review, vol.49, 34-37. ე.წ. ნეო ფემინიზმს პატრიარქატის დასაძლევად ქალისთვის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება მიაჩნიათ მთავარ ძალად და არა შკაცრი სისხლის სამართალი. Gruber, A. (2012), მითითებული სტატია, სქოლ. 2, 613.

მართლის გამკაცრებით მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდება<sup>34</sup> თუმცა უკანასკნელიც მნიშვნელოვანი ბერკეტი იგივე კულტურული ცვლილებებისთვის.<sup>35</sup>

სისხლის სამართლის რეფორმით მოსალოდნელ კულტურულ ცვლილებებზე ბევრი ლაპარაკობს, მას საგანმანათლებლო ფუნქცია აქვს.<sup>36</sup> ასე იმუშავა თავის დროზე ნასვამ მდგომარეობაში მანქანის მართვის პრევენციისთვის პოლიტიკის გამკაცრებამ საქართველოში.<sup>37</sup> 2000-იანი წლების დასაწყისში სოციალური წესი იყო ნასვამ მდგომარეობაში საჭესთან ჯდომა. კანონის გამკაცრებასთან ერთად მოქალაქეებმა შეცვალეს ქცევა, რადგან კანონის მიზანი სამართლიანი იყო – ფატალური შემთხვევების მაღალი სტატისტიკის შემცირება და მოქალაქეების დაცვა. კანონი არა მხოლოდ ფორმალურად გამკაცრდა, არამედ პრაქტიკულადაც სანქციები აქტიურად გამოიყენებოდა ნორმის დამრღვევის მიმართ. გაუპატიურების თანხმობის არარსებობით განსაზღვრას კულტურის ცვლილება მოაქვს, ის ეუბნება სექსის მონაწილეებს, რომ მოუსმინონ ერთმანეთს და ისე დაიწყონ ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქმედება შეიძლება გაუპატიურებად შეფასდეს.

გაუპატიურების მსხვერპლი ქალი, გაუპატიურების არაეფექტური გამოძიების, არაადეკვატურად მკაცრი მტკიცებულებითი სტანდარტის, მის მიმართ საპოლიციო/საპროკურორო უნდობლობისა და მათი აგრესიული დილემანტიზმის, მოგვიანებით კი გაუპატიურების ვიწრო სამოსამართლო განმარტების გამო, დაზარალებუ-

ლი მეორეჯერ ხდება.<sup>38</sup>

ამდენად, როგორც ზემოთ აღინიშნა, იმისათვის, რომ გაუპატიურების შემადგენლობამ ყველა ის ქმედება მოიცვას, რაც სხვისი სექსუალური თავისუფლების ხელმყოფია, საკანონმდებლო ცვლილებასთან ერთად აუცილებელია პოლიციელების, ჯანდაცვაზე მზრუნველი ორგანოების, ექსპერტების, პროკურორებისა და მოსამართლეების ცნობიერების ამაღლება, მათი განგრძობადი განათლება.<sup>39</sup>

ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ქართველმა მეცნიერებმა, რომლებიც თავიანთი მრავალწლიანი პროფესიული საქმიანობით ავტორიტეტით სარგებლობენ აკადემიურ წრეებში და, ზოგადად, იურისტებში, დროებით გვერდზე გადადონ კვლევები სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის საკითხებიდან და დრო დაუთმონ გაუპატიურების რეკონცეპტუალიზაციას, რაც მთელი მსოფლიოს ყურადღების ქვეშაა დღეს.

დასავლეთის აკადემიურ ტექსტებში სექსობრივი დანაშაულების დეფინიციების გადახედვის პროცესი ჯერ კიდევ 80-იან წლებში დაიწყო, რაზეც უდიდესი გავლენა იქონია მეორე ტალღის ფემინისტთა ნაშრომებმა და აქტივიზმმა, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზეც, მოსამართლეებმა დაიწყეს გაუპატიურების დამფუძნებელი ელემენტების უფრო ფართო ინტერპრეტაციები, რის შესაძლებლობასაც კანონი იძლეოდა. გაუპატიურების ქართული მოდელიც შეიძლება უფრო ფართოდ განიმარტოს, მაგრამ სამწუხაროდ ამაზე ცოტა წერს და საუბრობს, მეტია საჭირო. სამართლის პროფესორთა მხრიდან თემისადმი მეტი მგრძობელობის გამოვლენა, თუნდაც სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნ-

34 Gruber, A. (2012), მითითებული სტატია, სქოლ. 2, 612. Munro, V. მითითებული წიგნი, სქოლ. 5, 753. ასევე იხ. Roffee, J. A. მითითებული წიგნი, სქოლ. 74.

35 Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 31; Buchhandler-Raphael, M. (2011). The Failure of Consent: Re-Conceptualizing Rape as Sexual Abuse of Power, Michigan Journal of Gender & Law, vol. 18, 181-182.

36 Tuerkheimer, D. (2015). Rape On and Off Campus, Emory Law Journal, vol. 65, 10-12.

37 აშშ-ს მაგალითზე მსგავსი შედარებისთვის იხ. Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 37-38.

38 Equality Now, დაბრკოლებები მართლმსაჯულებაში: რატომ ვერ იცავს ევრაზიის ქვეყნების კანონმდებლობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლებს, 2019, 19-20, 23, 26. ასევე იხ. გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 18.

39 Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. მითითებული წიგნი, სქოლ. 28, 33-34.

ნებით, ქართული აკადემიური სივრცე მნიშვნელოვნად გამდიდრდებოდა და მეტი შანსი იქნებოდა მოსამართლეების ყურადღების მისაპყრობად.

გაუპატიურების თანამედროვე გაგება, რომელიც გაუპატიურებას სექსზე თანხმობის არარსებობით განსაზღვრავს, ზემოთ აღნიშნული ძველი გაგებისგან დიამეტრულად განსხვავდება. ასეთი გაგება გამომდინარეობს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლიდან და ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებიდან (ევროპული სასამართლო).<sup>40</sup>

## 2. გაუპატიურებისგან დაცული სასამართლოებრივი ინტერესი

დღეს, იურისდიქციათა უმეტესობაში, მათ შორის საქართველოში, გაუპატიურებისგან დაცული ინტერესი ადამიანის სექსუალური ავტონომიაა, მისი უფლება – დაცული იყოს არასასურველი სექსუალური კავშირისგან.<sup>41</sup> არსებობს პოზიტიური და ნეგატიური სექსუალური თავისუფლება. გაუპატიურებისგან ნეგატიური თავისუფლებაა დაცული – პირის უფლება დაცული იყოს არასასურველი სექსუალური კავშირისგან.<sup>42</sup> სახელმწიფოს კონტროლი საჭი-

როა იმ თვალსაზრისით, რომ მან ზღვარი დაიცვას ქმედებათა კრიმინალიზებისას, რათა არ დაარღვიოს ადამიანის პოზიტიური სექსუალური თავისუფლება – უფლება, ჰქონდეს სექსი.<sup>43</sup> მორალის დანაშაულების კრიმინალიზებით სწორედ ეს უფლება იზღუდება, რაც დაუშვებელია.<sup>44</sup>

გაუპატიურების ზიანზე, დაზარალებულზე მის გრძელვადიან და დამანგრეველ ეფექტზე ყველა თანხმდება.<sup>45</sup> გაუპატიურების კრიმინალიზება სრულ შესაბამისობაშია მილისეული ზიანის პრინციპთან<sup>46</sup> რომლის თანახმადაც, „ერთადერთი მიზეზი, რითაც შეიძლება გამართლეს სახელმწიფოს მხრიდან ძალის გამოყენება ცივილიზებული სამყაროს ნებისმიერი წევრის მიმართ, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ეს ზიანისგან სხვისი დაცვაა“.<sup>47</sup>

## 3. საქსზე თანხმობის არარსებობა როგორც გაუპატიურების დამფუძნებელი ელემენტი

როდესაც ორ ადამიანს სექსი ორმხრივი თანხმობით აქვთ, სექსი ნორმალური ადამიანური ქცევაა, ხოლო როცა თანხმობა ორმხრივი არაა, მაშინ სექსი გაუპატიურებაა.<sup>48</sup>

თანხმობას ზოგი მეცნიერი მორალურად ტრანსფორმაციულს უწოდებს,<sup>49</sup> რაც

40 M.C. v Bulgaria, appl. no. 39272/98, 4.12.2003. ანალიზისთვის იხ. გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 23; Vestergaard, J. (2020). The Rape Law Revision in Denmark: Consent or Voluntariness as the key Criterion? Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 6-7. გაუპატიურება თანხმობის არ არსებობით უფრო ადრე განიმარტა საერთაშორისო სისხლის სამართალში. იხ. The prosecutor v Jean-Paul Akayesu, ICTR-96-4-T, 2.9.1998; Prosecutor v Kunarac, Kovač and Vuković, case no. IT-96-23, 22.1.2001.

41 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 20; Conaghan, J. მითითებული სტატია, სქოლ. 1, 172. გაუპატიურებისგან დაცულ სიკეთედ სექსუალურ ავტონომიასთან ერთად ასევე ადამიანის ღირსებაა მიჩნეული. იხ. Hörnle, T. (2018). Rape as Non – Consensual Sex. In Müller A. & Schaber, P. (eds.) The Routledge Handbook of the Ethics of Consent, London and New York: Routledge, 237.

42 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 21.

43 იქვე. 24.

44 იქვე.

45 Herman, J. (2015). Trauma and Recovery. The Aftermath of Violence-From Domestic Abuse to Political Terror, New York: Basic books, 51-51, 256-257; Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 31.

46 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 43.

47 Mill, J.S. (Edited 2001). On Liberty, Kitchener: Batoche Books, 13. ზიანის პრინციპის ანალიზისთვის იხ. გეგელია, თ. (2021). კარი 2 – ზიანის პრინციპი. წიგნში ბრაჭველი, ს., გეგელია თ., გელაშვილი, თ. და მელაძე, გ. სისხლის სამართლის მოქმედების ფარგლები (გამოქვეყნდება).

48 Baker, K.K. & Oberman, M. მითითებული სტატია, სქოლ. 2, 64.

49 Wertheimer, A. (2002). Consent and Sexual Relations. In Soble, A. (ed.) The Philosophy of Sex, Lanham: Rowman & Littlefield Publishers, 342.

იმას ნიშნავს, რომ სექსი თანხმობით დაშვებული ქცევაა, ხოლო თანხმობის არარსებობა მას გაუპატიურებად აქცევს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, დაცული იყოს არასასურველი სქესობრივი კავშირისგან, ეს უფლება სხვას ართმევს შესაძლებლობას, იმოქმედოს ამ უფლების მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ. აკადემიურ ტექსტებში გამოთქმული სწორი მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც, ვთქვათ, ვინმე ა. თავად ამბობს უარს უფლებაზე და, მაშასადამე, სქესობრივ აქტთან დაკავშირებით ბ-ს აძლევს თანხმობას, ეს ნიშნავს, ერთი მხრივ, თანხმობის მიმცემის უარს საკუთარ უფლებაზე, რომ დაცული იყოს სექსუალური შეხებისგან და, მეორე მხრივ, სხვა ადამიანისთვის, ვისაც თანხმობა მისცეს, ვალდებულების მოშლას, თავი შეიკავოს მსგავსი მოქმედებისგან.<sup>50</sup>

ურთიერთობაში, სადაც პირებმა ერთმანეთს თავისუფალი თანხმობა მისცეს, არც სექსუალური ავტონომიის სახელმწიფოსგან დაცვის ინტერესი არსებობს და, მაშასადამე, სახელმწიფომაც თავი უნდა შეიკავოს ჩარევისგან (ადამიანები ამას მოითხოვენ სახელმწიფოსგან<sup>51</sup>), წინააღმდეგ შემთხვევაში, დაარღვევს პირთა პოზიტიურ სექსუალურ თავისუფლებას.

იმისთვის, რომ თანხმობა ვალიდური იყოს, ის უნდა იყოს თავისუფალი და აგენტს შეცნობილი უნდა ჰქონდეს ქმედების არსი.<sup>52</sup>

ტრადიციულ ქართულ აკადემიურ ტექსტებში (და არა მხოლოდ ქართული) ყველა გაუპატიურების მაგალითი ქალზე უცხო კაცის თავდასხმასა და ფიზიკურად ცემას ეხება, სადაც ქალი მაქსიმალურად წევს წინააღმდეგობას. ქართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც ცხადყოფს, რომ გაუპატიურების სწორედ ასეთი პარადიგმაა მიღებული. მაშინ როცა სხვადასხვა ქვე-

ყანაში ჩატარებული კვლევები ცხადყოფს, რომ ქალი გაუპატიურების მსხვერპლი ხშირად სწორედ ნაცნობი მამაკაცისგან ხდება, რა დროსაც ფიზიკურ ძალაზე მეტად იძულების სხვა ფორმები გამოიყენება, რაც დაუსჯელი რჩება.<sup>53</sup> ხშირად ისე ხდება, რომ ქალის უარს სქესობრივ კავშირზე პარტნიორი კაცის მხრიდან რისხვა და სასტიკი ძალადობა მოჰყოლია, ამიტომ დაზარალებული, ფიზიკური ტკივილის თავიდან ასაცილებლად, ხშირად „თანამშრომლობს“ მოძალადესთან,<sup>54</sup> შეიძლება თავადვე გაუძღვეს საძინებელ ოთხამდე, რაც სექსზე თანხმობას არ ნიშნავს.

#### 4. თანხმობის მოდელები

თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული გაუპატიურების დეფინიციები განსხვავდება ერთმანეთისგან. ორ მოდელს განასხვავებენ, ესენია: „დიახ“ მოდელი (მხოლოდ დიახ ნიშნავს დიახს) და ე.წ. „ვეტო“ მოდელი („ვეტო“ ნიშნავს „არას“).

„დიახ“ მოდელისთვის<sup>55</sup> სექსი რომ გაუპატიურებად არ შეფასდეს, ამისთვის აუცილებელია წინასწარი კომუნიკაცია და მხარეების მხრიდან დასტური სექსზე.<sup>56</sup> ხოლო მეორე მოდელის („არა“ მოდელი)<sup>57</sup> თანახმად, ქმედება რომ გაუპატიურებად

50 Bergelson, V. (2014). The Meaning of Consent, Ohio State Journal of Criminal Law, vol. 12, 172; Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 25.

51 Bergelson, V. მითითებული სტატია, სქოლ. 50, 172.

52 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 28-29.

53 Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 31-32; Daly, K. Sexual Violence and Justice How and Why Context Matters. მითითებული წიგნი, სქოლ. 19, 36; Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. მითითებული წიგნი, სქოლ. 28, 17-18.

54 Tuerkheimer, D. (2016). Ohio State Journal of Criminal Law, vol. 13(2), 459-460; Daly, K. მითითებული წიგნი, სქოლ. 19, 47. მსგავსი ქართული საქმის ანალიზისთვის იხ. გეგელია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 36.

55 კრიტიკისთვის იხ. Soble, A. (2002). Antioch's "Sexual Offense Policy": A Philosophical Exploration. მითითებული წიგნი, სქოლ. 49, 330-335; Buchhandler-Raphael, M. მითითებული სტატია, სქოლ. 35, 158-159; Kaplan, M. მითითებული სტატია, სქოლ. 22, 1057-1058.

56 განმარტებისთვის იხ. Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 83-84.

57 კრიტიკისთვის იხ. Kaplan, M. მითითებული სტატია, სქოლ. 22, 1054; Buchhandler-Raphael, M. მითითებული სტატია, სქოლ. 35, 163-164.



შეფასდეს, პირის უარი უნდა იყოს სექსზე. შესაბამისად, ამ მოდელის მიხედვით, იქ, სადაც წინადადებას სექსზე ნეგატიურად არ პასუხობენ, გაუპატიურება ვერ იქნება.<sup>58</sup> „არა“ მოდელს აკრიტიკებენ, რომ ის ვერ ფარავს ისეთ სიტუაციებს, რა დროსაც დაზარალებულს არ ჰქონდა შესაძლებლობა, უარი ეთქვა სექსზე, მაგალითად, დამაშინებელი გარემოს დროს ან უმწეო მდგომარეობის კლასიკური შემთხვევების დროს. წმინდა „არა“ მოდელი არ არის აღიარებული არც ერთი იურისდიქციით. იმ სიტუაციებთან მიმართებით, რომელთაც უკანასკნელი ვერ ფარავს, „დიახ“ მოდელი გამოიყენება, ამდენად მას შერეულ მოდელს უწოდებენ (მაგ. გერმანია).

თანხმობის შესაფასებლად ბევრი მეცნიერი კონტექსტის მნიშვნელობაზე საუბრობს, იმაზე, თუ როგორ ურთიერთობაში არიან პირები, ერთმანეთთან როგორ კომუნიკაციობენ სექსთან დაკავშირებით.<sup>59</sup>

ჰორნლე იმ მეცნიერებს შორისაა, რომელიც თანხმობის არსებობის დადასტურებად არ კმარობს მხოლოდ ნაგულიხმევ თანხმობას, ის გარეგნულად უნდა იყოს გამოხატული, რაც სექსის მონაწილეებს თავიდან აარიდებს გაუგებრობას და შეცდომებს.<sup>60</sup> ამის გამო, ის ემხრობა გერმანულ მოდელს, რომლის ძირითადი ნაწილი „არა“ მოდელის ილუსტრაციაა,<sup>61</sup> ხოლო შემთხვევები, რასაც ის ვერ ფარავს, ნორმის სხვა ნაწილითაა გათვალისწინებული (შიშით გაქვავების შემთხვევა თუ სხვა, რა დროსაც დაზარალებული მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი არჩევანი გააკეთოს).<sup>62</sup> ამდენად, გერმანული მოდელი გაუპატიურებისა, რომელიც თანხმობის არარსებობას ემყარება, თანხმობის შერე-

ული მოდელია.<sup>63</sup> ჩვეულებრივ სიტუაციაში, რაც დაზარალებულისთვის დამაშინებელი არაა, დაზარალებულს „ევალება“<sup>64</sup> მკაფიოდ გამოხატოს, თუ მას არ სურს სექსი, ამისთვის ერთხელ „არას“ თქმაც საკმარისია (ვერბალური თუ სხვა სახით გამოხატული – ნუხილი, ტირილი ა.შ.).<sup>65</sup> ხოლო სიტუაციებში, სადაც კომუნიკაციის საშუალება უბრალოდ არ ჰქონდა (ძალიან სწრაფად მოხდა პენეტრაცია) ან დამაშინებელ გარემოში იყო, ან ტრადიციული გაგებით უმწეო მდგომარეობაში (გონება აქვს დაკარგული, ძინავს და ა.შ.), ამ შემთხვევებზე „დიახ“ მოდელის პირობები ვრცელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ თუკი პირისგან არ გაქვს თანხმობა – სექსი გაუპატიურებაა. უმწეობის გარკვეულ შემთხვევებში არც „დიახ“ არის საკამარისი. მაგალითად, მცირე ასაკის ბავშვის თანხმობის მიუხედავად მასთან სქესობრივი კავშირი per se გაუპატიურებაა. ჰორნლე სცენარში, სადაც პირი შემოთავაზებულ წინადადებაზე – ჰქონდეთ სექსი – მართალია, „არას“ არ ამბობს, ანუ ამ მხრივ პასიურია, თუმცა სხვა მისი მოქმედებები შეიძლება თანხმობაზე მიანიშნებდეს, რაც მეორე მხარისთვის შეცდომაში შემყვანი შეიძლება იყოს, ავტორის თქმით, ასეთ სცენარში სექსი ვერ გახდება პირის მსჯავ-

58 განმარტებისთვის იხ. Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 81-82.  
 59 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 28; Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 239; Wertheimer, A. მითითებული წიგნი, სქოლ. 49, 347.  
 60 Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 128.  
 61 იქვე. 129; Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 240.  
 62 Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 128; Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 240.

63 Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 131.  
 64 Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 239; Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 128; Buchhandler-Raphael, M. მითითებული სტატია, სქოლ. 35, 160. თანხმობის დეფინიციის, როგორც გაუპატიურების დამფუძნებელი ელემენტის, კრიტიკისთვის იხ. Mackinnon, C. A. მითითებული წიგნი, სქოლ. 9, 286-289; Mackinnon, C. A. (2016). Rape Redefined, Harvard Law and Policy Review, vol. 10, 447. თუმცა მაკკინონი რა მაგალითებითაც ცდილობს „თანხმობის“ გამოუსადეგარობის წარმოჩენას, ეს თანხმობის პრაქტიკაში განმარტების პრობლემებია, რადგან აკადემიურ ტექსტებში ყველა ეს მაგალითი (მაგ. სქესობრივი აქტი ადამიანთან რომელმაც ნება ვერ გამოხატა შიშისგან – შიშიგან გაყინვა/გაქვავება ა.შ.) გაუპატიურებად ფასდება თანხმობის არ არსებობის გამო. ეს შემთხვევები გაუპატიურებად ფასდება ასევე აშშ-ს იმ სამ შტატში რომელიც გაუპატიურების „დიახ მოდელს“ ითვალისწინებს. იხ. Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 454-462.  
 65 Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 129.

რდების საფუძველი.<sup>66</sup> სწორედ ასეთ ამბივალენტურ სიტუაციებში ავტორი ეთანხმება დაზარალებულისთვის იმის დავალებას, რომ ცხადი გახადოს სექსთან დაკავშირებით მისი განწყობა, თუ არ სურს,<sup>67</sup> თუ დამაშინებელი გარემოება არაა ან სხვაგვარი სუბორდინაცია. უკანასკნელის დროს ამბივალენტური სიტუაციით სარგებლობაც ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და მაშასადამე, გაუპატიურებაა.<sup>68</sup>

ტურკჰეიმერის სამართლებრივი ანალიზის მიხედვით, წმინდა თანხმობის მოდელი ე.წ. „დიახ“ მოდელი აღიარებულია ამერიკის სამ შტატში (ნიუ ჯერსი, ვისკონსინი და ვერმონტი).<sup>69</sup> ავტორი ჩამოთვლილი შტატების სასამართლო პრაქტიკის შესწავლით საუბრობს, რომ „დიახ მოდელი“ წარმატებით ფარავს შემთხვევებს, რომელიც ცვლილებამდე გაუპატიურების მიღმა რჩებოდა. ასეთ საქმეებს შორის ავტორი ძირითადად ციტირებს მოძალადის მხრიდან დამაშინებელი გარემოს ბოროტად გამოყენებისა და სხვა შემთხვევებს, როდესაც დაზარალებულის ნების უგულვებელყოფით მოხდა მის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევა.<sup>70</sup> ამ საქმეებში ძალიან იშვიათად მოხდა ბრალდებულის მხრიდან თავის დასაცავად „დამაბნეველ სიგნალებზე“ მითითება, რომ თითქოს მის შეთავაზებას სექსზე დაზარალებულმა ისე უპასუხა, რომ მან თანხმობად აღიქვა.<sup>71</sup> ასეთ საქმეებში ძირითადი მტკიცებულება დაზარალებულის ჩვენებაა, რომელიც აღწერს ფაქტებს, ხოლო ბრალდებულის ჩვენება არა რაიმე ახალი ფაქტზე მითითებაა, რითაც, ვთქვათ, გაანეტრალდება დაზარალებულის ჩვენებას და ნაკლებად სარწმუნოს გახდის მას, არამედ მომხდარის შესახებ მისი ინტერპეტაციებია. ასეთი ინტერპრეტაციები მოსამართლისა და ნაფიცი მსაჯულებისთვის სარწმუნო არ გამხდა არც ერთ საქმეში,

რომელიც ტურკჰეიმერს აქვს მითითებული თავის ნაშრომში.

„დიახ“ მოდელის მომხრეები ხაზს უსვამენ ამ მოდელის მნიშვნელობას კულტურის ცვლილებისთვის, სადაც სექსის წინ კომუნიკაცია (ვერბალური ან არავერბალური მაგრამ აშკარა) საჭირო, რითაც ნორმა ადრესატებს კეთილსინდისიერად ატყობინებს, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ ქმედება ნებადართული იყოს.<sup>72</sup>

სექსის წინ გამოთქმული თანხმობა ყოველთვის არაა რელევანტური, მაგალითად, თანხმობა, რომელიც შიშის გამო თქვა დაზარალებულმა.<sup>73</sup>

თანხმობა არაა აუცილებელი მაინცდამაინც ვერბალური იყოს,<sup>74</sup> ის შეიძლება სხეულის ენით გამოიხატოს, კოცნით და ა.შ. ასევე მნიშვნელოვანია კონტექსტის ანალიზი, რადგან ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს კარგად იცნობენ და დიდი ხანია აქვთ ურთიერთობა, იქ სექსზე შეთავაზებაზე ღიმილით პასუხიც შეიძლება თანხმობა.<sup>75</sup>

სოციალურ ქსელებსა თუ აკადემიურ ლიტერატურაში ხშირად გამოხატავენ შიშებს მოსალოდნელ ცვლილებასთან დაკავშირებით, რომ თითქოს სექსსა და გაუპატიურებას შორის წითელი ხაზის გავლება თანხმობის არარსებობით სახიფათოა, რადგან ამან შესაძლოა გამოიწვიოს ქმედებათა გადაჭარბებული კრიმინალიზება,<sup>76</sup> ასევე მტკიცებულებითი სტანდარტის გაუფასურება, რასაც ასევე საქმის სამართლიანი განხილვის უფლების გაუმართლებელი შეზღუდვაც მოჰყვება.<sup>77</sup> ეს შიშები რომ ირაციონალურია და ცვლილების სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით დიდწილად

66 იქვე. 130.

67 იქვე. 130-131.

68 იქვე. 131.

69 Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 451.

70 იქვე. 454-460.

71 ანალიზისთვის იხ. Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. მითითებული წიგნი, სქოლ. 28, 19.

72 Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 33-34; Jacobsen, J. & Skilbrei, M. მითითებული სტატია, სქოლ. 7, 94.

73 Wertheimer, A. მითითებული წიგნი, სქოლ. 49, 350.

74 იქვე. 347.

75 იქვე.

76 Gruber, A. (2012), მითითებული სტატია, სქოლ. 2, 609-610. ანალიზისთვის ასევე იხ. Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 48.

77 ამ არგუმენტების ანალიზისთვის იხ. Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 49.

გადაჭარბებული,<sup>78</sup> ქართული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ანალიზიც ცხადყოფს, რაზეც ქვემოთ გამახვილდება ყურადღება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებულ არაერთ დელიქტს იცნობს. მათ შორისაა, მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა, ქურდობა/ძარცვა, თავისუფლების უკანონო აღკვეთა.<sup>79</sup> ჩამოთვლილ დანაშაულებთან მიმართებით მნიშვნელოვანია იმის დამტკიცება, რომ რაღაც ქმედება (მაგ. ნივთის მესაკუთრის მფლობელობიდან ამოღება ქურდობის და ძარცვის დროს) დაზარალებულის მიმართ უკანასკნელის თანხმობის გარეშე მოხდა, რადგან თუკი მესაკუთრის ნებით აიღო პირმა მისი ნივთი ან შევიდა მის მფლობელობაში, არც ქურდობა იქნება და არც ბინის ხელშეუხებლობის დარღვევა, რადგან თავად მესაკუთრემ თქვა ამ უფლებაზე უარი. ე.ი ეს ქმედებები თავისთავად ცუდი არაა, ცუდი ხდება თანხმობის გარეშე. საქართველოს სასამართლოს მსგავსი დანაშაულების დადგენის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. თუკი საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკას ამ მიმართულებით გადავხედავთ, დავინახავთ, რომ არავითარ პრობლემას არ ქმნის მტკიცებულებითი სტანდარტის დაცვით მათი დამტკიცება. მაგალითად, სსკ-ის 160-ე მუხლის ერთ-ერთ საქმეში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა, რადგან მისი შეფასებით, სხვა პირს ვერ ეცოდინებოდა, რომ შემოუღობავი მიწის ნაკვეთი სხვისი საკუთრება იყო,<sup>80</sup> ხოლო სხვა საქმეში სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა მოწმეთა (მესაკუთრე და პოლიციელი) ჩვენების საფუძველზე, რომ პირი

სხვის სახლში ნებართვის გარეშე შევიდა.<sup>81</sup> ასევე აღსანიშნავია სხვა საქმე, სადაც მოსამართლე ხაზს უსვამს ამ დანაშაულის დამფუძნებელ მთავარ ელემენტს – „მკაფიოდ გამოხატული ნება“,<sup>82</sup> რომლის გამოკვლევასაც უთმობენ დროს, რომ საქმეში სიმართლე დადგინდეს.

საილუსტრაციოდ ასევე გამოდგება 2016 წლის ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც პირი გამტყუნდა ძარცვისთვის. მტკიცებულებათა ერთობლიობა, რასაც განაჩენი დაემყარა, ქალის ჩვენება იყო, რომ მობილური ტელეფონი მისი ნების გარეშე წაიღო ყოფილმა პარტნიორმა და არ უბრუნებდა. სხვა მტკიცებულებებით კი მხოლოდ ის ფაქტი იყო დადასტურებული, რომ მობილური ტელეფონი ნამდვილად მას ეკუთვნოდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძარცვაც თანხმობის არარსებობაზე დაფუძნებული დელიქტია. თავისთავად სხვისი ნივთის აღება არ ქმნის ამ დანაშაულს, არამედ ეს აკრძალულია მესაკუთრის თანხმობის გარეშე.<sup>83</sup> შესაბამისად ასეთ საქმეებში მთავარი მტკიცებულება არის თანხმობის არარსებობის დადასტურება.<sup>84</sup> ზემოთ აღნიშნულ საქმეში, მოსამართლეს ეჭვი არ შეუტანია ქალის ჩვენებაში, რომ თანხმობის გარეშე წაიღეს მისი ნივთი,<sup>85</sup> სხვა მტკიცებულებები კი თავისთავად „დანაშაულებრივს“ არაფერს ადასტურებდნენ. ამის შემდეგ კითხვა, თუ რატომ არ კმარობს

78 იქვე. 49-50.  
79 Bergelson, V. (2008). Consent to Harm, *Pace Law Review*, vol. 28 (4), 696; Kapsaski, I. (2017). Dignity, Rights, and the Role of Consent in German Criminal Law, *San Diego Law Review*, vol. 54(2), 407.  
80 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი #2კ-212აპ.-19, პარ. 10, 22.1. 2021.

81 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი #2კ-435აპ.-19, 22.11.2019.  
82 საქართველოს უზენაესი სასამართლოს განაჩენი #2კ-8აპ.-20, პარ. 7, 18.12.2020.  
83 Bergelson, V. მითითებული სტატია, სქოლ. 79, 696.  
84 ქურდობის შემადგენლობისა და ვაუპატიურების მტკიცების სტანდარტის ურთიერთშედადება აქვს ასევე Mary Graw Leary. იხ. Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 41; Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 34.  
85 იხ. ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენი, 21.3.2016. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მიმართვა #162, პარ. 17. „[დაზარალებულის] ჩვენების ანალიზით დადგენილია, რომ მას [ბრალდებულისთვის] მისი კუთვნილი ნივთების – მათ შორის მობილური ტელეფონის წაღების უფლება არ მიუცია.“

თამარ გემელია

ერთ მტკიცებულებას იგივე მოსამართლე გაუპატიურებასთან მიმართებით, რელევანტურია. აღსანიშნავია, რომ იმავე საქმეში პირი გამართლდა გაუპატიურების ბრალდებაში,<sup>86</sup> რასთან მიმართებითაც ქალის ჩვენება სარწმუნოდ არ მიიჩნია მოსამართლემ, მიუხედავად იმისა, რომ მის ჩვენებას შეესაბამებოდა ექსპერტის დასკვნით დადგენილი ფაქტებიც. კერძოდ, საშოს კარიბჭის შესასვლელთან ქვემო სეგმენტში არასწორი ფორმის ნაჭდები და ქალის საცვალზე დარჩენილი სპერმა, რომელიც მოძალადეს ეკუთვნოდა.<sup>87</sup> მოსამართლე დაზარალებულის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენების წარმოსაჩინად მიუთითებს ფაქტზე, რომ თავდაპირველად მან დამალა „გაუპატიურების ფაქტი“.<sup>88</sup> გაუპატიურების ფაქტი შეიძლება უმაღვე არ გაამუდგანოს დაზარალებულმა მრავალი მიზეზით, მათ შორის, სირცხვილის გრძობის და იმ სოციალური სტიგმის შიშით, რაც ქართულ საზოგადოებაში ახლავს თან ამ ტიპის დანაშაულებს, რის მიმართაც მოსამართლეს არ გამოაჩნდა საკმარისი მგრძობელობა და გაგება. ამდენად, ქალის ჩვენება a priori ტყუილია მხოლოდ სექსობრივ დანაშაულებთან მიმართებით, ხოლო საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე მისი ნდობა დაუშვა მოსამართლემ და გამამტყუნებელი განაჩენი მხოლოდ მის ჩვენებას დაამყარა.

ეს საქმე ნათელი დემონსტრირებაა იმისა, თუ რამხელა უარყოფით გავლენას ახდენს გენდერული სტერეოტიპები სექსო-

86 აღსანიშნავია, რომ ამ საქმეში საბოლოოდ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ გაამტყუნა პირი გაუპატიურების ბრალდებაში, რაც თავის მხრივ უცვლელი დატოვა საქართველოს უზენაესმა სასამართლომაც. თუმცა მოცემულ საქმეში, როგორც სტატიაშია აღნიშნული, გარდა დაზარალებულის ჩვენებისა და კონტექსტისა, რაშიც ჩადენილ იქნა აქტი, სხვა არაერთი ფაქტობრივი მტკიცებულება მიუთითებდა გაუპატიურებაზე. იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება #88აგ.-2018, 15.3.2019.

87 ბათუმის საქალაქო სასამართლოს განჩინება, 21.3.2016. საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ მიმართვა #162, პარ. 31.

88 იქვე.

ბრივი დანაშაულების განხილვაზე, ასევე იმის ილუსტრაციაა თუ როგორი ორმაგი სტანდარტი გაუპატიურებისა და სხვა დანარჩენი დანაშაულების მიმართ.

როდესაც გაუპატიურების მატერიალურ/პროცესუალურ მოდიფიცირებაზე საუბრობენ, აქ იგულისხმება არა ახალი სპეციალური სტანდარტის შექმნა, არამედ უკვე არსებული და დამკვიდრებულის გაგრძელება მასზე. დღევანდელი მართლმსაჯულება გაუპატიურების საქმეებზე ცალსახად დისკრიმინაციულია. შესაბამისად, თანხმობაზე დაფუძნებული გაუპატიურების შემოღებასთან დაკავშირებული შიშები, რომ თითქოს დაიწვეს მტკიცებულებითი სტანდარტი, ან ისეთი ქმედების კრიმინალიზებას გამოიწვევს, რაც არ უნდა ისჯებდეს, ირაციონალურია.<sup>89</sup> სიახლე ითხოვს საერთო სტანდარტს ყველა დანაშაულის მიმართ, დისკრიმინაციული მართლმსაჯულების შეცვლას, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

### 5. კრიმინალიზაციის საზღვრები

გაუპატიურების დეფინიცია სამართლებრივი კატეგორიისაა, ამიტომ ლოგიკურია, რომ ყველაფერი, რაც არაეთიკურია, გაუპატიურების შემადგენლობას ვერ მოიცავს.<sup>90</sup> გაუპატიურების ფარგლების დადგენა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული, თუ ვინ განმარტავს მას, რომელი იდეოლოგიის მქონე ადამიანი.<sup>91</sup> ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ გაუპატიურების განმარტებისას ის მთლიანად გასუფთავდეს მორალური წარმოდგენებისგან და აქცენტი გაკეთდეს სამართლებრივ ინტერესზე, იმაზე, თუ რამდენად იყო ან არ იყო სექსზე გაცემული თანხმობა თავისუფალი. ასე-

89 გაუპატიურების შემადგენლობის ცვლილებასთან დაკავშირებული შიშებისა და ორმაგი სტანდარტის კრიტიკისთვის იხ. Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 45; Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 86-87.

90 Conaghan, J. მითითებული სტატია, სქოლ. 1, 153.

91 იქვე.

თი განმარტებით სრულწლოვან ქალთან სექსი, რომელიც რაიმე არაეთიკური პირობით მოხდა, მაიძულებელი ფაქტორების გარეშე (ვთქვათ ფულის სანაცვლოდ სექსი,<sup>92</sup> ან ქორწინების ცრუ დაპირებით სექსი<sup>93</sup> და ა.შ.<sup>94</sup>) გაუპატიურებაა, რაც არაა გასაზიარებელი.<sup>95</sup> სრულწლოვანი ქალის გაუპატიურების მსხვერპლად მიჩნევა მაშინ, როცა მან თანხმობა თავისი ნებით მისცა,<sup>96</sup> მომეტებული პატერნალიზმია და ზედმეტად აფართოებს გაუპატიურების შემადგენლობას,<sup>97</sup> რაც საბოლოოდ ინდივიდის პოზიტიურ სექსუალურ თავისუფლებას

ზღუდავს.<sup>98</sup> გადაჭარბებული კრიმინალიზების საწინააღმდეგოდ ვესტი წერს, რომ მას კარგი არაფერი მოაქვს გაუპატიურების განმსაზღვრელი კანონის რეფორმისთვის, არამედ კიდევ უფრო მეტ უნდობლობას და შიშს ნერგავს ოპონენტებში, რაც საბოლოოდ რეფორმას უღებს ბოლოს.<sup>99</sup> იგივე ავტორი სამართლიანად აღნიშნავს, რომ პატრიარქატის დაძლევის მექანიზმად მხოლოდ სისხლის სამართლის გამოყენება სახიფათოა.<sup>100</sup> ასეთსავე შიშებს გამოთქვამენ სხვა მეცნიერებიც, რომ გაუპატიურების საზღვრების გადახედვა სიფრთხილით უნდა მოხდეს.<sup>101</sup> პრობლემას ქალის პოზიტიური სექსუალური თავისუფლების შეზღუდვის კუთხით ანალიზებენ, რომ პატერნალისტური მიდგომა ქალსაც ვნებს.<sup>102</sup>

მთავარი, რითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ ქმედების გაუპატიურებად შეფასებისას, ესაა სექსში მონაწილე იყო თუ არა თავისუფალი, თავად გააკეთა თუ არა ეს არჩევანი, რამდენად იყო ის ავტონომიური აგენტი.<sup>103</sup> უკანასკნელ შემთხვევაში, რაც არ უნდა არაეთიკური იყოს ვინმეს საზომით სექსის შეთავაზება და შემდეგ მასზე თანხმობის მიღება, გაუპატიურება ვერ იქნება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ სურვილი და თანხმობა ერთი და იგივე მნიშვნელობის არაა სექსის შეფასებისთვის.<sup>104</sup> არასასურველი სექსიც შეიძლება იყოს თავისუფალი. არასასურველ სექსზე დათანხმება მრავალი მიზეზით შეიძლება მოხდეს ქალისგანაც და კაცისგანაც, სექსისა და გაუპატიურებას შორის დემარკაციის ხაზი თავისუფალ თანხმობაზე უნდა გავავლოთ.

92 მითითებული ქმედების გაუპატიურებად შეფასება გავრცელებული მოსაზრებით არაა მხარდაჭერილი. იხ. Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 132.

93 მოტყუება ორი სახისა: პირველი ქმედების სექსუალურ მნიშვნელობას ეხება, მეორე კი - შეთანხმების რომელიმე ასპექტს, რომელიც არაა დაკავშირებული ქმედების არსთან. პირველი გაუპატიურებაა, ხოლო მეორე სახის ტყუილით ჩადენილი სექსუალური ხასიათის ქმედება - არა. ამ აზრის მხარდაჭერი არგუმენტებისთვის იხ. Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 241. გვევლია თ., თავი 2, პარ. 1. გაუპატიურება. მითითებული წიგნი, სქოლ. 10, 43.

94 მაგალითად, ალკოჰოლური თუ სხვა სახის თრობის ქვეშ მყოფი ადამიანის თანხმობა სექსზე ნებელობითა და გაუპატიურებად არ შეფასდება, მაგრამ იმ შემთხვევაში როდესაც სიმთვრალის გამო პირს უარის თქმის შესაძლებლობა წართმეული აქვს, მასთან სექსი გაუპატიურება. იხ. Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 457.

95 ანალიზისთვის იხ. Conaghan, J. მითითებული სტატია, სქოლ. 1, 160-161.

96 სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტებითა და გენდერული უთანასწორობით გაუპატიურების დეფინიციის გაფართოების მომხრეა კ. მაკკინონი, იხ. მაგალითად სექსსამუშაოს ნებისმიერ შემთხვევაში გაუპატიურებად აფასებს. მისი შეფასებით „თანხმობა“ ამ ურთიერთობაში შეუძლებელია არსებობდეს. იხ. Mackinnon, C. A. მითითებული წიგნი, სქოლ. 9, 167, 171, 290. Mackinnon, C. A. მითითებული სტატია, სქოლ. 64, 447-448. მსგავსი მოაზრებისთვის იხ. Herring J. (2009). Relational Autonomy and Rape. In S. Day Sclater, F. Ebtehaj, E. Jackson & M. Richards (eds.), *Ragulating Autonomy*, Oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 53, 63, 68.

97 მაგალითად, სექსი ფულის სანაცვლოდ (სექს-სამუშაო) არ არის გაუპატიურება. ანალიზისთვის იხ. Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 133.

98 West, R. (2008). *Sex, Law, and Consent*, Georgetown Law, Faculty Working Papers, 7,12.

99 იქვე. 12.

100 იქვე. 13.

101 Wertheimer, A. მითითებული წიგნი, სქოლ.49, 359.

102 იქვე.

103 Hörnle, T. მითითებული სტატია, სქოლ. 18, 133.

104 West, R. მითითებული სტატია, სქოლ. 98, 23-24.

## 6. MENS REA

გაუპატიურების საზღვრებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია თანხმობის mens rea ანუ პირის მხრიდან თანხმობის ცოდნის ხარისხი დადგენა. როგორც აკადემიურ ტექსტებში სწორადაა შენიშნული, სექსის დაწყებამდე კომუნიკაციის მნიშვნელობაზე ინფორმაციას მხოლოდ სისხლის სამართლიდან არ უნდა იღებდეს ადამიანი, ამას უნდა ასწავლიდნენ სკოლიდან.<sup>105</sup> შეცდომამ თანხმობასთან დაკავშირებით მაშინ უნდა გამორიცხოს ცოდნა – სუბიექტური მხარე, და მაშასადამე, პასუხისმგებლობაც, თუ ეს შეცდომა თავიდან აცილებადი არ იყო, ე.ი. შეცდომა კეთილგონიერ ადამიანსაც მოუვიდოდა.<sup>106</sup> მაშასადამე, როდესაც ადამიანი დაბნეულია მეორე ადამიანის მხრიდან მიცემული თანხმობის თაობაზე, ამის შეფასებისა და პასუხისმგებლობის გამორიცხვისთვის სისხლის სამართალი კარს ღიას ტოვებს,<sup>107</sup> რაც ასევე მნიშვნელოვანი საზღვარია იმისა, რომ გადაჭარბებული კრიმინალიზება არ მოხდეს სექსუალური ხასიათის ქმედებებისა. ამდენად, თანხმობის შეფასებისას დაშვებული შეცდომა ირელევანტურია, თუ პირი მინიმუმ დაუდევრად მოქმედებდა.<sup>108</sup> სწორედ ეს მოწმდება ნაფიცი მსაჯულებისა და სასამართლოს მხრიდან თანხმობაზე დაფუძნებული გაუპატიურების საქმეებში

და როგორც მაგალითად, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ იგი ძალიან იშვიათ შემთხვევაში უთითებს ბრალდებულის შეცდომაზე, რასაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ამბივალენტური გარემოებების დროს, სექსის მონაწილისგან „დამაბნეველი სიგნალების“ მიღებისას.<sup>109</sup> „დამაბნეველი“ შეიძლება იყოს ისეთი სიტუაცია, როდესაც ნაწილი მოქმედებებისა სექსთან დაკავშირებით წამახალისებელია, ხოლო მოქმედებების ნაწილი – არა.<sup>110</sup> თუმცა, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, ის შიშები, რომელიც თანხმობის მოდელს მიემართება, რომ თითქოს უდანაშაულო ადამიანის მკავრდების რისკებს შეიცავს, ემპირიულად არ დადასტურებულა.<sup>111</sup> არც გაუპატიურების სტატისტიკაა გაზრდილი ამ ქვეყნებში.<sup>112</sup> თუმცა თანხმობის მოდელის დადებითი ტენდენციები მაინც შეინიშნება პრაქტიკაში, სასამართლოები გაუპატიურებად აფასებენ ისეთ შემთხვევებს, სადაც ქალმა შიშისგან გაყინვის, თუ მოულოდნელობის გამო კომუნიკაციაც კი ვერ მოახსწრო, ისე დაამყარეს მასთან სქესობრივი კავშირი.<sup>113</sup> რაც ძველი მოდელით კვალიფიკაციის მიღმა დარჩებოდა, მოძალადე კი დაუსჯელი, რაც დაუცველს ტოვებდა ადამიანებს არასასურველი სქესობრივი კავშირებისგან.

შეუძლებელია არ გაიზიარო სასამართლის პროფესორების ის მოსაზრება, რომ ერთია, როცა გაუპატიურების შემადგენლობის მთავარ ელემენტად სექსზე თანხმობის არარსებობას განსაზღვრავ და მეორე, ასეთივე მნიშვნელობისაა, თუ როგორ განიმარტება ის,<sup>114</sup> ამისთვის კი აუცილებელია სამართლის მეცნიერების აქტიურობა, დისკუსიები საკითხის ირგვლივ და

105 Munro, V. მითითებული წიგნი, სქოლ. 5, 752.

106 იქვე. 752; Leary, M.G. მითითებული სტატია, სქოლ. 33, 46; Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 239.

107 Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 467.

108 გერმანული მოდელი თანხმობასთან მიმართებით მინიმუმ არაპირდაპირ განზრახვის დადგენას ითხოვს, რაც გაკრიტიკებულია აკადემიურ ტექსტებში, რადგან მოძალადის პასუხისმგებლობისგან დასაძრომად გაუმართლებლად მეტ ხვრელს ტოვებს. იხ. Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 243; Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 96-98. ევროპის რამდენიმე ქვეყანაში კრიმინალიზდა გაუპატიურება დაუდევრობით, როგორც დამოუკიდებელი შემადგენლობა. იხ. Jacobsen, J. & Skillbrei, M. მითითებული სტატია, სქოლ. 7, 87; Bladini, M. & Andersson, W.S. მითითებული სტატია, სქოლ. 7, 96.

109 Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 464, 468.

110 Hörnle, T. მითითებული წიგნი, სქოლ. 41, 239.

111 Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 464, 467.

112 Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. მითითებული წიგნი, სქოლ. 28, 16.

113 Tuerkheimer, D. მითითებული სტატია, სქოლ. 54, 454-462.

114 იქვე. 468.

სასამართლოს მუდმივი მონიტორინგი. სხვა გამოსავლად მეცნიერებს ასევე ის მიაჩნიათ, რომ „თანხმობის არარსებობა“ არ იკმაროს კანონმდებელმა და მაქსიმალურად ჩამოთვალოს მასში მოაზრებული ქმედებები,<sup>115</sup> თუმცა ამ აზრს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს.<sup>116</sup>

### დასკვნითი შენიშვნები

სოციალური ურთიერთობები მრავალფეროვანია, ამიტომაც ძალადობის გარდა ადამიანის ნეგატიური სექსუალური თავისუფლება შეიძლება დაირღვეს სხვა არაერთი ქმედებით, რომელთაც უნდა ფარავდეს გაუპატიურების დეფინიცია. გაუპატიურების შუასაუკუნეობრივი გაგება უნდა შეიცვალოს არა მხოლოდ ფორმალურ დონეზე, არამედ პრაქტიკულადაც, მისი სამოსამართლო განმარტებაც.

გაუპატიურების შემადგენლობის რეკონსტრუქციის მიზნით გაუპატიურების შემადგენლობის სექსზე თავისუფალი თანხმობის არარსებობით განსაზღვრას.

გაუპატიურების დეფინიციის შეცვლასთან დაკავშირებული შიშები ირაციონალურია, ის გენდერული სტერეოტიპებისა და სტრუქტურული მიზოგინიის ექოა. გაუპატიურების შემადგენლობის მატერიალურ-სამართლებრივი ცვლილება რაიმე ახალი მტკიცებულებით სტანდარტის შექმნას არ გულისხმობს, რაც საფრთხეს შეუქმნიდა საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას. ცვლილება მოითხოვს ორმაგი სტანდარტის მოშლას და გენდერული დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რაც სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით მყარად ფესვგამდგარი პრაქტიკაა. საქართველოს სსკ-ში არაერთი დელიქტია, რომელსაც სწორედ თანხმობის არარსებობა აფუძნებს (მაგ. ქურდობა, ძარცვა, თავისუფლების

უკანონო აღკვეთა და სხვა), რომელთა გამოძიება და სასამართლო განხილვა თავისუფალია გენდერული სტერეოტიპებისგან, ასევე უნდა მოხდეს გაუპატიურებასთან მიმართებითაც.

გაუპატიურების პარადიგმა, რომელიც აუცილებლად უცხო მამაკაცის მხრიდან ქალზე ფიზიკური ძალადობით თავდასხმაში, ხოლო ქალის მხრიდან სიცოცხლის ფასად წინააღმდეგობის გაწევის სავალდებულო მოთხოვნაში გამოიხატება, უნდა შეიცვალოს.

115 Green, P. S. მითითებული წიგნი, სქოლ. 7, 75-76. მსგავსი აზრისთვის იხ. Conaghan, J. მითითებული სტატია, სქოლ. 1, 180. შეად. Daly, K. მითითებული წიგნი, სქოლ. 19, 41.  
116 Buchhandler-Raphael, M. მითითებული სტატია, სქოლ. 35, 197-199.

# THE RAPE PARADIGM: VIOLENT STRANGER VS WARRIOR VICTIM

**Tamar Gegelia**

*Doctor of Law, Affiliate Associate Professor  
at Caucasus University,  
Postdoctoral researcher at the University of Bern*

**KEYWORDS:** Rape, Consent, Discrimination

## ABSTRACT

The purpose of this article is to show the narrow boundaries and incompleteness of the Georgian legislation regarding rape, which fails to cover all the actions from which the protection of an individual's negative sexual freedom is the responsibility of the state.

The article aims to show the reader the advantages of the new approach in parallel with the critique of the old law regarding rape, which means expanding the scope of the definition of rape and hence criminalizing more actions. For this purpose, the importance of non-consent as the main element of the rape actus reus is discussed.

The article also analyzes the importance of protecting the boundaries of rape so that the state does not unjustifiably restrict a person's positive sexual freedom while protecting negative sexual autonomy.

The purpose of this article is neither to criticize nor support any of the consent-based rape models ("no means no" or "only yes means yes" models), but rather to highlight the importance of consent to sex crimes and to emphasize the basic guideline for consent.



## BIBLIOGRAPHY:

1. Abashidze, A., Arganashvili, A., Dekanosidze, T., & Natsvlshvili, A. (2016). *Gender and Law*, Tbilisi (In Georgian)
2. Baker, K.K. & Oberman, M. (2016). *Women's Sexual Agency and the Law of Rape in the 21st Century*, *Studies in L., Politics & Soc'y*, vol. 69, 63-111 (In English)
3. Bergelson, V. (2008). *Consent to Harm*, *Pace Law Review*, vol. 28 (4), 683-711 (In English)
4. Bergelson, V. (2014). *The Meaning of Consent*, *Ohio State Journal of Criminal Law*, vol. 12, 171-180 (In English)
5. Bladini, M. & Andersson, W.S. (2020). *Swedish Rape Legislation from Use of Force to Voluntariness – Critical Reflections from an Everyday Life Perspective*, *Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice*, vol. 8(2), 95 – 125 (In English)
6. Bragadottir, R. (2020). *Legislation on the offence of rape in Icelandic criminal law*, *Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice*, vol. 8(2), 54-77 (In English)
7. Buchhandler-Raphael, M. (2011). *The Failure of Consent: Re-Conceptualizing Rape as Sexual Abuse of Power*, *Michigan Journal of Gender & Law*, vol. 18, 147 – 228 (In English)
8. Conaghan, J. (2019). *The Essence of Rape*, *Oxford Journal of Legal Studies*, vol. 39(1), 151-182 (In English)
9. Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., *Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020)* (In Georgian)
10. Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., *Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020)* (In Georgian)
11. Dubber, M. D. & Hörnle, T. (2014). *The Oxford Handbook of Criminal Law*, Online Publication (In English)
12. Equality Now. (2019). *Barriers to Justice: Why Eurasian Legislation Fails to Protect Victims of Sexual Violence* (In Georgian)
13. Gegelia, T., *For the issue of Lex praevia principle towards judicial interpretation*, *Constitutional law review XII*, 31-36. (In Georgian)
14. Gegelia, T., Kelenjeridze, I., & Jishkariani, B., *Sexual Offenses*. (1st edition). Tbilisi: World of Lawyers (In Georgian)
15. Green, P. S. (2020). *Criminalizing Sex, A Unified Liberal Theory*. (1st edition). New York: Oxford University Press (In English)
16. Gruber, A. (2012). *A Neo-Feminist Assessment of Rape and Domestic Violence Law Reform*, *Journal of Gender, Race & Justice*, vol. 15(3), 583-615 (In English)
17. Gruber, A. (2013). *Neofeminism*, *Houston Law Reviw*, vol. 50, 1325-1390 (In English)
18. Halilović, M., Watson, C., Huhtanen, H. & Socquet-Juglard, M. (2017). *Gender Bias in Cases of Rape, Attempted Rape, and Sexual Assault in Gender Bias and the Law: Legal Frameworks and Practice from Bosnia & Herzegovina and Beyond*, Sarajevo (In English)
19. Herman, J. (2015). *Trauma and Recovery. The Aftermath of Violence-From Domestic Abuse to Political Terror*. (3rd edition). New York: Basic books (In English)
20. Hörnle, T. (2018). *#MeToo-Implicataions for Criminal Law?* *Bergen Journl Law and Criminal Justice*, vol. 6(2), 115-135 (In English)
21. Jacobsen, J. & Skilbrei, M. (2020). *Reforming the Rape Offence in*

- Norwegian Criminal Law, *Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice*, vol. 8(2), 78-94 (In English)
22. Kaplan, M. (2017). Rape Beyond Crime, *Duke Law Journal*, vol. 66, 1045-1111 (In English)
  23. Kapsaski, I. (2017). Dignity, Rights, and the Role of Consent in German Criminal Law, *San Diego Law Review*, vol. 54(2), 401-422 (In English)
  24. Leary, M.G. (2016). Affirmatively Replacing Rape Culture with Consent Culture, *Texas Tech Law Review*, vol.49, 1-56 (In English)
  25. Mackinnon, C. A. (2019). *Butterfly Politics, Changing the World for Women*. (1st edition). Cambridge and London: Harvard University Press (In English)
  26. Milne E., Brennan K. & South N., Turton J. (2018). *Women and the criminal Justice System*. (1st edition). Berlin: Springer (In English)
  27. Müller A. & Schaber, P. (2018). *The Routledge Handbook of the Ethics of Consent*. (1st edition). London and New York: Routledge (In English)
  28. Powell, A., Henry, N. & Flynn, A. (2015), *Rape Justice Beyond the Criminal Law*. (1st edition). New York: Palgrave Macmillan (In English)
  29. R. (2009). *Feminist Perspectives on Rape*, Philosophy Faculty Publications, paper 86, 1-30 (In English)
  30. Rubinfeld, J. (2013). The Riddle of Rape by Deception and the Myth of Sexual Autonomy, *Yale Law Journal*, 122(6), 1372 – 1443. (In English)
  31. S. Day Sclater, F. Ebtehaj, E. Jackson & M. Richards. (2009). *Regulating Autonomy*. (1st edition). Oxford and Portland, Oregon: Hart Publishing (In English)
  32. Soble, A. (2002). *The Philosophy of Sex*. (1st edition). Lanham: Rowman & Littlefield Publishers (In English)
  33. Tuerkheimer, D. (2015). Rape On and Off Campus, *Emory Law Journal*, vol. 65, 1-45 (In English)
  34. Tuerkheimer, D. (2016). Affirmative Consent, *Ohio State Journal of Criminal Law*, vol. 13(2), 441-468 (In English)
  35. Vestergaard, J. (2020). The Rape Law Revision in Denmark: Consent or Voluntariness as the key Criterion? *Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice*, vol. 8(2), 5-32 (In English)
  36. West, R. (2008). Sex, Law, and Consent, *Georgetown Law, Faculty Working Papers*, 1-44 (In English)
  37. Whisnant, R. (2009). *Feminist Perspectives on Rape*, Philosophy Faculty Publications, paper 86, 1-30 (In English)

## NOTES:

1. Conaghan, J. (2019). The Essence of Rape, *Oxford Journal of Legal Studies*, vol. 39(1), 182. (In English)
2. For the historical analysis see Gruber, A. (2013). Neofeminism, *Houston Law Review*, vol. 50, 1335-1343; Gruber, A. (2012). A Neo-Feminist Assessment of Rape and Domestic Violence Law Reform, *Journal of Gender, Race & Justice*, vol. 15(3), 588-589; Baker, K.K. & Oberman, M.

- (2016). Women's Sexual Agency and the Law of Rape in the 21st Century, Studies in L., Politics & Soc'y, vol. 69, 69. (In English)
3. Some scholars consider the interest of women as a collective group to be protected from rape along with female sexual autonomy. For the analysis see Whisnant, R. (2009). Feminist Perspectives on Rape, Philosophy Faculty Publications, paper 86, 17-18. (In English)
  4. Ibid. 3. (In English)
  5. Ibid. 3; Munro, V. (2014). Sexual Autonomy. In Dubber, M. D. & Hörnle, T. (eds), The Oxford Handbook of Criminal Law, Online Publication, 750. (In English)
  6. Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020), 22. (In Georgian) In fact, there are high statistics of impunity in other countries as well, e.g., England. See Munro, V. Supra note 5, 757. (In English)
  7. For an analysis see Green, P. S. (2020). Criminalizing Sex, A Unified Liberal Theory, New York: Oxford University Press, 49; Bladini, M. & Andersson, W.S. (2020). Swedish Rape Legislation from Use of Force to Voluntariness – Critical Reflections from an Everyday Life Perspective, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 96-97; Jacobsen, J. & Skilbrei, M. (2020). Reforming the Rape Offence in Norwegian Criminal Law, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 91-92; Bragadottir, R. (2020). Legislation on the offence of rape in Icelandic criminal law, Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice, vol. 8(2), 55-56. (In English)
  8. For a definition of the term, see Sapari, Rape Culture <https://sapari.ge/%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%90/> 14.6.2021 (In Georgian)
  9. Mackinnon, C. A. (2019). Butterfly Politics, Changing the World for Women, Cambridge and London: Harvard University Press, xi, xiii (In English)
  10. For the analysis of these and other international acts see Jishkariani, B. (2020). Chapter 1. International Acts and Georgian Legislation on Sex Crimes – General overview in the book Gegelia, T., Kelenjeridze, I., & Jishkariani, B., Sexual Offenses, Tbilisi: World of Lawyers, 11-16. (In Georgian)
  11. For an analysis of the changes made to the Criminal Code in 2017 concerning sexual offenses see Gegelia, T. Chapter 2, Para. 1, Rape. Supra note 10, 24. (In Georgian)
  12. Georgia was also reminded to bring the definition of rape following the Istanbul Convention at a Human Rights Council Working Group on the Universal Periodic Review. See Human Rights Council Working Group on the Universal Periodic Review Thirty-seventh session Geneva, 18–29 January 2021, 6.201. (In English)
  13. See Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, Council of Europe Treaty Series – No. 210. Art. 58. (In English)
  14. E.g. see Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women

- in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020), 25 (note 89) and 29. (In Georgian)
15. Judgment of Signnaghi District Court # 1 / 67-14, 26.11.2014 (In Georgian)
  16. Ibid. at 25. (In Georgian)
  17. Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020), 17. (In Georgian)
  18. Hörnle, T. (2018). #MeToo-Implications for Criminal Law? *Bergen Journal Law and Criminal Justice*, vol. 6(2), 126. (In English)
  19. Green, P. S. *Supra* note 7, 78-79; Hörnle, T. *Supra* note 18, 126; Roffee, J. A. (2015). When Yes Actually Means Yes Confusing Messages and Criminalising Consent. In Powell, A., Henry, N. & Flynn, A. (eds), *Rape Justice Beyond the Criminal Law*, New York: Palgrave Macmillan, 73. For a supportive definition of a narrow boundaries rape definition, see Rubenfeld, J. (2013). The Riddle of Rape by Deception and the Myth of Sexual Autonomy, *Yale Law Journal*, 122(6), 1372 – 1443. (In English)
  20. Hörnle, T. *Supra* note 18, 127. (In English)
  21. It should be noted that the Georgian court is familiar with broad interpretations of other offenses. e.g., for the analysis of the broader judicial interpretation of fraud, see Gegelia, T., For the issue of *Lex praevia* principle towards judicial interpretation, *Constitutional law review* XII, 36. (In Georgian) It should be noted that a broad interpretation of rape, as opposed to the semantic meaning of the norm the European Human Rights Court, did not consider it a violation of the principle of legality. See *SW and CR v United Kingdom* 21 EHRR363. 1995. (In English)
  22. Kaplan, M. (2017). Rape Beyond Crime, *Duke Law Journal*, vol. 66, 1055. (In English)
  23. For a critique of harsh punishment for gender offenses in the sense that it is discriminatory in U.S. practice, see Gruber, A. (2012), *Supra* note 2, 598, 604. (In English)
  24. For detailed information on the case, see. Tarkhnishvili, N. When the System is Silent, Children Disappear, *Radio Liberty* 12.2.2021 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31100186.html> 22.3.21 (In Georgian)
  25. Gruber, A. (2012), *Supra* note 2, 607; Whisnant, R. *Supra* note 3, 17-18. (In English)
  26. Many facts concerning the issue are indicated in the 2020 study. See Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020), 34-38. (In Georgian)
  27. Judgment of the Supreme Court of Georgia # 2K-413Ap.-17, 11.1.2018 (In Georgian)
  28. For an overview of the effects of gender bias in the investigation of sex crimes, see Kaplan, M. *Supra* note 22, 1064; Halilović, M., Watson, C., Huhtanen, H. & Socquet-Juglard, M. (2017). Gender Bias in Cases of Rape, Attempted Rape, and Sexual Assault in Gender Bias and the Law: Legal Frameworks and Practice from Bosnia & Herzegovina and Beyond, Sarajevo, 80-88; Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. (2018). Rape Myths in the Criminal Justice System. In Milne E., Brennan K. & South N., Turton J. (eds) *Women and the criminal Justice System*, Berlin: Springer, 16-28. (In English)
  29. Gegelia, T. Chapter 2, Para. 1. Rape. *Supra* note 10, 33; Abashidze, A., Arganashvili, A., Dekanosidze, T., & Natsvlishvili, A. (2016). Gender

- and Law, Tbilisi, 43. (In Georgian)
30. For an analysis see Gegelia, T. Chapter 2, Para. 1. Rape. Supra note 10, 38-39. (In Georgian)
  31. E.g. see Abashidze, A., Arganashvili, A., Dekanosidze, T., & Natsvlshvili, A. Supra note 29; Dekanosidze, T., Chikhladze, N., Kharatishvili, G., Administration of Justice on Sexual Violence Crimes against Women in Georgia (Council of Europe Office in Georgia 2020) (In Georgian)
  32. The case cited: Gegelia, T. Chapter 2, Para. 1. Rape. Supra note 10, 21-22. (In Georgian)
  33. Leary, M.G. (2016). Affirmatively Replacing Rape Culture with Consent Culture, *Texas Tech Law Review*, vol.49, 34-37. the so-called Neo-feminism considers improving social and economic conditions for women to overcome patriarchy as a major force and not a strict criminal law. Gruber, A. (2012), Supra note 2, 613. (In English)
  34. Gruber, A. (2012), Supra note 2, 612. Munro, V. Supra note 5, 753. Also see Roffee, J. A. Supra note 74. (In English)
  35. Leary, M.G. Supra note 33, 31; Buchhandler-Raphael, M. (2011). The Failure of Consent: Re-Conceptualizing Rape as Sexual Abuse of Power, *Michigan Journal of Gender & Law*, vol. 18, 181-182. (In English)
  36. Tuerkheimer, D. (2015). Rape On and Off Campus, *Emory Law Journal*, vol. 65, 10-12. (In English)
  37. For a similar comparison to the US example, see Leary, M.G. Supra note 33, 37-38.
  38. Equality Now. (2019). Barriers to Justice: Why Eurasian Legislation Fails to Protect Victims of Sexual Violence, 19-20, 23, 26. Also see Gegelia, T. Chapter 2, Para. 1. Rape. Supra note 10, 18. (In Georgian)
  39. Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. Supra note 28, 33-34. (In English)
  40. M.C. v Bulgaria, appl. no. 39272/98, 4.12.2003. (In English) For an analysis see Gegelia, T. Chapter 2, Para. 1. Rape. Supra note 10, 23; (In Georgian). Vestergaard, J. (2020). The Rape Law Revision in Denmark: Consent or Voluntariness as the key Criterion? *Bergen Journal of Criminal Law and Criminal Justice*, vol. 8(2), 6-7. (In English). Lack of consent as a rape actus reus was previously explained in international criminal law. See *The prosecutor v Jean-Paul Akayesu*, ICTR-96-4-T, 2.9.1998; *Prosecutor v Kunarac, Kovač and Vuković*, case no. IT-96-23, 22.1.2001. (In English)
  41. Green, P. S. Supra note 7, 20; Conaghan, J. Supra note 1, 172. Human dignity, along with sexual autonomy, is also seen as a protected legal interest from rape. See Hörnle, T. (2018). Rape as Non – Consensual Sex. In Müller A. & Schaber, P. (eds.) *The Routledge Handbook of the Ethics of Consent*, London and New York: Routledge, 237. (In English)
  42. Green, P. S. Supra note 7, 21. (In English)
  43. Ibid. 24. (In English)
  44. Ibid. (In English)
  45. Herman, J. (2015). *Trauma and Recovery. The Aftermath of Violence-From Domestic Abuse to Political Terror*, New York: Basic books, 51-51, 256-257; Leary, M.G. Supra note 33, 31. (In English)
  46. Green, P. S. Supra note 7, 43. (In English)
  47. Mill, J.S. (Edited 2001). *On Liberty*, Kitchener: Batoche Books, 13. (In English) For the analysis of the harm principle see Gegelia, T. (2021). Chapter 2 – The harm principle in Brachveli, S., Gegelia, T., Gelashvili, T. & Meladze, G. *The Limits of Criminal Law*, (Forthcoming). (In

- Georgian)
48. Baker, K.K. & Oberman, M. *Supra* note 2, 64. (In English)
  49. Wertheimer, A. (2002). Consent and Sexual Relations. In Soble, A. (ed.) *The Philosophy of Sex*, Lanham: Rowman & Littlefield Publishers, 342. (In English)
  50. Bergelson, V. (2014). The Meaning of Consent, *Ohio State Journal of Criminal Law*, vol. 12, 172; Green, P. S. *Supra* note 7, 25. (In English)
  51. Bergelson, V. *Supra* note 50, 172.
  52. Green, P. S. *Supra* note 7, 28-29. (In English)
  53. Leary, M.G. *Supra* note 33, 31-32; Daly, K. *Sexual Violence and Justice How and Why Context Matters*. *Supra* note 19, 36; Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. *Supra* note 28, 17-18. (In English)
  54. Tuerkheimer, D. (2016). Affirmative Consent, *Ohio State Journal of Criminal Law*, vol. 13(2), 459-460; Daly, K. *Supra* note 19, 47. (In English). For an analysis of a similar Georgian case, see Gegelia, T. Chapter 2, Para. 1, Rape. *Supra* note 10, 36.
  55. For criticism, see Soble, A. (2002). Antioch's "Sexual Offense Policy": A Philosophical Exploration. *Supra* note 49, 330-335; Buchhandler-Raphael, M. *Supra* note 35, 158-159; Kaplan, M. *Supra* note 22, 1057-1058. (In English).
  56. For explanation, see Green, P. S. *Supra* note 7, 83-84. (In English).
  57. For criticism, see Kaplan, M. *Supra* note 22, 1054; Buchhandler-Raphael, M. *Supra* note 35, 163-164. (In English).
  58. For explanation, see Green, P. S. *Supra* note 7, 81-82.
  59. Green, P. S. *Supra* note 7, 28; Hörnle, T. *Supra* note 41, 239; Wertheimer, A. *Supra* note 49, 347. (In English).
  60. Hörnle, T. *Supra* note 18, 128. (In English).
  61. *Ibid.* 129; Hörnle, T. *Supra* note 41, 240. (In English).
  62. Hörnle, T. *Supra* note 18, 128; Hörnle, T. *Supra* note 41, 240. (In English).
  63. Hörnle, T. *Supra* note 18, 131. (In English).
  64. Hörnle, T. *Supra* note 41, 239; Hörnle, T. *Supra* note 18, 128; Buchhandler-Raphael, M. *Supra* note 35, 160. For a critique of the definition of consent as a constituent element of rape, see Mackinnon, C. A. *Supra* note 9, 286-289; Mackinnon, C. A. (2016). Rape Redefined, *Harvard Law and Policy Review*, vol. 10, 447. (In English). However Mackinnon tries to illustrate the futility of "consent" with these examples, these are problems of interpretation in practice Because in academic texts all these examples (eg sexual intercourse with a person who could not express his will to freeze / petrify out of fear, etc.) are considered rape due to lack of consent. These cases are also considered rape in the three US states that have a "yes" model of rape. See Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 454-462. (In English)
  65. Hörnle, T. *Supra* note 18, 129. (In English)
  66. *Ibid.* 130. (In English)
  67. *Ibid.* 130-131. (In English)
  68. *Ibid.* 131. (In English)
  69. Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 451. (In English)
  70. *Ibid.* 454-460. (In English)
  71. For an analysis see Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. *Supra* note 28, 19. (In English)
  72. Leary, M.G. *Supra* note 33, 33-34; Jacobsen, J. & Skilbrei, M. *Supra* note 7, 94. (In English)
  73. Wertheimer, A. *Supra* note 49, 350. (In English)

74. Ibid. 347. (In English)
75. Ibid. (In English)
76. Gruber, A. (2012), *Supra* note 2, 609-610. For an analysis also see Leary, M.G. *Supra* note 33, 48. (In English)
77. For an analysis of these arguments, see Leary, M.G. *Supra* note 33, 49. (In English)
78. Ibid. 49-50. (In English)
79. Bergelson, V. (2008). Consent to Harm, *Pace Law Review*, vol. 28 (4), 696; Kapsaski, I. (2017). Dignity, Rights, and the Role of Consent in German Criminal Law, *San Diego Law Review*, vol. 54(2), 407. (In English)
80. Judgment of the Supreme Court of Georgia # 2K-212 Ap.-19, par. 10, 22.1.2021. (In Georgian)
81. Judgment of the Supreme Court of Georgia # 2K-435 Ap.-19, 22.11.2019 (In Georgian)
82. Judgment of the Supreme Court of Georgia # 2K-8Ap.-20, par. 7, 18.12.2020 (In Georgian)
83. Bergelson, V. *Supra* note 79, 696. (In English)
84. For a comparison of the standard of theft and rape allegations, see also Mary Graw Leary. *ob. Leary*, M.G. *Supra* note 33, 41; Green, P. S. *Supra* note 7, 34. (In English)
85. See Judgment of Batumi City Court 21.3.2016. Public Information Request Appeal # 162, Para. 17. "The analysis of [the victim's] testimony shows that he [the accused] was not allowed to take her belongings – including his mobile phone." (In Georgian)
86. It should be noted that in this case, the Kutaisi Court of Appeals finally found the person guilty of rape, which in turn left the Supreme Court of Georgia unchanged. However, in the present case, as stated in the article, in addition to the testimony of the victim and the context in which the act was committed, several other evidences indicated rape. See. Judgment of the Supreme Court of Georgia #88ag.-2018, 15.3.2019. (In Georgian)
87. Judgment of Batumi City Court, 21.3.2016. Public Information Request Appeal # 162, Para. 31. (In Georgian)
88. Ibid. (In Georgian)
89. For a rape law change-related fears and critique of the double standard, see Leary, M.G. *Supra* note 33, 45; Green, P. S. *Supra* note 7, 86-87. (In English)
90. Conaghan, J. *Supra* note 1, 153. (In English)
91. Ibid. (In English)
92. The assessment of the alleged act of rape is not supported by the prevailing view. See Hörnle, T. *Supra* note 18, 132. (In English)
93. There are two types of deception concerning rape. The first is which relates to the sexual significance of the action and the other relates to any aspect of the agreement which is not related to the substance of the action. The first is rape, while the second kind of deception is not a crime. For arguments supporting this view, see Hörnle, T. *Supra* note 41, 241. (In English); Gegelia, T. Chapter 2, Para. 1, Rape. *Supra* note 10, 43. (In English)
94. For example, the consent of a person under the influence of alcohol or other forms of intoxication is voluntary consent to sex, but in the case when a person is deprived of the opportunity to refuse due to drunkenness, sex with her/him is rape. See Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 457. (In English)

95. For an analysis see Conaghan, J. *Supra* note 1, 160-161. (In English)
96. Mackinnon is in favor of expanding the definition of rape in socio-economic contexts and gender inequality. Mackinnon, for example, views sex work as rape in any case. According to her, "consent" is impossible in this relationship. See Mackinnon, C.A. *Supra* note 9, 167, 171, 290. Mackinnon, C. A. *Supra* note 64, 447-448. For the similar opinion see Herring J. (2009). *Relational Autonomy and Rape*. In S. Day Sclater, F. Ebtahaj, E. Jackson & M. Richards (eds.), *Regulating Autonomy*, Oxford and Portland, Oregon: Hart Publishing, 53, 63, 68. (In English)
97. For example, sex in exchange for money (sex work) is not rape. For analysis, see Hörnle, T. *Supra* note 18, 133. (In English)
98. West, R. (2008). *Sex, Law, and Consent*, Georgetown Law, Faculty Working Papers, 7,12. (In English)
99. *Ibid.* 12. (In English)
100. *Ibid.* 13. (In English)
101. Wertheimer, A. *Supra* note 49, 359. (In English)
102. *Ibid.* (In English)
103. Hörnle, T. *Supra* note 18, 133. (In English)
104. West, R. *Supra* note 98, 23-24. (In English)
105. Munro, V. *Supra* note 5, 752. (In English)
106. *Ibid.* 752; Leary, M.G. *Supra* note 33, 46; Hörnle, T. *Supra* note 41, 239. (In English)
107. Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 467. (In English)
108. The German model requires at least an indirect intention to consent which has been criticized in academic texts as leaving unwarranted more holes to evade responsibility. See Hörnle, T. *Supra* note 41, 243; Green, P. S. *Supra* note 7, 96-98. Rape by negligence has been criminalized in several European countries as an independent offense. See Jacobsen, J. & Skilbrei, M. *Supra* note 87; Bladini, M. & Andersson, W.S. *Supra* note 7, 96. (In English)
109. Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 464, 468. (In English)
110. Hörnle, T. *Supra* note 41, 239. (In English)
111. Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 464, 467. (In English)
112. Gray, J.M. & Hovarth, M.A.H. *Supra* note 28, 16. (In English)
113. Tuerkheimer, D. *Supra* note 54, 454-462. (In English)
114. *Ibid.* 468. (In English)
115. Green, P. S. *Supra* note 7, 75-76. For the similar view see Conaghan, J. *Supra* note 1, 180. Compare Daly, K. *Supra* note 19, 41. (In English)
116. Buchhandler-Raphael, M. *Supra* note 35, 197-199. (In English)



# საერთაშორისო შრომის სამართალი საერთაშორისო და კერძო სამართალთან მიმართებაში

## გია ლილუაშვილი

სამართლის დოქტორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

საკვანძო სიტყვები: საერთაშორისო შრომის სამართალი, სამართლის სპეციალური დარგი, საჯარო სამართალი

## შესავალი

2013 წელს საქართველოს რამდენიმე წამყვანი უნივერსიტეტისა და ევროპის, კერძოდ, ბელგიის, ბულგარეთის, გერმანიისა და ესპანეთის უნივერსიტეტების მიერ მომზადდა საქართველოსთვის უნიკალური სამაგისტრო პროგრამა „ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები.“ ეს პროგრამა დაფინანსდა TEMPUS-ის პროგრამის ფარგლებში და 2014 წლიდან დაიწყო მოქმედება. ამ სახელწოდებით ეს პროგრამა დღესაც წარმატებით აგრძელებს მუშაობას და ამის ერთ-ერთ საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ ის საგნები და პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც ჩართულნი არიან მასში.

ამ პროგრამის ფარგლებში დაინერგა ახალი საგანი „ევროპისა და საერთაშორისო შრომის სამართალი.“ ამ საგნისა და მისი სილაბუსის მომზადებაში დიდი დახმარება გაგვიწიეს პროგრამის ევროპელმა მონაწილეებმა, რომელთა შორისაც

შეიძლება დავასახელოთ ბულგარელი პროფესორები კრასტიო პეტკოვი, ათანას ვლადიკოვი და ალექსანდრე მინევი. გარდა ზემოთ დასახელებული საგნისა, პროგრამაში ჩართული იყო კიდევ ერთი საგანი „ქართული შრომის სამართალი შედარებითი პერსპექტივით“.

ამრიგად, საქართველოს უნივერსიტეტებში არსებულ სასწავლო დისციპლინებს დაემატა კიდევ ერთი საგანი „ევროპისა და საერთაშორისო შრომის სამართალი“.

ბუნებრივია, ახალი საგნის არსებობამ დღის წესრიგში დააყენა მისი თეორიული და პრაქტიკული კვლევის გაფართოება.

მოცემულ სტატიაში ჩვენი მიზანია, დადგინდეს საერთაშორისო შრომის სამართლის კავშირი საჯარო სამართალთან, უფრო ზუსტად კი, საერთაშორისო სამართალთან და კერძო სამართალთან, კერძოდ, ეროვნულ შრომის სამართალთან. ასევე შესაძლებელია თუ არა, რომ ის ორივე დარგს მივაკუთვნოთ – საჯარო სამართალსაც და ეროვნულ შრომის სამართალსაც, ანუ მივიჩნიოთ კომპლექსურ დარგად, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი თვლის. ჩნდება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კითხვა – არის კი საერთაშორისო შრომის სამართალი სამართლის დამოუკიდებელი დარგი?

საკითხის დასაზუსტებლად გასარკვევია საერთაშორისო შრომის სამართლის მონესრიგების საგანი და მიზანი, წყაროები და სუბიექტები.

აღნიშნული საკითხი დღემდე ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოკვლეული არ არის, უცხოურ ლიტერატურაშიც არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება მის მიმართ. საქართველოში არსებული იურიდიული ლიტერატურა ძირითადად საერთაშორისო შრომის სამართლის ცალკეული აქტების – კონვენციების, რეკომენდაციების შინაარსზე და მათ კანონმდებლობაში დანერგვაზე ამახვილებს ყურადღებას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ჩვენი შრომის სამართალი, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია და იურიდიული საზოგადოება ცდილობს, რაც შეიძლება

მეტი პრინციპი და ნორმა იქნეს გადმოტანილი აღნიშნული აქტებიდან.

## საერთაშორისო შრომის სამართლის არსი, საგანი და წყაროები

საერთაშორისო შრომის სამართალს, ანუ როგორც მას მეორენაირად უწოდებენ, ტრანსნაციონალური შრომის სამართალს, ძირითადად საერთაშორისო შრომის ორგანიზაცია ქმნის, რომელიც 1919 წელს დაფუძნდა და დღემდე წარმატებით ახორციელებს თავის მიზნებს. რადგანაც იგი სახელმწიფოების მიერ შეიქმნა, ამიტომ მიჩნეულია, რომ არის საერთაშორისო სახელისუფლებო ორგანიზაცია.<sup>1</sup>

ამ ორგანიზაციის შექმნით საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში შრომის სამართლის ძირითადი სტანდარტების ერთგვაროვნებას. დღემდე ამ ორგანიზაციის წევრები სამართლის სხვადასხვა სისტემის (საერთო სამართლის, რომის სამართლის და სხვა) სახელმწიფოებია. მიუხედავად ამისა, მან მაინც შეძლო, გარკვეულ ფარგლებში, შრომის სამართლის სფეროში სამართლის ამ სისტემების გაერთიანება.

რამ გამოიწვია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა? გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მისი შექმნა სამ ძირითად ფაქტორს ეფუძნებოდა, კერძოდ, პოლიტიკურს, სოციალურს და ეკონომიკურს.

**პოლიტიკური ფაქტორები** გამოწვეული იყო იმ რთული სიტუაციით, რაც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა ევროპაში. ეს ეხებოდა არა მხოლოდ დამარცხებულ ქვეყნებს, არამედ, აგრეთვე, გამარჯვებულ ქვეყნებსაც. ევროპაში (ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, უნგრეთი, რუსეთი და სხვა) ძალიან მოიმბატა უკმაყოფილოთა ტალღამ, რომელშიც პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ადამიანები აღმოჩნდნენ. ომმა კიდევ უფრო გააძლიერა მძიმე სოციალური მდგომარეობა.

1 Мрѣчков, В., 2000. Международно трудово право, София, Сиби, გვ. 35.

დაძაბულ სოციალურ და პოლიტიკურ სიტუაციას ხელი შეუწყო, ასევე, 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამაც. რევოლუციის შემდეგ, ბოლშევიკური ხელისუფლების განცხადებამ იმის შესახებ, რომ ის სოციალისტური რევოლუციის მოწყობას მსოფლიო მასშტაბით აპირებდა, შეაშფოთა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული სახელმწიფოები.<sup>2</sup>

სოციალური უკმაყოფილებისა და დაძაბულობის ფონზე ომში გამარჯვებულმა ქვეყნებმა ღია სამშვიდობო კონფერენციაზე დაიწყეს საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის ჩამოყალიბება.<sup>3</sup>

**სოციალური ფაქტორი** – დაკავშირებული იყო დამფუძნებელთა გულწრფელ სურვილთან და გამბედაობასთან „საერთაშორისო სოციალური კანონმდებლობის“ მეშვეობით და საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციების და რეკომენდაციების საშუალებებით დაეცვათ შრომა.<sup>4</sup>

**ეკონომიკური ფაქტორები** – გამოიხატებოდა საერთაშორისო ბაზარზე დაბალი ხელფასებიდან, ბავშვებისა და ქალების შრომის ცუდი პირობებიდან გამომდინარე, დაბალფასიანი საქონლის კონკურენციის გადალახვაში. შრომის საერთაშორისო დაცვა მიმართული იყო ასევე საერთაშორისო ბაზარზე ასეთი „არატანმრთელი“ კონკურენციის წინააღმდეგ.<sup>5</sup>

აღნიშნული ფაქტორებიდან გათვალისწინებით, ორგანიზაციამ თავისი საქმიანობის მიზნები თავისივე წესდებაში წარმოაჩინა. კერძოდ, წესდების პრეამბულაში დააფიქსირა მსოფლიოში სოციალური სამართლიანობის მიღწევა და უსამართლო შრომის პირობების აღმოფხვრა ისეთი საშუალებებით, როგორც არის სამუშაო დროის განსაზღვრა, მათ შორის მაქსიმალური სამუშაო დროისა და კვირის დადგენა, უმუშევრობასთან ბრძოლა, ცხო-

ვრების პირობების უზრუნველყოფისათვის ხელფასის გარანტია, ბავშვების, მოზარდებისა და ქალების დაცვა და ა.შ.

თავისი მიზნების განსახორციელებლად ორგანიზაციამ 1919 წლიდან დაიწყო კონვენციებისა და რეკომენდაციების მიღება. დღემდე ამ ორგანიზაციამ 185-ზე მეტი კონვენცია მიიღო, ამას ემატება რეკომენდაციები და ზოგიერთ კონვენციასთან დაკავშირებული ოქმები. ამდენად, საერთაშორისო შრომის სამართლის საფუძველს, შეიძლება ითქვას, წყაროს ფართო გაგებით სწორედ ეს კონვენციები<sup>6</sup> და დასახელებული აქტები წარმოადგენენ. შრომის სამართლის სპეციალისტი, ბულგარელი მეცნიერი ვასილ მრეჩკოვი მათ ერთობლიობაში „საერთაშორისო შრომის კოდექსადაც“ მოიხსენიებს.<sup>7</sup> გარდა ამ აქტებისა, წყაროდ მიჩნეულია აგრეთვე ორგანიზაციის კონსტიტუცია (წესდება),<sup>8</sup> ასევე 1998 წლის დეკლარაცია შრომის სფეროში ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების და მათი განხორციელების შესახებ. ამ დეკლარაციამ გარკვეული ცვლილებები განიცადა 2010 წელს.

ზემოთ ნახსენები რეკომენდაციები შეიძლება ორ სახეობად დაგვით, კერძოდ, რეკომენდაცია რომელიც მიეკუთვნება ზოგიერთ კონვენციას და რეკომენდაცია, რომელიც არ მიეკუთვნება კონვენციას და როგორც დამოუკიდებელი საშუალება, ისეა მიღებული. რადგანაც მათი რატიფიცირება არ ხდება, ამიტომ რეკომენდაციების ვერცერთ ამ სახეს ვერ მივიჩნევთ საერთაშორისო შრომის სამართლის დამოუკიდებელ წყაროდ, მაგრამ ისინი ამ წყაროებში მოიაზრებიან.

ამ ორი სახის რეკომენდაციიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მივანიჭოთ პირველი სახის რეკომენდაციებს,

2 Лютов, Н.Л., Морозов, П.Е., 2011. международное трудовое право, Москва, Проспект, გვ. 14.  
3 Мръчков, В., 2000. Международно трудово право, София, Сиби, გვ. 32.  
4 იქვე, გვ. 34.  
5 იქვე, გვ. 34

6 Servais J. M. 2011. International labour law, Wolters Kluwer, გვ. 65.  
7 Мръчков, В., 2000. Международно трудово право, София, Сиби, გვ. 37.  
8 Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics. The Netherlands. Wolter Kluwer, გვ.157. Мръчков В., 2000. Международно трудово право, София, Сиби, გვ. 69.

რადგანაც ისინი ხელს უწყობენ ეროვნულ შრომის სამართალში რატიფიცირებული კონვენციების შინაარსის უკეთ გაგებას და განხორციელებას.

ზოგი მეცნიერი საერთაშორისო შრომის სამართლის წყაროდ ასევე მიიჩნევს რეგიონალური ორგანიზაციების აქტებსაც, მაგალითად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მიერ მიღებულ აქტებს, მათ შორის, სანიმუშო კანონებსაც, ევროპის კავშირის სამართალს<sup>9</sup>. მიმაჩნია, რომ აღნიშნული მოსაზრება არ უნდა იქნეს გაზიარებული მისი რეგონალური და არა საერთაშორისო მნიშვნელობიდან გამომდინარე. რაც შეეხება ევროკავშირის სამართალს შრომით ურთიერთობებთან მიმართებაში, ის „ევროპის შრომის სამართლის სახით“ ცალკე დამოუკიდებელ დარგად ისედაც არსებობს, რადგანაც მისი წყაროს ზოგიერთი სახე პირდაპირ მოქმედებს ევროკავშირის წევრი ქვეყნის შრომითი ურთიერთობების მოწესრიგებაზე.

საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციები მიზნად ისახავს სახელმწიფოთუ კერძო სექტორში მოაწესრიგოს ფასიანი შვებულების, დისკრიმინაციის, სამუშაო დროისა და შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებული სხვა საკითხები. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო შრომის სამართლის მიზანიც იგივეა, რაც საერთაშორისო შრომის ორგანიზაციისა.

რადგანაც საქართველო 1993 წლიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, ამიტომაც საქართველოს შრომის სამართლის მიზანიც უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო შრომის სამართლის მიზნებს, კერძოდ შეამციროს სოციალური უთანასწორობა<sup>10</sup>, საერთაშორისო შრომის სტანდარტებისა და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების გათვალისწინებით მოაწესრიგოს და დაიცვას

შრომითი და მისი თანმდევი ურთიერთობები და ა.შ.

ამდენად, საერთაშორისო შრომის სამართლისა და ეროვნული შრომის სამართლის მიზნები ძირითადად ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. გარდა ამისა, შრომის სამართლის ტერმინები ორივეს თითქმის საერთო აქვს, უფრო მეტიც, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რატიფიცირებული კონვენცია სახელმწიფო კანონმდებლობის ნაწილი ხდება და მისი შესრულება სავალდებულოა<sup>11</sup>.

აღნიშნული აზრი ჩამოყალიბებულია „საქართველოს კანონშიც საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“. ამ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის ნაწილია. უფრო მეტიც, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ კანონსა და კონსტიტუციურ შეთანხმებას, აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.

საქართველოს სასამართლოებიც შრომითი დავების გადაწყვეტის დროს შრომის კოდექსთან ერთად იყენებს საერთაშორისო შრომის სამართალს მიკუთვნებულ რატიფიცირებულ კონვენციებს, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს დამატების სახით გამოუყენებია არარატიფიცირებული კონვენცია, მაგალითად 158-ე კონვენცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ,<sup>12</sup> რაც დადებითად უნდა იქნეს შეფასებული.

მიუხედავად ასეთი ურთიერთობისა, საერთაშორისო შრომის სამართლის, როგორც სამართლის დარგთან დამოკიდებულების პრობლემა მაინც არსებობს.

საკითხის გარკვევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია აგრეთვე, საერთა-

9 Лютов, Н.Л., Морозов, П.Е., 2011. международное трудовое право, Москва, Проспект, გვ. 29-30.

10 ბორანი, ა., (რედ). 2016. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თბილისი, შერიდიანი. გვ. 3.

11 Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. Wolters Kluwer. გვ. 178

12 საქმე № as-864-831-2016, საქმე №2-2937/2018. .

შორისო შრომის სამართლისა და თავად „სამართლის დარგი“-ს განმარტება.

პირველი განმარტება საერთაშორისო შრომის სამართლის შესახებ მოგვცეს 1993 წელს ნ. ვალტიკოსმა და კ. სამსონმა, მათი აზრით „საერთაშორისო შრომის სამართალი მოიცავს საერთაშორისო დონეზე დადგენილ სამართლის ძირითადად ნორმებს და მათი მიღებისა და გამოყენების პროცესულურ ნორმებს“<sup>13</sup>.

დაახლოებით ასეთივე განმარტება მოცემულია ლი სტეპსტონის მიერ, კერძოდ:

„საერთაშორისო შრომის სამართალი მოიცავს როგორც საერთაშორისო დონეზე დადგენილ მატერიალური სამართლის ნორმებს, ასევე მათი მიღებისა და გამოყენების პროცესულურ წესებს“<sup>14</sup>.

დასახელებული ავტორების ორივე განმარტება საერთაშორისო შრომის სამართლის არსზე მიაჩნდება.

რაც შეეხება საერთაშორისო შრომის სამართლის საგანს, ეს საკითხიც არ არის სრულად გამოკვლეული და ესეც გასაგებია, რადგანაც ძირითადი მიზანი კონვენციებისადმი და რეკომენდაციებისადმი პრაქტიკული ინტერესი იყო. არადა, ამ საკითხის გარკვევაც პირდაპირ კავშირშია იმასთან, მივაკუთვნოთ თუ არა იგი საერთაშორისო სამართალს, თუ კერძო სამართალს. თავისთავად, ტერმინი „საერთაშორისო შრომის სამართალი“ ისეთივე არასწორ ტერმინად შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც მაგალითად, „საერთაშორისო კერძო სამართალი“, რადგანაც იგი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს არ აწესრიგებს, კონვენციები მხოლოდ „მოუწოდებს“ ქვეყნებს თავიანთ კანონმდებლობაში გაითვალისწინონ საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის მიერ შემუშავებული შრომის სტანდარტები, რომლებიც სახელმწიფო-

ბის შიგნით არსებულ კონკრეტულ ურთიერთობებს აწესრიგებს. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს სახელი – „საერთაშორისო შრომის სამართალი“ – პირობითად მაინც ფართოდ გამოიყენება იურიდიულ ლიტერატურაში და ჩვენც ამ გაგებით ვიყენებთ მას.

საერთაშორისო შრომის სამართლის წყაროების შინაარსით თუ ვიმსჯელებთ, მისი მოწესრიგების საგანს წარმოადგენს შრომისა და მასთან დაკავშირებული სადაზღვევო ურთიერთობები, მაგალითად, როგორც არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 25-ე კონვენცია „სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმებულთა ავადმყოფობისგან დაზღვევის შესახებ“ ან 37-ე კონვენცია, რომელიც ეხება სავაჭრო დაწესებულებების თავისუფლი პროფესიის, და სხვა პირების სავალდებულო დაზღვევას. და ა.შ. ასევე აღნიშნულ საგანს მიეკუთვნება სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობებიც.

გარდა აღნიშნულისა, საერთაშორისო შრომის სამართლის საგანს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე, საერთაშორისო შრომის სამართლის ნორმების შექმნისა და გამოყენების პროცესიც.

საგანთან მიმართებაში გასათვალისწინებელია საერთაშორისო შრომის სამართლის სუბიექტებიც, კერძოდ, მაშინ, როდესაც საქართველოს შრომის სამართალი აწესრიგებს ურთიერთობებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის, გარკვეულ შემთხვევებში მათი გაერთიანებისა და სახელმწიფოს მონაწილეობითაც (მაგალითად, სოციალური პარტნიორობის სამხრივი კომისია), საერთაშორისო შრომის სამართალს, გარდა ზევით აღნიშნული დამსაქმებლისა და დასაქმებულის სუბიექტების შრომითი ურთიერთობებისა, უკავშირდება კონვენციების რატიფიცირებასთან, გამოყენებასთან და ა.შ. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციისა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაც.

რაც შეეხება საერთაშორისო შრომის სამართალს სამართლის დარგთან მიმა-

13 Valticos N., Samson K. 1993. International Labour Law, in Comparative labour Law and industrial Labour relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. Wolter Kluwer. 1993, გვ. 77-94.

14 Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. Wolters Kluwer. გვ. 155.

რთებაში, აქაც არ არის ერთგვაროვანი დამოკიდებულება.

საერთაშორისო სამართლის რუსი მეცნიერი დამირ ბეკიაშევი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო შრომის სამართალი საერთაშორისო საჯარო სამართლის დარგია, რომელიც წარმოადგენს სამართლის ნორმათა ერთობლიობას და რომელიც ადამიანის შრომით უფლებებთან, დასაქმებასთან, შრომის პირობებთან, სოციალურ პარტნიორობასთან, სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებით აწესრიგებს საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს შორის ურთიერთობას.<sup>15</sup> იმ აზრს, რომ საერთაშორისო შრომის სამართალი საჯარო სამართლის დარგია, იზიარებს აგრეთვე სხვა რუსი მეცნიერებიც, კერძოდ, მ. ლუშნიკოვა და ა. ლუშნიკოვი. მათი აზრით, საერთაშორისო შრომის სამართალი და სოციალური უზრუნველყოფის სამართალი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის, როგორც სამართლის სისტემის შემადგენელ დარგს.<sup>16</sup> ასეთივე მოსაზრება აქვს რუს მეცნიერს გუსოვსაც.<sup>17</sup>

განსხვავებული მოსაზრება აქვს ნ. ლიუტოვს, ის თვლის, რომ „შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი მდგომარეობა, როდესაც შრომითი ურთიერთობა მოწესრიგდეს მხოლოდ საერთაშორისო შრომის სამართლის ნორმებით. ნებისმიერ შემთხვევაში გამოყენებული იქნება როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო ნორმები. ამიტომაც, სპეციალისტებს შორის გავრცელებულია აზრი, რომ „საერთაშორისო შრომის სამართალი“ არასწორი ტერმინია.

არსებობს ცალკე, ამა თუ იმ სახელმწიფოს შრომის სამართალი და ცალკე საერთაშორისო სამართალი. საერთაშორისო შრომის სამართალი არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი დარგი იმავე გაგებით. როგორც ეროვნული შრომის სამართალია. საერთაშორისო შრომის სამართალი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ დარგს, მას აქვს პირდაპირი კავშირი ერთდროულად ეროვნულ შრომის სამართალთან და საერთაშორისო სამართალთან“.<sup>18</sup>

რუსეთის იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომ საერთაშორისო შრომის სამართალი არის კომპლექსური დარგი.<sup>19</sup>

არსებობს სხვაგვარი მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც საერთაშორისო შრომის სამართალი არის შრომის სამართლისა და საერთაშორისო სამართლის კომპლექსური ქვედარგი.<sup>20</sup>

საერთაშორისო შრომის სამართლის მიმართ არსებობს საერთაშორისო კერძო სამართლის პოზიციიდან მიდგომაც, კერძოდ, საერთაშორისო შრომის სამართალი შეიძლება განისაზღვროს, როგორც იმ შრომითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობა, რომელშიც ჩართულია უცხოური ელემენტი. ასეთად ის შეიძლება გახდეს იმ შემთხვევაში, თუ მისი მონაწილეები იქნებიან სხვადასხვა სახელმწიფოს ფიზიკური და იურიდიული პირები.<sup>21</sup>

ქართულ ლიტერატურაშიც გამოთქმულია მოსაზრება, რომ „შრომის საერთაშორისო სამართალი ეფუძნება საერთაშორისო კერძო სამართლის პრინციპებს და

15 Бекашев, Д.К. 2013. международное трудовое право. Публично-правовые аспекты. Москва. Проспект. გვ. 13

16 Лушникова, М.В., Лушников, А.М. 2010. Международное трудовое право и международное право социального обеспечения, Ярославль, ЯрГУ. გვ. 43;

17 Гусов, К.Н. 2011. Влияние норм Международной организации труда на национальное законодательство и социальную политику государств – членов // Международное, российское и зарубежное законодательство о труде и социальном обеспечении: современное состояние (сравнительный анализ). Москва. Проспект, გვ.73;

18 Лютов, Н.Л. Морозов П.Е. 2011. Международное трудовое право, Москва. проспект, გვ. 6.

19 Семешко, А.И. 2009. Международные договоры в сфере труда и их включение в систему трудового права России: автореферат Диссертации. <https://www.dissercat.com/content/mezhdunarodnyedogovory-v-sfere-truda-i-ikh-vklyuchenie-v-sistemutrudovogo-prava-rossii>

20 Черняева, Д. В. 2010. Международные стандарты труда. Москва. КНОРУС. გვ. 21.

21 Бекашев, Д.К. 2013. международное трудовое право. Публично-правовые аспекты. Москва. Проспект. გვ. 11

მის ნაწილს წარმოადგენს, თუმცა საერთაშორისო სამართლის სხვა ინსტიტუტებთან შედარებით მისთვის უფრო მეტადაა დამახასიათებელი საჯარო სამართლისეული რეგულაციური ნორმების არსებობა.<sup>22</sup>

საერთაშორისო შრომის სამართლის ქვედარგად მიჩნევასთან დაკავშირებით ზვიად გაბისონია აღნიშნავს: „თანამედროვე საერთაშორისო კერძო სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შრომით ურთიერთობებს. უფრო მეტიც, ამგვარი ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმები ევროპულ საერთაშორისო კერძო სამართლის დოქტრინაში ცალკე ქვედარგადაა ჩამოყალიბებული და მას საერთაშორისო შრომის სამართალი ეწოდება.“<sup>23</sup>

ამრიგად, არა გვაქვს ერთგვაროვანი პასუხი კითხვაზე, საერთაშორისო შრომის სამართალი რომელ სფეროს მივაკუთვნოთ: კერძო სამართალს თუ საჯარო სამართალს – საერთაშორისო სამართალს?

სანამ აღნიშნულ საკითხს გავაგრძელებდეთ, მანამ საჭიროდ მიმაჩნია თავად „სამართლის დარგი“ განვმარტოთ, თუმცა ამასთან მიმართებაშიც არ არსებობს ერთგვაროვანი დამოკიდებულება. მიუხედავად ამისა, შეიძლება „სამართლის დარგი“ ზოგადად ჩამოვყალიბოთ, როგორც პოზიტიური სამართლის ნორმათა ერთობლიობა, რომელიც გარკვეული სამართლებრივი რეჟიმის გამოყენებით, აწესრიგებს განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. სამართლის დარგებად დაყოფა ძირითადად სახელმწიფოში მოქმედ სამართალს უკავშირდება და ის ორ ნაწილად – საჯარო და კერძო სამართლად იყოფა. ამდენად, ზოგი დარგი შეიძლება მივაკუთვნოთ საჯარო სამართალს, ზოგიც – კერძო სამართალს, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც თავად სახელმწიფოს შიგნით ხდება კონკრეტული კანონის (კანონების) დარგად მიჩნევა და შემდეგ მისი მიკუთვნება საჯარო ან კერძო სამართლისადმი.

22 ძამუკაშვილი, დ. 2009. შრომის სამართალი, გვ. 199.  
23 გაბისონია ზ. 2016. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, გვ. 300.

გამონაკლისია საერთაშორისო სამართალი, რომელიც მოიცავს „მხოლოდ იმ ნორმებს, ანუ ქცევის წესებს, რომლებიც სახელმწიფოთა, სხვა სუბიექტების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე იქმნებიან და რომელთა შესრულების უზრუნველყოფა თვით სახელმწიფოების, სხვა სუბიექტების მიერ ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ხდება.“<sup>24</sup> ასეთ შემთხვევაში ის ცალსახად მიეკუთვნება საჯარო სამართლის სფეროს.

როდესაც ვსაუბრობთ „საერთაშორისო შრომის სამართალზე“ – ძირითადად აქ მოვიხსენებთ იმ 185-ზე მეტ კონვენციას, თანხმებულ ოქმებს და დეკლარაციებს, რომელიც შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს აწესრიგებს და აზუსტებს. ასევე, როგორც ზევით აღვნიშნე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს რეკომენდაციებიც.

ამდენად, საერთაშორისო შრომის სამართალი ერთგვარი წესების კრებულია, რომელიც გარკვეული გაგებით, საერთაშორისო სამართლის დარგადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომელიც 184-ზე მეტ სახელმწიფოს შრომის სამართალზე მნიშვნელოვან დადებით გავლენას ახდენს. აქვე გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ რატიფიცირების მიუხედავად, წევრმა სახელმწიფოებმა რვა ფუნდამენტური კონვენცია, მაგალითად, იძულებით შრომაზე, გაერთიანების თავისუფლებაზე და სხვა, უნდა დაიცვან და გამოიყენონ, ანუ ეს კონვენციები საერთოა ყველა წევრი ქვეყნისთვის, მიუხედავად იმისა რატიფიცირებულია ისინი თუ არა.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორებს, რომ საერთაშორისო შრომის სამართლის აქტების შინაარსი, ინსტიტუტები, ტერმინები დაკავშირებულია ცალკეული სახელმწიფოს შრომის სამართალთან, ამიტომ საერთაშორისო შრომის სამართალსა და ეროვნულ შრომის სამართალს შორის საკმაოდ მჭიდრო კავშირსაც დავინახავთ. თუ ჩავთვლით, რომ საერთაშორისო შრომის სამართალს მჭიდრო კავშირი აქვს ეროვნული შრომის სამართალთან,

24 ალექსიძე, ლ. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, 2010, 4 გვ.

მაშინ ეს კავშირი შედარებით შრომის და საერთაშორისო კერძო სამართალთანაც უნდა ჰქონდეს. ასეთი ურთიერთდამოკიდებულება იწვევს შრომითი, ანუ როგორც კერძო სამართლებრივი დავების განხილვისა და გადაწყვეტისას, სასამართლოების მიერ საერთაშორისო შრომის სამართლის ნორმების გამოყენებას; შრომასთან დაკავშირებით საერთაშორისო კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ჩართვას და გამოყენებას; შედარებითი შრომის სამართლის შესწავლისას საერთაშორისო შრომის სამართლის ნორმების თეორიულ და პრაქტიკულ გაანალიზებას.

ქართველი და უცხოელი კერძო სამართლის სპეციალისტების შრომები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო შრომის სამართალი არა მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების შრომებში, არამედ აგრეთვე ეროვნული შრომის სამართლის ანუ კერძო სამართლის სპეციალისტების შრომებშიც ისახება.<sup>25</sup>

ამას ვერ ვიტყვით საერთაშორისო სისხლის სამართალზე, საერთაშორისო საჰაერო სამართალზე, საერთაშორისო საზღვაო სამართალზე და ა.შ.

სტატიის ბოლოს, დარგთან მიმართებაში შეიძლება ერთგვარი პარალელი გავავლოთ საერთაშორისო შრომის სამართალსა და სამოქალაქო საპროცესო სამართალს შორის. კერძოდ, საერთაშორისო შრომის სამართალი, ისევე როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალი, საჭარო სამართლის დამოუკიდებელ დარგებს წარმოადგენენ, მაგრამ როგორც სამოქალაქო საპროცესო სამართალი დგას კერძო სამართლის დარგების გვერდით (რაც კარგად ჩანს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებიდან, კერძო

სამართალში მომუშავე მეცნიერების შრომებიდან, სამოქალაქო საქმეებზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა კრებულებიდან და ა.შ.), ასევე საერთაშორისო შრომის სამართალიც კერძო სამართალთან უნდა იყოს დაკავშირებული, რაც ასევე კარგად ჩანს კერძო სამართალთან დაკავშირებულ მეცნიერთა შრომებში.

ამდენად, საერთაშორისო შრომის სამართალი, რომლის საბოლოო მიზანია მონაწილეთა დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომით ურთიერთობები, ეროვნული შრომის სამართლის ანუ ფართო გაგებით, კერძო სამართლის მნიშვნელოვან ნაწილსაც წარმოადგენს. საერთაშორისო შრომის სამართლის მიმართ ასეთი ორმხრივი მიდგომა ხელს უწყობს მის თეორიულ და პრაქტიკულ კვლევას როგორც შრომის სამართლის, ასევე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტების მხრიდან.

## დასკვნა

საერთაშორისო შრომის სამართლის წყაროებს ვერ მივაკუთვნებთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებს და რეგიონალური ორგანიზაციების მიერ, როგორც არის მაგალითად, ევროპის კავშირი, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა და სხვა, მიღებულ ნორმატიულ აქტებს.

საქართველოს შრომის სამართლის მიზანი შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო შრომის სამართლის მიზნებთან.

საერთაშორისო შრომის სამართალი ანუ იგივე ტრანსნაციონალური შრომის სამართალი, რომელშიც შრომის სტანდარტებია ასახული, და ამდენად, მონაწილეების საგანიც ძირითადად შრომის სამართლებრივ ურთიერთობებს წარმოადგენს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საჭარო სამართალს შეიძლება მივაკუთვნოთ, იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ შრომის სამართალთან, რომ ფართო გაგებით, მის განუყოფელ ნაწილადაც შეიძლება მივიჩნიოთ.

25 შველიძე, ზ., ბოდონე, ქ., თოდრია, თ. და სხვები, საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო სტანდარტები, 2017.

გაბისონია, ზ. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, 2016.

ქაშუკაშვილი, დ. შრომის სამართალი, 2009.

Kirchner, J., Kremp P.R. Key aspects of German Employment Labour law, 2018

Blanpain, R. Labour Law in Belgium. 2012.

Bronstein, A. International and comparative Law, 2009



# INTERNATIONAL LABOR LAW IN RELATION TO INTERNATIONAL AND PRIVATE LAW

**Gia Liluashvili**

*Doctor of Law,  
Professor, Georgian-American University  
Associate professor, East European University  
Senior researcher, T. Tsereteli Research Institute  
of State and Law*

## ABSTRACT

The purpose of this article is to clarify the essence of international labor law (transnational labor law). This article presents and analyzes the relationship of international labor law with public international law and national labor law. The article also focuses on the possibility of considering it as a complex field. The article emphasizes the importance of introducing international labor law as a subject in higher education. The article quotes and discusses the opinions of various scholars regarding whether international labor law is a field of public law or private law, a sub-field of international law or private international law, etc.

Subjects and sources of international labor law regulation were defined to determine the attitude towards a specific field of law. This article states that national labor law should be in line with the goals of the International Labor Organization to reduce social inequality, to regulate and protect labor and associated labor relations in accordance with international labor standards and universally recognized human rights. It has been suggested that while international labor law is a branch of public law, it is closely related to private law, in particular, to the national labor law. Other conclusions have been made in this article based on the research methods.

**KEYWORDS:** International Labor Law, Specific Field of Law, Public Law

## BIBLIOGRAPHY:

1. Servais J. M. 2011. International labour law, Wolters Kluwer.
2. Mrachkov, V. 2000. International Labour Law, Sofia. (in Bulgarian)
3. Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics. The Netherlands. Wolter Kluwer.
4. Borroni, A. (Ed). 2016. Commentary on The Labour code of Georgia, Tbilisi. (in Georgian)
5. Swepston, L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. Wolters Kluwer.
6. Bekiashev, D. 2013. International labour Law. Public – Legal aspects. Moscow. (in Russian)
7. Lushnikov, M.. Lushnikov, A. 2010. International Labour Law and international social security law, Yaroslavl. (in Russian)
8. Gusov, K. 2011. Influence of the norms of the international labour organization on national legislation and social policies of Member States.// International, Russian and Foreign Labour and social security legislation. Moscow. (in Russian)
9. Semeshko, A. 2009. International agreements in the field of Labour and their inclusion in the Labour law system of Russia, abstract of dissertation. (in Russian)
10. Available at: <https://www.dissercat.com/content/mezhdunarodnye-dogovory-v-sfere-truda-i-ikh-vklyuchenie-v-sistemu-trudovogo-prava-rossii> (accessed 10.May.2021)
11. Cherniaeva, D. 2010, International Labour standarts, Moscow. (in Russian)
12. Shvelidze, Z. Bodone, Q., Thodria, Th. And others, 2017. Georgian Labour Law and International Standarts, Tbilisi. (in Georgian)
13. Gabisonia.Z. 2016, Georgian International private Law, Tbilisi. (in Georgian)
14. Dzamukashvili, D. 2009, Labour Law, Tbilisi. (in Georgian)
15. Kirchner, J., Kremp P.R. 2018. Key aspects of German Employment Labour law.
16. Blanpain, R. 2012, Labour Law in Belgium.
17. Bronstein, A.2009. International and comparative Law.

## Judicial practice:

1. The Supreme court Decision on the civil Case № as-864-831-2016

## ბიბლიოგრაფია:

1. Servais J. M. 2011. International labour law, Wolters Kluwer,
2. Мръчков, В., 2000. Международно трудово право, София, Сиби,
3. Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics. The Netherlands. Wolter Kluwer,
4. Мръчков В., 2000. Международно трудово право, София, Сиби,
5. ბორონი, ა., (რედ). 2016. საქართველოს შრომის კოდექსის კომენტარი, თბილისი, მერიდიანი.
6. Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. Wolters Kluwer.
7. Бекашев, Д. 2013. международное трудовое право. Публично-правовые аспекты. Москва. Проспект.
8. Лушникова, М. Лушников, А.М. 2010. Международное трудовое право и международное право социального обеспечения, Ярославль, ЯрГУ.
9. Гусов, К. 2011. Влияние норм Международной организации труда на национальное законодательство и социальную политику государств – членов // Международное, российское и зарубежное законодательство о труде и социальном обеспечении: современное состояние (сравнительный анализ). Москва. Проспект,
10. Семешко, А.И. 2009. Международные договоры в сфере труда и их включение в систему трудового права России: автореферат Диссертации.
11. <https://www.dissercat.com/content/mezhdunarodnye-dogovory-v-sfere-truda-i-ikh-vklyuchenie-v-sistemu-trudovogo-prava-rossii> (ხელმისაწვდომია 12.05.2021)
12. Черняева, Д. В. 2010. Международные стандарты труда. Москва. КНОРУС. გვ. 21.
13. Бекашев, Д.К. 2013. международное трудовое право. Публично-правовые аспекты. Москва. Проспект.
15. შველიძე, ზ., ბოდონე, ქ., თოდრია, თ. და სხვები, 2017. საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, საქართველო.
16. გაბისონია, ზ. 2016. ქართული საერთაშორისო კერძო სამართალი, თბილისი, იურისტების სამყარო.

2. Available at: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-samoqalaqo-krebuli9.pdf> (accessed 12.May.2021)
3. Tbilisi Appellate Court Decision on the Civil Case №2b/4864-14. (in Georgian)
4. Available at: <http://library.court.ge/judgements/28862015-10-01.pdf> (accessed 12.May.2021)
17. ძამუკაშვილი, დ. 2009. შრომის სამართალი, თბილისი, ინოვაცია.
18. Kirchner, J., Kremp P.R. Key aspects of German Employment Labour law, 2018
19. Blanpain, R. 2012. Labour Law in Belgium. The Netherlands, Wolters Kluwer.
20. Bronstein, A. 2009. International and comparative Law, Red Global Press

## NOTES:

1. Mrachkov, V. 2000. International Labour Law, Sofia, p.35 (in Bulgarian)
2. Liutov, N., Morozov, P. 2011. International Labour Law, Moscow, p. 14. (in Russian)
3. Mrachkov, V. 2000. International Labour Law, Sofia, p.32. (in Bulgarian)
4. Ibid, p.34.
5. Valticos, N., Samson, K. 1993. International Labour Law, in Comparative labour Law and industrial Labour relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. pp. 77-94.
6. Swepston L. 2014. International Labour Law. comparative labour Law and Industrial Relations in Industrialized Market Economics, The Netherlands. Wolters Kluwer. pp. 155.
7. Liutov, N., Morozov, P. 2011. International Labour Law, Moscow, p. 6. (in Russian)
8. Aleksidze L. 2010, Modern International Law, p.4.

## სასამართლო პრაქტიკა:

1. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო საქმეზე № ას-864-831-2016 <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-samoqalaqo-krebuli9.pdf> (ხელმისაწვდომია 12.05.2016)
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამოქალაქო საქმეზე
3. №2b/4864-14
4. <http://library.court.ge/judgements/28862015-10-01.pdf> (ხელმისაწვდომია 12.05.2021)

# კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა (ქართული პრაქტიკა – ე.წ. „ID ბარათების საქმე“)

## ევრაპიული

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის ქართული  
ენიგერსიტეტის პროფესორი,  
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  
მოსამართლე, სამართლის დოქტორი

საკვანძო სიტყვები: კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა,  
რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა, პირდაპირი ბმა

## 1. დასაბუთების სქემა და გზაჯვარედინები

როგორც არაერთხელ აღნიშნულა, კეთილსინდისიერ წინააღმდეგობასთან<sup>1</sup> დაკავშირებული საქმეები, სამართლებრივი თვალსაზრისით, კომპლექსური ხასიათისაა. ისინი საკითხის სხვადასხვა რაკურსით შესწავლას და სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენებას მოითხოვს, თანაც დიდი სიფრთხილით. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საქმე შეეხება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნდამენტურ უფლებას – რწმენის თავისუფლებას და რწმენის შესაბამისად მოქმედების შესაძლებლობას. ეს ის შემთხვე-

<sup>1</sup> ვგულისხმობ ამ ტერმინის (ინგ: conscientious objection) არა ისტორიულ გაგებას (რელიგიური მოსაზრებების გამო სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმას (მაგ. იხილეთ Black's Law Dictionary, "Conscientious objector", St. Paul, Minn. West Publishing Co. Centennial edition, 1991; გვ.210), არამედ მის ფართო მნიშვნელობას, როდესაც საქმე შეეხება, საზოგადოდ, ინდივიდის მიერ კანონის მოთხოვნის ან ამა თუ იმ რეგულაციიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმას რელიგიური თუ არარელიგიური რწმენიდან გამომდინარე, მათ შორის, მორალის მოსაზრებებით.

ვები, როდესაც ინდივიდს გულწრფელად სჭერა, რომ მისი ეს ქცევა (მოქმედება ან მისგან თავის შეკავება) მისი რწმენის (რელიგიური თუ არარელიგიური) მოთხოვნაა. შესაბამისად, მას არ ძალუძს სხვაგვარად მოქცევა, რადგან „სხვაგვარად“, მისი წარმოდგენით, უკვე თავისი რწმენის დალატი იქნებოდა. ფაქტობრივად, ეს არის რწმენის შესაბამისად მოქმედების, მისი ერთგულების უფლებრივი საკითხი.

მართლაცდა, თუ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის თემის უტრირებას მოვახდენთ, ასეც კი შეიძლება დავსვათ საკითხი – აქვს თუ არა უფლება ინდივიდს, იმოქმედოს თავის რწმენის შესაბამისად და დარჩეს მისი ერთგული? რა თქმა უნდა, შეიძლება ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გაიცეს, თუმცა, ძალზე ბევრი წინაპირობის დათქმით.

იმისათვის, რათა გაირკვეს, მოიპოვებს თუ არა გარკვეული საჯარო აქტების მიმართ რწმენის საფუძველზე წარმოშობილი ინდივიდის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა სამართლებრივ დაცვას, სასამართლოს ან ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევარს არაერთ კითხვაზე მოუწევს პასუხის გაცემა, თანაც, გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით. პრობლემის მრავალპლანიანობის გათვალისწინებით, დასაბუთებისა და ანალიზის ლოგიკური სქემა არაერთ გზაჯვარედინს გულისხმობს, სადაც მსჯელობის ყოველი ახალი მიმართულება მართებულად უნდა იქნეს შერჩეული.

ამ გზაზე პირველი გზაჯვარედინი იმის გარკვევაა, შეეხება თუ არ საქმე „ლეგიტიმურ“ რწმენას.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სამართალმა უკვე დიდი ხანია შემოიტანა რწმენის „ლეგიტიმურობის“ კონცეფცია და დაადგინა, რომ პირველ რიგში, რწმენა არ უნდა იყოს დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებთან შეუთავსებელი (1) და იმავდროულად, მას უნდა გააჩნდეს განსაზღვრული ხარისხის დამატებლობა, სერიოზულობა, თანმიმდევრულობა და მნიშვნელოვნება (2) ( a certain level of cogency,

seriousness, cohesion an importance).<sup>2</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერ საკითხზე ნებისმიერი მოსაზრება ვერ იქნება მიჩნეული „რწმენად“ კონვენციის გაგებით, თუკი ის არ შეეხება საკმარისად მნიშვნელოვან საკითხს, არ წარმოადგენს კარგად ჩამოყალიბებულ კონცეფციას, რომელიც ლოგიკურადაა დასაბუთებული შესაბამისი არგუმენტებით. ამგვარად, დემოკრატიულ ღირებულებებთან შეუთავსებელი რწმენის საფუძველზე წარმოშობილი კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა, ისევე როგორც იმგვარ მოსაზრებებზე დაფუძნებული ქმედება, რომელიც არ წარმოადგენს „რწმენას“ კონვენციის გაგებით, იმთავითვე ექცევა დაცული სფეროს მიღმა.

თუმცა, მაშინაც კი, როდესაც ზემოაღნიშნული ორივე კრიტერიუმი დაკმაყოფილებულია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ „ლეგიტიმურ“ რწმენაზე დაფუძნებული კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა აუცილებლად მოიპოვებს დაცვას. რწმენის თავისუფლება ისედაც არ არის აბსოლუტური უფლება და ნებისმიერ ღირებულებათა კონფლიქტში შეიძლება შეიზღუდოს მისი forum externum კომპონენტები, კერძოდ, ის, რაც „რწმენის გაცხადებას“ წარმოადგენს. გააჩნია ღირებულებათა კონფლიქტს, რწმენის თავისუფლებასთან დაპირისპირებულ სიკეთეს, შეზღუდვის რაობასა და ინტენსივობას და კიდევ სხვა არაერთ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენს ღირებულებებს შორის ბალანსის სამართლიანობაზე.

მეორე გზაჯვარედინზე ის ხდება გამოკვლევის საგანი: წარმოადგენდა თუ არა ინდივიდის ქმედება მართლაც მისი რწმენის „გაცხადებას“. რამდენადაც პრაქტიკამ აჩვენა, იშვიათი არ იყო შემთხვევები, როდესაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა რელიგიური ნორმებისა თუ ფილოსოფი-

2 Eweida and Others v. the United Kingdom, Judgment of 25 May 2013; [http://hudoc.echr.coe.int/eng#{"itemid":\["001-115881"\]}](http://hudoc.echr.coe.int/eng#{) იხ. აგრეთვე, Bayatyan v. Armenia [GC], no. 23459/03, § 110, ECHR 2011; Leela Förderkreis e.V. and Others v. Germany, no. 58911/00, § 80, 6 November 2008; Jakóbski v. Poland, no. 18429/06, § 44, 7 December 2010).

ური დოქტრინების ვიწრო პერსონალურ ინტერპრეტაციებს ემყარებოდა და არა ოფიციალურ, აღიარებულ ან ტრადიციულ გაგებას. ამ მიმართებით, სტრასბურგის სასამართლომ შემოიტანა „პირდაპირი და უშუალო კავშირის“ კრიტერიუმი (რწმენის მოთხოვნებსა და ინდივიდის ქცევას შორის). ამგვარად, ამ კონტექსტში პირველად გამოჩნდა გარკვეული უკანდახევა, კერძოდ, იმაზე უარის თქმა, რომ ინდივიდის პოზიცია, მისი გულწრფელობის მიუხედავად, სასამართლოსთვის გადამწყვეტი ყოფილიყო. ამგვარად, მაშინ, როდესაც ინდივიდს გულწრფელად სჭერა, რომ მისი ქმედება მისი რწმენით (რომლის ლეგიტიმურობაზე ეჭვები აღარ არსებობს) არის ნაკარნახევი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ეს ქმედება შესაბამისი რწმენის „გაცხადებად“ აუცილებლად იქნება მიჩნეული და, შესაბამისად, დაცულ სფეროში მოქცეული ფორმალურად. ამგვარად, წინააღმდეგობის „კეთილსინდისიერება“ გადამწყვეტი არ არის, ის აუცილებელი პირობაა, მაგრამ არა საკმარისი.

საზოგადოდ, არაგონივრულად არ მიმჩნია „პირდაპირი და უშუალო კავშირის“ კრიტერიუმის შემოღება, თუმცა, იმას კი ვიტყვოდი, რომ ძალზე ფრთხილად უნდა იქნეს ის გამოყენებული და მხოლოდ ძალზე აშკარა შემთხვევებში უნდა ითქვას უარი ინდივიდის ქმედების მისი რწმენის „გაცხადებად“ მიჩნევაზე. ცხადია, ინდივიდის ქცევასა და რწმენის მოთხოვნებს შორის გონივრული და რაციონალური კავშირი უნდა არსებობდეს და კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა არ ემყარებოდეს რწმენის მოთხოვნების მეტისმეტად ფართო და თავისუფალ ინტერპრეტაციებს, მაგრამ ინდივიდის გულწრფელ მოსაზრებებსა და აღქმებს სათანადო მნიშვნელობა უნდა მიეცეს. ეს სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც უნდა მოქმედებდეს პრინციპი – *in dubio pro libertate*.<sup>3</sup>

შემდეგ გზაჯვარედინზე მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხი ხდება გადასაწყვეტი:

3 ლათ: ყოველგვარი ეჭვი თავისუფლების სასაზღვრებლოდ.

ვგულისხმობ იმის შეფასებას, მოხდა თუ არა რაიმე ღონისძიების მეშვეობით სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ვინმეს რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში? საქმე ისაა, რომ ჩვეულებრივ, ასეთ დროს ნაგულები ჩარევა უკავშირდება სახელმწიფოს ამა თუ იმ კანონს, რეგულაციას, რომელსაც შინაარსობრივად ნეიტრალური ხასიათი აქვს და, შესაძლოა, არა თუ პირდაპირ ჩარევას არ გულისხმობდეს რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში, არამედ, საერთოდ არ ეხებოდეს რწმენისა და რელიგიის საკითხებს. კიდევ უფრო ჩახლართული პრობლემაა იმის გააზრება, თუ რომელი კომპონენტია სავარაუდო ინტერვენციის საგანი – რწმენის/რელიგიის თავისუფლების *forum internum* თუ *forum externum* კომპონენტი? ანდა არსებობს თუ არა მათ შორის მკვეთრი ზღვარი? გარდა ამისა, გასათვალისწინებელია, რომ რწმენის/რელიგიის თავისუფლების *forum externum* კომპონენტში ჩარევა შესაძლოა გამართლდეს ღირებულებათა შესაბამის კონფლიქტში და ეს თავისუფლება სხვა უფლებამ ან საჯარო ინტერესმა გადაწონოს, მაგრამ თავისუფლების *forum internum* კომპონენტში ჩარევა ვერასდროს გამართლდება. ამიტომაც არის ეგზომ მნიშვნელოვანი იმის დადგენა, მოხდა თუ არა თავისუფლებაში ჩარევა და კერძოდ, რომელ კომპონენტში.

დასაბუთების საქმის ამავე ეტაპზე, პარალელურად, პასუხის გაცემას მოითხოვს შემდეგი საკითხი – შეიძლება თუ არა შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულაცია, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს რელიგიისა და რწმენის საკითხებთან, ახორციელებდეს ამ თავისუფლებაში ჩარევას. ამ საკითხზე სტრასბურგის სასამართლომ მკვეთრი და ნეგატიური პასუხი გასცა<sup>4</sup>,

4 იხ: *Skugar and others v. Russia*, 2009 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება, სადაც სასამართლომ მიუთითა: „კონვენციის ორგანოებს დადგენილი აქვთ, რომ საერთო კანონმდებლობა, რომელიც გამოიყენება ნეიტრალურ საფუძველზე და არ გააჩნია არანაირი კავშირი მომჩივნის პიროვნულ რწმენასთან, არ შეიძლება, პრინციპულად, მიჩნეულ იქნეს მე-9 მუხლის უფლებებში ჩარევად“. საჩივარი გამოცხადდა დაუ-

ხოლო აშშ-ის უზენაესმა სასამართლომ უფრო ფართილი დამოკიდებულება გამოავლინა. კერძოდ, მან დაადგინა, რომ ზოგადი ხასიათის ნორმები, რომლებსაც გვერდითი ეფექტი გააჩნდათ რელიგიის თავისუფლებაზე, არ საჭიროებდა მკაცრი ტესტის გამოყენებას და ამგვარ შემთხვევებში გამოყენებული უნდა ყოფილიყო რაციონალური დიფერენციაციის ტესტი<sup>5</sup>. ასეთ დროს საჭირო აღარ იყო ღონისძიების გამართლება მყარი საჯარო ინტერესით, საკმარისი იყო, რეგულაცია რაციონალურ მიმართებაში ყოფილიყო ლეგიტიმურ საჯარო ინტერესთან იმისათვის, რათა შეზღუდვა კონსტიტუციურად მიჩნეულიყო.<sup>6</sup>

ზემოაღნიშნული საკითხი, ვფიქრობ, ცალსახა არ არის. საზოგადოდ, სრულიადაც არ არის უარყოფილი ის, რომ ნეიტრალური რეგულაცია შეიძლება გულისხმობდეს სერიოზულ ტვირთს ადამიანთა რწმენისა და რელიგიური გრძნობებისათვის. ამის ნათელი მაგალითი ისიცაა, რომ სწორედ სავალდებულო სამხედრო სამსახურის რეგულაციებს უკავშირდებოდა მათ მიმართ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის წარმოშობა იმ ჭკუების მხრიდან, ვისთვისაც რელიგიური თუ მორალური მოტივებით მიუღებელი იყო ომში მონაწილეობა და მკვლელობის იარაღის ხელში აღება.

შვებლად.

5 იხ. მაგ. Valov v. Dep't of Motor Vehicles, 132 Cal. App. 4th 1113, 1125 (Cal. Ct. App. 2005). ანალიზისთვის იხ. Cynthia Brougher, Legal analysis of religious exemptions for photo identifications requirements, CRS Reoirt for Congress, 2, (2012).

6 კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც საქმე შეხებოდა სახელმწიფოს მიერ ნეიტრალური წინაარსისა და საერთო გამოყენების რეგულაციის დადგენას, საჭირო აღარ იყო ღონისძიების გამართლება მყარი საჯარო ინტერესით, თუნდაც კანონს ჰქონოდა ცალკეულ რელიგიურ პრაქტიკაზე ნეგატიური ეფექტი. საკმარისი იყო, რეგულაცია რაციონალურ მიმართებაში ყოფილიყო ლეგიტიმურ საჯარო ინტერესთან იმისათვის, რათა შეზღუდვა კონსტიტუციურად მიჩნეულიყო. Hernandez v. Northside Indep. Sch. Dist.; United States District Court, Western Tistrict of Texas, San Antonio Division, 08/01/2013.  
[https://www.rutherford.org/files\\_images/general/01-08-2013\\_Hernandez\\_Ruling.pdf](https://www.rutherford.org/files_images/general/01-08-2013_Hernandez_Ruling.pdf)

საგულისხმოა, რომ ტერმინი – „კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის“ (conscientious objection) – წარმოშობაც სწორედ ამ თემას უკავშირდებოდა ისტორიულად. ცხადია, რეგულაცია/კანონი სავალდებულო სამხედრო სამსახურის თაობაზე წინაარსობრივად ნეიტრალურია და ამასთან, არ გააჩნია პირდაპირი ბმა რელიგიისა და რწმენის საკითხებთან. უფრო მეტიც, თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში ფაქტობრივად არც ხდება ისე, რომ სახელმწიფომ მიიღოს კანონი, პირდაპირ რომ ხელყოფს რელიგიის/რწმენის თავისუფლებას.

მაგრამ სწორედ აქ არის, ჩემი აზრით, მთავარი ქვაკუთხედი იმ პრობლემებისა, რომლებიც თავს იყრის კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საქმეებში. კერძოდ, იმის აღიარება, რომ ნეგატიური ტვირთის გამოწვევა რწმენის/რელიგიის თავისუფლებისათვის შესაძლებელია წინაარსობრივად ნეიტრალური კანონითაც, სრულიადაც არ ნიშნავს, რომ „ჩარევა“ ნამდვილად სახეზეა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ დროს სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური ვალდებულების დარღვევას ადგილი არა აქვს. თუმცა სახელმწიფო, შესაძლოა, მაინც არღვევდეს რწმენის/რელიგიის თავისუფლებას რაიმე პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობით. შესაბამისად, საქმეც იმის გარკვევაა, წარმოეშვა თუ არა სახელმწიფოს შესაბამის შემთხვევაში რაიმე კონკრეტული პოზიტიური ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობაც ვინმეს რწმენის/რელიგიის თავისუფლებას დაარღვევდა.

ამგვარად, რაკი პირდაპირი ჩარევა ნაკლებ მოსალოდნელია, მომდევნო გზაჯვარედინზე, დასაბუთების სქემა მოითხოვს იმის გარკვევას, წარმოეშვა თუ არა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება რწმენის/რელიგიის თავისუფლების მიმართ და შეასრულა თუ არა ის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საქმეებში მორწმუნეთა პრობლემა უკავშირდებოდა არა უშუალოდ წინაარსობრივად ნეიტრალურ რეგულაციის არსებობას, არამედ ამ რეგულაციიდან მათთვის გამოწვეული დაწესებებზე უარს, მათი მოთხოვნა

ნის მიუხედავად. შესაბამისად, მორწმუნეთა დაქვემდებარებას ამ საერთო რეგულაციისადმი, რომლის მიმართაც გააჩნდათ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობა.

აი, ამ ეტაპზე კიდევ ერთი გზის გასაყარია. კერძოდ, უნდა შემოწმდეს, დაირღვა თუ არა რწმენის/რელიგიის თავისუფლება სახელმწიფოს მხრიდან საერთო რეგულაციიდან გამონაკლისის დაუწესებლობით. ამ მიმართებით, ვითარება სულ სხვადასხვაგვარად შეიძლება განვითარდეს და სამართლებრივი შეფასებაც იმისა, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ პოზიტიური ვალდებულება საერთო რეგულაციიდან გამონაკლისის დაუწესებლობით, ამ ვითარებაზე დამოკიდებული. უწინარესად ვგულისხმობს იმას, თუ რა შედეგები მოჰყვა ნეიტრალური რეგულაციის მოქმედებას და მისი მოთხოვნების შეუსრულებლობას.

ის შედეგები, რომლებიც დადგება, თუ კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის მქონე ინდივიდი არ დაემორჩილება საერთო ნეიტრალურ რეგულაციას და უარს იტყვის მისი მოთხოვნების შესრულებაზე, არსებითია, მაგრამ გადამწყვეტი არ არის. ცნობილი სასამართლო პრეცედენტებით თუ ვიმსჯელებთ, შედეგები შეიძლება იყოს სრულიად განსხვავებული: ნეიტრალური რეგულაციის მოთხოვნის შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი პასუხისმგებლობა<sup>7</sup> (სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული); სამსახურიდან გათავისუფლება<sup>8</sup>,

7 მაგალითისათვის იხილეთ აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული საქმე *Wisconsin v. Yoder*, რომელიც შეეხებოდა სკოლის მოსწავლეთა მშობლების სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემას იმის გამო, რომ ისინი უარს აცხადებდნენ საკუთარი შვილების სკოლის დამამთავრებელ კლასებში მიყვანაზე, მაშინ როდესაც კანონით ბავშვებისთვის სკოლაში სიარული 16 წლამდე სავალდებულო იყო; 406 US 205 (1972).

8 მაგალითისათვის იხილეთ საქმე *Eweida and Others v. The United Kingdom* (Judgment of 25 May 2013), რომელიც შეეხებოდა ოთხი მორწმუნე ქრისტიანის სამსახურიდან გათავისუფლებას, მათი მხრიდან რწმენის გამო გარკვეული სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებაზე უარის გამო.

სამსახურის დატოვების იძულება<sup>9</sup>, პრივილეგიებისა თუ ბენეფიტების მიღების უფლების დაკარგვა<sup>10</sup>, დისკომფორტი<sup>11</sup> და სხვ. ამასთან, კარგად უნდა გავმიჯნოთ შემთხვევათა ორი წყება: სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება ან თანამდებობიდან გათავისუფლება კონკრეტულ რეპრესიულ აქტს გულისხმობს მორწმუნის წინააღმდეგ, მაშინ როდესაც, პრივილეგიებისა და ბენეფიტების მიღების უფლების დაკარგვა ან გარკვეული დისკომფორტის წარმოშობა, ჩვეულებრივ ასეთ ნაბიჯებს არ გულისხმობს და ავტომატურად მოჰყვება მორწმუნის უარს – შეასრულოს საერთო ნეიტრალური რეგულაციის გარკვეული მოთხოვნა.

იხილეთ აგრეთვე საქმე *Knudsen v. Norway*, რომელიც შეეხებოდა რელიგიის მინისტრის თანამდებობიდან გათავისუფლებას მასზე დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო (ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის 1985 წლის 8 მარტის განჩინება).

9 იხილეთ საქმე *U.S. Equal Employment Opportunity Commission v. Consol Energy, INC*; United States Court of Appeals for the Fourth Circuit; 16-12-30, 12/06/2017.

10 იხ: *Bowen v. Roy*, რომელიც შეეხებოდა სოციალური უზრუნველყოფის მიღების უფლების დაკარგვას რელიგიური მოტივით სოციალური უზრუნველყოფის ნომრის მინჭებაზე უარის გამო. იხ. აგრეთვე საქმე *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*, რომელიც შეეხებოდა შეხებოდა ინდივიდებს, რომლებიც ვერ იღებდნენ უმუშევრობის შეწყალებას იმის გამო, რომ სამსახურიდან გათავისუფლებულნი იყვნენ ჰალუცინოგენური მცენარის – პეილტის – მოხმარებისთვის) *Employment Division, Department of Human Resources of Oregon v. Smith*, 494 US 872 (1990)).

11 იხ. საქმე *Hernandez v. Northside Indep. Sch. Distr.*, რომელიც შეეხებოდა სტუდენტის მიერ კამპუსის ტერიტორიაზე სავალდებულო ჩიპიანი ბეიჯის ტარებაზე უარს. ასეთი ბეიჯის უქონლობის გამო ის ვერ ახრეხებდა კაფეტერიაში გადახდას, ბიბლიოთეკიდან წიგნის გატანას და სხვა; *United States District Court, Western District of Texas, San Antonio Division*, 08/01/2013. პრაქტიკულად, წინამდებარე სტატიაში განხილული ქართული საქმეც უკავშირდება მომჩივნებისათვის წარმოშობილ დისკომფორტს, რომელიც მათ შეექმნათ პირადობის დამადასტურებელი მოწმობების უქონლობის გამო, რამდენადაც მათ უარი თქვეს ახალი ჩიპიანი მოწმობების აღებაზე.



ამგვარად, მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა შედეგები დადგა, რა წარმოშობა და ბუნება გააჩნია მათ, პირდაპირია ეს შედეგები, თუ თანმხლები. იმისდა მიხედვით, გატარდა თუ არა ინდივიდის წინააღმდეგ კონკრეტული რეპრესიული ღონისძიება, შესაძლოა, კვლავ დღის წესრიგში დადგეს „რწმენის თავისუფლებაში „ჩარევის“ საკითხი. ამ შემთხვევაში „ჩარევის“ დადგენისას მხედველობაშია არა ნეიტრალური რეგულაციით/კანონით ჩარევის კონტექსტი, არამედ მისი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ინდივიდის წინააღმდეგ გატარებული ღონისძიება. ვითარებები შესაძლოა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდეს. როდესაც მორწმუნის წინააღმდეგ ხდება რაიმე რეპრესიული ღონისძიების გატარება (სამართლებრივი პასუხისმგებლობა, სამსახურიდან გათავისუფლება), ეს შეიძლება, გარკვეულ შემთხვევებში (როდესაც ამის გამომრიცხველი გარემოებები არ არსებობს), ჩაითვალოს რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევად, რომლის მართლზომიერება უკვე ჩარევის აუცილებლობის, ლეგიტიმური მიზნებისა და პროპორციულობის ტესტებით უნდა შეფასდეს, და შესაბამისად, ან იქნება მიჩნეული გამართლებულად, ან არა. ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც მორწმუნის წინააღმდეგ კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობისათვის რეპრესიული ღონისძიების გატარება არ ხდება, ხოლო ნეგატიური შედეგები ავტომატურად წარმოიშობა, მაშინ რთულია, ამ შედეგების წარმოშობა სახელმწიფოს „ჩარევად“ მივიჩნიოთ. ასეთ დროს მხოლოდ პოზიტიური ვალდებულების ქრისტიანულ უნდა გადაწყდეს ყველაფერი.

თავის მხრივ, აქ ორი კონტექსტია გასათვალისწინებელი:

ა) **თავდაპირველი კონტექსტი** – ვალდებულებები ნორმის შემუშავების პროცესში.

ამ დროს უნდა გაირკვეს, დაარღვია თუ არა სახელმწიფომ პოზიტიური ვალდებულება მაშინ, როდესაც მიიღო საერთო რეგულაცია და მისგან არ გაითვალისწინა გამონაკლისი მორწმუნეთა შესაბამისი ჯგუ-

ფისათვის; ამ დროს შესაფასებელი იქნება, იყო თუ არა სახელმწიფოსათვის განჭვრეტადი ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებში კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის წარმოშობა და, თუ იყო, გადაწონიდა თუ არა საერთო ნეიტრალური რეგულაციის ლეგიტიმურ მიზანთა მნიშვნელობა მორწმუნეთა რწმენის/რელიგიის თავისუფლებას; სწორედ ამ საკითხების გარკვევით დადგინდება, წარმოეშვა თუ არა სახელმწიფოს ნეიტრალური რეგულაციიდან გამონაკლისის დაწესების ვალდებულება ამ რეგულაციის მიღების დროს.

ბ) **შემდგომი კონტექსტი** – ვალდებულებები ნორმის ამოქმედების შემდეგ.

ამ დროს უნდა გაირკვეს, წარმოეშვა თუ არა სახელმწიფოს რაიმე პოზიტიური ვალდებულება უკვე საერთო ნეიტრალური რეგულაციის ამოქმედების შემდეგ დამდგარ შედეგებთან მიმართებაში, კერძოდ, იმ ნეგატიური შედეგების გამოსწორების, აღმოფხვრის სფეროში, რომლებიც ავტომატურად მოჰყვა მორწმუნეთა გარკვეული ჯგუფისათვის ამ ნეიტრალური რეგულაციის მოქმედებას.

ვფიქრობ, ამ კონტექსტში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების წარმოშობა უფრო მეტად მოსალოდნელია, მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური შედეგები ავტომატურად მოჰყვება შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულაციის შეუსრულებლობას, და მაშასადამე, მორწმუნის შეგნებულ არჩევანს – არ დაქვემდებარებოდა რეგულაციას რწმენის გამო, და ეწვნია შესაბამისი შედეგი – გარკვეული სიკეთის, სარგებლის, ბენეფიტის დაკარგვა ან რაიმე დისკომფორტის წარმოშობა. სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში მიუღებელი იქნება, სახელმწიფომ მიატოვოს ადამიანი და არ დაეხმაროს იმ ნეგატიური შედეგების დაძლევაში, რაც მის გულწრფელ, თუნდაც მცდარ შეხედულებებსა და შესაბამის ქმედებას მოჰყვა, მით უმეტეს, მაშინ, როდესაც შესაბამის შედეგთა დადგომა არ იყო ინდივიდის მხრიდან წინასწარვე ბოლომდე განჭვრეტილი და შეგნებულად დაშვებული.

აი, ეს გახლავთ ის სამსჯელო თემები, რომლებსაც კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საქმეთა გადაწყვეტა მოითხოვს და, ის ლოგიკური ეტაპები თუ გზაჯვარედინები, რომლებსაც დასაბუთების სწორი სქემა გულისხმობს. სწორედ ეს თემები, შესაბამისი თანმიმდევრობით, გახდა მსჯელობის საგანი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში ქვემოთ აღწერილი საქმის განხილვისას. ვფიქრობ, სასამართლომ პასუხი გასცა ყველა წამოჭრილ საკითხსა თუ პრობლემას. მან, შეიძლება ითქვას, საპირისპირო არგუმენტების ზღვაში ბენჯის ხიდზე გაიარა და დასაბუთებული გადაწყვეტილება გამოიტანა.

## 2. ე.წ. "ID ბარათების საქმე"

### 2.1. სარჩელის არსი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ განხილული საქმე „ნანა სეფაშვილი და ია რეხვიაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, არაერთი თვალსაზრისით არის საინტერესო. იგი შეეხებოდა რელიგიური მოსაზრებების გამო მოსარჩელეთა უარს, აეღოთ ისეთი პირადობის მოწმობები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციის ელექტრონულ მატარებელს.<sup>12</sup> სასამართლომ კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებაში შეაფასა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და რეგისტრაციიდან მოხსნის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობის, პასპორტის, სამგზავრო პასპორტისა და სამგზავრო დოკუმენტის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტი-

ციის მინისტრის 2011 წლის 27 ივლისის №98 ბრძანების იმ ნორმების ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციურობა, რომელიც გამორიცხავდა ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის გარეშე პირადობის მოწმობის გაცემას პირებზე, რომლებიც რწმენის გამო უარს აცხადებენ ამგვარი დოკუმენტის მიღებასა და გამოყენებაზე. მათი რელიგიური წინააღმდეგობა დაფუძნებული იყო ბიბლიურ წინასწარმეტყველებაზე ადამიანების ტოტალური კონტროლისა და აპოკალიფსის შესახებ.<sup>13</sup> მოსარჩელე მხარის განმარტებით, დოკუმენტის ელექტრონული მატარებელი (ჩიპი) წაკითხვადი იყო დისტანციურად და იძლეოდა მისი მფლობელის კონტროლის საშუალებას. არსებობდა რეალური საფრთხე იმისა, რომ ელექტრონულ დოკუმენტზე განთავსებული პირადი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გამხდარიყო მესამე პირებისთვის ე.წ. „წამკითხველების“ დახმარებით. ამის გამო იზრდებოდა ელექტრონულ მატარებელზე არსებული მონაცემების შეცვლის, წაშლის და მასში ანტიქრისტიანული სიმბოლოების შეყვანის საფრთხე, რაც არღვევდა მართლმადიდებელ ქრისტიანთა რელიგიის თავისუფლებას. ის გარემოება, რომ ელექტრონული დოკუმენტები წარმოადგენდა ადამიანის პირადი მონაცემების დაცვის მაღალტექნოლოგიურ, თანამედროვე და გაუყალბებელ დოკუმენტებს, არ შეიძლებოდა გამხდარიყო მოქალაქეთა რწმენისა და სხვა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვის თვითკმარი საფუძველი. პირადობის მოწმობის მიზანს მხოლოდ პიროვნების მოქალაქეობის, ვინაობისა და საცხოვრებელი ადგილის დადასტურება

12 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 4 ივნისის გადაწყვეტილება # 1404 კონსტიტუციურ სარჩელზე.

13 მოსარჩელეთა აზრით, პირადობის ელექტრონული მოწმობა წარმოადგენდა ანტიქრისტულ ბეჭდისკენ მიმავალ გზას, რის გამოც აღნიშნული დოკუმენტის ფლობა ეწინააღმდეგებოდა მართლმადიდებელთა რწმენას. მათი მითითებით, წმინდა წერილები აფრთხილებენ მართლმადიდებელ ქრისტიანებს, არ მიეღოთ ელექტრონული დოკუმენტები, ვინაიდან მათი საშუალებით ხდებოდა ადამიანების ტოტალური კონტროლი, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა ბიბლიურ წინასწარმეტყველებას აპოკალიფსის შესახებ.

წარმოადგენდა, რა ფუნქციასაც ე.წ. ლა-  
მინირებული დოკუმენტებიც ასრულებდა.  
შესაბამისად, მათი აზრით, სახელმწიფოს  
უარი – გაეცა მათთვის უჩიპო დოკუმენტები,  
გარდა იმისა, რომ მათ რწმენას ლახავდა,  
ზემოაღნიშნული თვალსაზრისითაც აზრს  
მოკლებული და გაუმართლებელი იყო.

მოსარჩევეებს საკითხი დაყენებული  
ჰქონდათ როგორც კონსტიტუციის მე-16  
მუხლის (რწმენის თავისუფლება), ისე კონ-  
სტიტუციის მე-11 მუხლის (თანასწორობის  
უფლების) ქრილში.

## 2.2. სასამართლოს შეფასება

**ა) შეხებოდა თუ არა საქმე „ლეგიტიმურ“  
რწმენას და წარმოადგენდა თუ არა მოსარ-  
ჩევეთა უარი მათი რწმენის „გაცხადე-  
ბას“.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამა-  
რთლომ პირველ რიგში შეაფასა, იყო თუ  
არა მოსარჩევეთა რწმენა კონსტიტუციის  
მე-16 მუხლის პირველი პუნქტის მოქმედე-  
ბის სფეროში მოქცეული და დადებით და-  
სკვნამდე მივიდა. ერთი მხრივ, მან ის და-  
ადასტურა, რომ მოსარჩევეთა რწმენა არ  
იყო დემოკრატიასა და ადამიანის უფლე-  
ბებთან შეუთავსებელი, ხოლო მეორე – ის  
გარემოება, რომ იგი აკმაყოფილებდა  
დამატებლობის, თანმიმდევრულობისა  
და სერიოზულობის სტანდარტს, გაითვა-  
ლისწინა რა, რომ ქრისტიანულ სამყაროში  
ფართოდ იყო გავრცელებული ანალოგიუ-  
რი მოსაზრებები ელექტრონული (ჩიპიანი)  
დოკუმენტების ანტიქრისტესთან კავშირის  
შესახებ და რომ მათ გააჩნდათ გარკვეული  
დასაყრდენი ბიბლიასა და მართლმადი-  
დებლურ სწავლებაში. შესაბამისად, რწმე-  
ნის ლეგიტიმურობის შეფასებისას, სასამა-  
რთლო აღარ წასულა ამაზე შორს.

შემდეგ ეტაპზე, სასამართლომ შეაფა-  
სა, წარმოადგენდა თუ არა მოსარჩევეთა  
უარი, აეღოთ ჩიპიანი პირადობის მოწმო-  
ბა, მათი „რწმენის გაცხადებას“ და გამო-  
იყენა „მჭიდრო და პირდაპირი კავშირის“  
(რწმენის მოთხოვნებსა და ქმედებას შო-

რის) კრიტერიუმი. ამასთან, უნდა აღინიშ-  
ნოს, რომ ამ კრიტერიუმის გამოყენებისას  
სასამართლომ ერთგვარი სიფრთხილე გა-  
მოიჩინა და აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო  
სასამართლოს საქმე არ იყო რელიგიური  
ტექსტების ინტერპრეტაცია და იმაზე უტყუ-  
არი დასკვნების გაკეთება, წარმოადგენდა  
თუ არა მოსარჩევეთა ქცევა მათი რელი-  
გიის უშუალო მოთხოვნას და, არც ის იყო  
გადამწყვეტი, იზიარებენ თუ არა მოსარჩე-  
ვეთა მოსაზრებებს შესაბამისი კონფესი-  
ის სხვა წარმომადგენლები. შესაბამისად,  
მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩევეთა  
მოსაზრებებს არ იზიარებდა ქართული მა-  
რთლმადიდებელი ეკლესიის წევრთა დიდი  
უმრავლესობა და წმინდა სინოდსაც და-  
დგენილი ჰქონდა, რომ ID ბარათის წარმო-  
დგენილი ვერსია, საღვთისმეტყველო და  
საეკლესიო სწავლების მიხედვით, არ წა-  
რმოადგენდა ანტიქრისტეს ბეჭედს და ამ  
ბარათით სარგებლობა შესაძლებელი იყო,  
საკონსტიტუციო სასამართლომ არ უარყო,  
რომ მოსარჩევეთა უარი ჩიპიანი დოკუ-  
მენტების სარგებლობაზე წარმოადგენდა  
მათი რწმენის „გაცხადებას“ კონსტიტუციის  
გაგებით.

სასამართლოს აზრით, დაუშვებელი  
იყო, რწმენის თავისუფლებით დაცულო-  
ბის ფარგლებში ნაგულვეტი ყოფილიყო  
პირის მხოლოდ ის რელიგიური მოსაზრე-  
ბები, რომლებსაც შესაბამისი კონფესიის/  
რელიგიური ჯგუფის წევრთა უმრავლესობა  
იზიარებდა. ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშ-  
ვნელობა უნდა მინიჭებოდა პირის გულ-  
წრფელობას და მისი წინააღმდეგობის  
კეთილსინდისიერებას. აქ სასამართლომ  
გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მო-  
სარჩევე ნანა სეფაშვილმა, რომლის პი-  
რადობის მოწმობასაც 2016 წელს გაუვიდა  
მოქმედების ვადა, უარი თქვა ელექტრო-  
ნული მატარებლის შემცველი დოკუმენტის  
აღებაზე; მას შემდეგ არ გააჩნდა პირადო-  
ბის დამადასტურებელი არავითარი ოფიცია-  
ლური დოკუმენტი, რის გამოც ელახებოდა  
სხვა უფლებები და თავისი პროფესიული  
საქმიანობის განხორციელებაზეც კი მოუ-  
წია უარის თქმა. გარდა ამისა, საგულისხმო

იყო ისიც, რომ მოსარჩელებმა საერთო სასამართლოების ყველა ინსტანციაში იდავეს თავიანთი დაღვეულად ნაგულვები უფლებების დასაცავად და არაეფექტრონული პირადობის მოწმობის მისაღებად. სასამართლოს თქმით, მას არ გააჩნდა არავითარი საფუძველი მოსარჩელეთა რელიგიური წინააღმდეგობის კეთილსინდისიერებაში ეჭვის შესატანად და დაასკვნა, რომ მათი რელიგიური წინააღმდეგობა იყო ნამდვილი და დაკავშირებული მორალურ განცდებთან, ხოლო ელექტრონული დოკუმენტების მიღებაზე უარის თქმა აღქმული ჰქონდათ, როგორც რელიგიური რწმენიდან გამომდინარე მოთხოვნა.

ზემოაღნიშნული დასკვნების მიუხედავად, საკონსტიტუციო სასამართლომ მაინც უარი თქვა სადავო ნორმების ანტიკონსტიტუციურად გამოცხადებაზე, ვინაიდან, დაადგინა, რომ ისინი არ გულისხმობდნენ მოსარჩელეთა რწმენის თავისუფლებაში სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას, და არც რაიმე პოზიტიური ვალდებულებების დარღვევას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლომ დაინახა სახელმწიფოს ძლიერი პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვა უკვე სადავო ნორმების ამოქმედების შემდეგ შექმნილი დე ფაქტო ვითარებასთან მიმართებაში. კერძოდ:

#### ბ) თუ რატომ არ იყო „ჩარევა“:

პირველ რიგში, საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მის წინაშე იდგა ამოცანა, შეეფასებინა საკითხი, განხორციელდა თუ არა სადავო ნორმებით მოსარჩელეთა რწმენის გაცხადების თავისუფლებაში (forum externum) ჩარევა. თუმცა, ვინაიდან მოსარჩელეთა აზრით, სადავო ნორმები იმავდროულად გულისხმობდა მათი რწმენის თავისუფლების შინაგან კომპონენტებში (forum internum) ჩარევას, სასამართლო ამ საკითხსაც უპასუხებდა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ნორმები იმთავითვე არ წარმოადგენდა რაიმე ხარისხით მოსარჩელეთა რელიგიური რწმენის თავისუფლებაში პირდაპირ ჩარევას, ვინაიდან ეს ნორმები აწესრიგებ-

და პირადობის მოწმობის გაცემის საერთო წესს. კერძოდ, ნორმები ადგენდა ელექტრონული პირადობის მოწმობის გაცემის უალტერნატივო წესს, რომელიც ნეიტრალური ხასიათის იყო, არ გააჩნდა პირდაპირი კავშირი მოსარჩელეთა რელიგიურ რწმენასთან, ისევე როგორც, რწმენისა და რელიგიის საკითხებთან საზოგადოდ. იგი თანაბრად ვრცელდებოდა ყველა პირის მიმართ მათი რწმენისა თუ სხვა კუთვნილების მიუხედავად. გასაჩივრებული აქტები ადგენდა ელექტრონული პირადობის მოწმობების გაცემის წესსა და პირობებს, განსაზღვრავდა დოკუმენტის გაცემის ვადას, სახელმწიფო ორგანოებს, რომლებიც იყვნენ მათ გაცემაზე უფლებამოსილი და სხვ. ნორმათა შინაარსი უშუალოდ არ იყო მიმართული ვისიმე, მათ შორის, მოსარჩელე მხარის რელიგიური რწმენის შეზღუდვისკენ. იგი არ მოითხოვდა ადამიანებისგან რაიმე რწმენის აღიარებას, მასზე უარის თქმას ან შეცვლას და, ამ გაგებით, არ გულისხმობდა ვისიმე რწმენის თავისუფლების შიდა კომპონენტებში რაიმე სახის ინტერვენციას სახელმწიფოს მხრიდან.

იმავდროულად, სადავო რეგულაცია არ შეიცავდა რაიმე ისეთ აკრძალვას ან შეზღუდვას, რომელიც შეიძლება მიჩნეულიყო ამა თუ იმ ფორმით ვინმეს რწმენის გაცხადების თავისუფლებაში ჩარევად. მართალია, ელექტრონული მატარებლის მექონე პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემა წარმოადგენდა კანონის მოთხოვნას, თუმცა სადავო ნორმები არ ითვალისწინებდა რაიმე იძულებას ელექტრონული პირადობის მოწმობის აღებაზე, არ აწესებდა ასეთი მოწმობის აღების ვალდებულებას და არ ითვალისწინებდა რაიმე სანქციას მის მიღებასა და სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში; არც უშუალოდ სადავო ნორმები, არც ის აქტები, რომლებიც სადავო ნორმებს შეიცავდნენ, მთლიანობაში არ ითვალისწინებდა სახელმწიფოს მხრიდან რაიმე რეაგირებას პირის მიერ ელექტრონული პირადობის მოწმობის აღებაზე უარის გამო, არათუ რაიმე სანქციას ამისათვის. უფრო მეტიც: კანონის

მოთხოვნა – ინფორმაციის ელექტრონული მატარებლის მქონე დოკუმენტის დაწესებისა და გაცემის შესახებ – მიემართებოდა სახელმწიფო ორგანოებს და არა ინდივიდს. ეს უკანასკნელი ვერ გახდებოდა კანონის ამ მოთხოვნის დამრღვევი. შესაბამისად, დოკუმენტის აღებაზე უარი ვერ იქნებოდა განხილული კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობად. პირადობის მოწმობის აღებაზე უარი არ წარმოადგენდა სამართალდარღვევას ანდა რაიმე ისეთ ხდომილებას, რომელსაც შეიძლება პირდაპირ მოჰყოლოდა სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის საზიანოდ რაიმე ნაბიჯების გადადგმა, იქნებოდა ეს სამართლებრივი პასუხიმგებლობა, სამსახურიდან გათავისუფლება, სხვა უფლებების შეზღუდვა თუ სხვა. ასეთ პირობებში, სახელმწიფოს ზოგადი რეგულაცია, რომელიც არ აწესებდა კონკრეტულ შეზღუდვას რწმენის თავისუფლებასთან მიმართებაში და, შესაბამისად – ვერც რაიმე პასუხისმგებლობას შეზღუდვებისა თუ კანონის გარკვეული მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო და, იმავედროულად, საერთოდ არ გააჩნდა პირდაპირი შინაარსობრივი ბმა რწმენის/რელიგიის საკითხებთან, ვერ იქნებოდა განხილული რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში სახელმწიფოს ჩარევად.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღიარა, რომ პირადობის მოწმობების არქონამ სერიოზული დისკომფორტი შეუქმნა მოსარჩელეებს, რომლებმაც გულწრფელი რელიგიური წინააღმდეგობის გამო, უარი თქვეს მათ მიღებაზე. კერძოდ, პირადობის მოწმობის არქონამ შეაფერხა ისინი ჩაბმულიყვნენ აქტიურ სამოქალაქო თუ საჯარო ცხოვრებაში, დაედოთ გარიგებები, განეხორციელებინათ გარკვეული ფინანსური ოპერაციები და ა.შ., თუმცა, სასამართლოს დასკვნით, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე დარჩენით გამოწვეული ეს სერიოზული დისკომფორტი წარმოადგენდა მხოლოდ გვერდით ეფექტს იმ ნეიტრალური შინაარსის ნორმათა მოქმედებისა, რომლებიც არ ითვალისწინებდა რწმენის თავისუფლებაში პირდაპირ ჩარე-

ვას და რომელიც არ იყო შინაარსობრივ ბმაში ფილოსოფიური თურელიგიური რწმენის საკითხებთან. ეს დისკომფორტი ვერ იქნებოდა პირდაპირი შედეგი სადავო ნორმის მოქმედებისა, ვინაიდან იგი შედეგად მოჰყვა არა ნორმის მოთხოვნის შესრულებას (ელექტრონული დოკუმენტის აღებას), არამედ მის შეუსრულებლობას (ელექტრონული დოკუმენტის აღებაზე უარის თქმას). შესაბამისად, აღნიშნული დისკომფორტი, როგორც შინაარსობრივად ნეიტრალური ნორმების გვერდითი ეფექტი, ვერ იქნებოდა გაიგივებული სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულ რაიმე იძულებასთან, ვერ იქნებოდა მიჩნეული სახელმწიფოს მხრიდან რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში განხორციელებულ „ჩარევად“ ანდა ამგვარი ჩარევით მიყენებულ ზიანად. სასამართლომ დასძინა, რომ ამგვარი მიდგომა მთლიანად შეესაბამებოდა ამ სფეროში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს.

შესაბამისად, ვინაიდან სახეზე არ არ იყო სახელმწიფოს მხრიდან რწმენის/რელიგიის თავისუფლებაში ჩარევა, სასამართლოს წინაშე დგებოდა ამოცანა, საკითხი შეეფასებინა პოზიტიური ვალდებულებების ქრილში. ამისათვის კი მას უნდა დაედგინა, იყო თუ არა სახელმწიფო ვალდებული, სადავო ნეიტრალური ნორმიდან გაეთვალისწინებინა გამონაკლისები ზემოაღნიშნული გვერდითი ეფექტების თავიდან აცილების მიზნით.

**გ) თუ რატომ არ იყო დარღვეული პოზიტიური ვალდებულებები.**

სასამართლომ მიუთითა, რომ ზემოაღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემა გულისხმობდა იმის გარკვევას, არსებობდა თუ რა ზოგადი ნეიტრალური ნორმის შემუშავების დროს მათგან გამონაკლისების დაწესების აუცილებლობა.

სასამართლომ, საზოგადოდ, არ გამოიხატა, რომ ნეიტრალურმა ხასიათის ნორმებმა, შესაძლოა სერიოზული ზიანი გამოიწვიოს რელიგიის/რწმენის თავისუფლებისათვის. განსახილველ საქმე-

სთან მიმართებაშიც. მან არ უარყო, რომ სადავო, ნეიტრალური ხასიათის რეგულაციამ მართლაც წარმოშვა მნიშვნელოვანი ტვირთი მართლმადიდებელ ქრისტიანთა ერთი ჯგუფისათვის, რომელთა რწმენითაც, დოკუმენტის ელექტრონული მატარებელი (ჩიპი) ანტიქრისტეს ბეჭდისკენ მიმავალი გზაა. სასამართლომ აღიარა, რომ სადავო რეგულაციით დადგენილი უალტერნატივო წესის გამო, ასეთი პირები მძიმე არჩევანის წინაშე აღმოჩნდნენ – ემოქმედათ საკუთარი რელიგიური რწმენის წინააღმდეგ და აეღოთ ახალი მოწმობები, ანდა შეენარჩუნებინათ რწმენისადმი ერთგულება და დარჩენილიყვნენ პირადობის მოწმობის გარეშე, მაშასადამე – სოციალური ცხოვრების არაერთი სფეროდან გარიყულნი და იზოლირებულნი. სასამართლო მიუთითა, რომ ეს მართლაც წარმოადგენდა სერიოზულ ტვირთს მოსარჩელეთა რელიგიური რწმენის თავისუფლებისთვის. თუმცა, სასამართლომ ასე დასვა საკითხი – რამდენად იყო განჭვრეტადი ის ზიანი, რაც გვერდითი ეფექტის სახით შეიძლება დაამდგარიყო, და, იყო თუ არა ვალდებული სახელმწიფო, ნებისმიერ ფასად თავიდან აეცილებინა ის. სხვა სიტყვებით, სასამართლოს უნდა დაედგინა, რამდენად აუცილებელი იყო უალტერნატივო წესის დადგენა და არღვევდა თუ არა სახელმწიფო პოზიტიურ ვალდებულებას სადავო რეგულაციიდან გამონაკლისის დაუწესებლობით იმ პირთა მიმართ, რომლებიც რელიგიური რწმენის მოტივით უარს აცხადებენ ელექტრონული (ჩიპიანი) პირადობის მოწმობის აღებაზე.

საკონსტიტუციო სასამართლომ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია, რომ სადავო რეგულაციის შემოღება და ელექტრონული პირადობის მოწმობის უალტერნატივო წესით გაცემის განსაზღვრა მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნებით იყო განპირობებული. კერძოდ, სახელმწიფოს მიერ ელექტრონულ დოკუმენტებზე გადასვლა და, ამ გზით, აღნიშნული დოკუმენტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გეგმის ნაწილს. სახელმწიფო დაინტერესებული

იყო, შემოეღო და გაეცა პირადობის დამადასტურებელი ისეთი უნიფიცირებული დოკუმენტები, რომლებიც მაქსიმალურად დაცული იქნებოდა გაყალბებისგან. ამავდროულად, ასეთი დოკუმენტები სადვილებდა ნებისმიერ სამართალურთიერთობაში პირის ინტეგრაციას და სახელმწიფო სერვისებით მომსახურების პროცესს. ამგვარად, სადავო რეგულაცია მიზნად ისახავდა გაყალბებისგან მაქსიმალურად დაცული დოკუმენტების დანერგვასა და, ამ გზით, მოქალაქეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვას.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები საშინაო ადმინისტრირების პროცედურაში ძალზე ფართო იყო. მეორე მხრივ, აღნიშნა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო დოკუმენტების ერთგვაროვნება. სასამართლოს თქმით, დაუშვებელი იყო, მათი შინაარსის განსაზღვრა დაქვემდებარებოდა ცალკეული ინდივიდების შეხედულებებს. არ იქნებოდა მართებული, ადმინისტრაციული დოკუმენტების, მათ შორის პირადობის მოწმობის, შემუშავების პროცესში სახელმწიფოსათვის მოეთხოვათ, რომ მას წინასწარ სრულად განეჭვრიტა, თუ როგორ მოხდებოდა ცალკეული პირების მიერ მათი შინაარსის, ფორმის, ცალკეული რეკვიზიტისა თუ ტექნიკური მახასიათებლების ინტერპრეტაცია რელიგიური რწმენის პრიზმაში, ხოლო შემდეგ მოეხდინა ოფიციალური ადმინისტრაციული დოკუმენტების მოდიფიცირება სახელმწიფოში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური ჯგუფების მიერ ამა თუ იმ რელიგიური ტექსტების განსხვავებული ინტერპრეტაციების მიხედვით.

სასამართლომ არ უარყო, რომ ნორმის შემუშავების პროცესში სახელმწიფოსათვის შეუძლებელი არ იყო განეჭვრიტა, რომ სადავო ნორმების მიმართ მართლმადიდებელ ქრისტიანთა ერთ ნაწილში შეიძლება წარმოშობილიყო რელიგიური წინააღმდეგობა. მაგრამ, სხვა საკითხი იყო იმის სრულად განჭვრეტის შესაძლებლობა, რომ მათ

შორის ზოგიერთისათვის ეს იქნებოდა ისეთი სერიოზული რელიგიური ტვირთი, რომ ისინი საერთოდ უარს იტყოდნენ ელექტრონული პირადობის მოწმობების აღებაზე და ამ გზით ნებაყოფლობით დათმობდნენ სოციალურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობას. თუმცა, სასამართლომ მიიჩნია, რომ უფრო მნიშვნელოვანი იყო იმის შეფასება, თუ რამდენად გონივრული, მიზანშეწონილი იქნებოდა სახელმწიფოს ზოგადი ნეიტრალური რეგულაციიდან წინდაწინვე გამონაკლისების დაწესება და ნორმატიულ აქტში ჩანაწერის გაკეთება იმის თაობაზე, რომ დასაშვებად მიიჩნევდა არაელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემას ისეთი პირებისათვის, რომელთაც, სუბიექტური მოტივებით, მათ შორის, რელიგიური მოსაზრებების გამო, არ სურდათ ელექტრონული დოკუმენტის ფლობა.

განიხილა რა ასეთი გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობა და გონივრულობა, სასამართლომ აღნიშნა, რომ გარკვეული გულწრფელი რელიგიური თუ მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობა, შესაძლოა, მომავალშიც წარმოშობილიყო, მათ შორის, სხვა კონფესიის თუ მრწამსის მქონე ადამიანებისათვის, სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების, *inter alia*, პირადობის მოწმობის მიმართ იგივე ან სრულიად სხვა რეკვიზიტებისა თუ ტექნიკური მახასიათებლების კუთხით; მაგალითად, გაჩენილიყო გულწრფელი წინააღმდეგობა დოკუმენტის ფერის, ზომის, მასზე დატანილი სახელმწიფო სიმბოლოების (სახელმწიფოს გერბი, დროშა, რომელიც, თავის მხრივ, ქრისტიანულ სიმბოლიკას შეიცავს) ან საიდენტიფიკაციო ნომრების მიმართ. ამის გათვალისწინებით, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობისათვის გადაწყვეტი ის კი არ იყო, შესაძლებელი იყო თუ არა, და თუ იყო, რა ხარისხით, სახელმწიფოს მხრიდან სადავო ნორმების მიმართ რელიგიური წინააღმდეგობის წარმოშობისა და მასთან დაკავშირებული გვერდითი შედეგების განჭვრეტა, არამედ გონივრულობა იმის დაშვებისა, რომ სახე-

ლმწიფოს ოფიციალური დოკუმენტის შინაარსი თუ ფორმა სხვადასხვა ინდივიდების განსხვავებული სურვილების მიხედვით იცვლებოდა.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, გარდა იმისა, რომ პრინციპულად იყო სწორი და გამართლებული ადმინისტრაციულ საკითხებში სახელმწიფოს ოფიციალური დოკუმენტების ერთგვაროვნება, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ დაშვების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებული იქნებოდა, ასეთი პირებისთვის შეექმნა ალტერნატიული სამართლებრივი რეჟიმი და შეემუშავებინა ამ დოკუმენტებთან მოპყრობის განსხვავებული ინსტრუქციები. აღნიშნული კი გაუმართლებლად დაავიწროებდა სახელმწიფოს ფართო მიხედულებას საშინაო ადმინისტრირების პროცესებში, დაარღვევდა ადმინისტრაციულ საკითხებში საჭირო ერთგვაროვნებას, ხოლო სანდოობის თვალსაზრისით, მოწყვლადს გახდიდა არაერთ სამართალურ თიერთობას, რომლებიც გაყალბებისაგან დაუცველ დოკუმენტებზე იქნებოდა დაფუძნებული.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული რწმენის/აღმსარებლობის გაცხადება ისედაც არ წარმოადგენდა აბსოლუტურ უფლებას, რაც იმას ნიშნავდა, რომ ღირებულებათა კონფლიქტის დროს იგი ყოველთვის ვერ მოიპოვებდა პრიორიტეტს და იგი შეიძლება სხვა ღირებულებებს, მათ შორის, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და სხვა პირთა უფლებების დაცვის საჭიროებას გადაეწონა. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, საკითხი შეეხებოდა არა მისი შეზღუდვის დასაშვებ მიტნებს, არამედ თავად ამ თავისუფლების შინაარსობრივ ფარგლებს. სასამართლოს აზრით, რწმენის/აღმსარებლობის თავისუფლების შინაარსი ვერ განიმარტებოდა ისეთ შორეულ მიტნებამდე, რომ დაცულობის ფარგლებში მოქცეულიყო პირის უფლება – ეკარნახა სახელმწიფოსათვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო იგი საშინაო ადმინისტრირების პროცედურებში და

როგორი სახით (ფორმა, შინაარსი, ტექნიკური მახასიათებლები...) გაეცა პირებზე ოფიციალური დოკუმენტები, მათ შორის, პირადობის მოწმობა. სასამართლოს აზრით, საქართველოს კონსტიტუციით დაცული რწმენის/აღმსარებლობის თავისუფლებიდან არ წარმოდგებოდა სახელმწიფოს ვალდებულება, ოფიციალური დოკუმენტების შემუშავებისას გაეთვალისწინებინა ყველა ის გულწრფელი წინააღმდეგობა, რომელიც შეიძლება თავიანთი რწმენის საფუძველზე გასჩენოდათ მის მოქალაქეებს, რომლებიც სხვადასხვა რელიგიას მიეკუთვნებოდნენ, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც რელიგიური რწმენით შთაგონებული ესა თუ ის ქმედება არ წარმოადგენდა შესაბამისი რელიგიის პრინციპულ/სავალდებულო მოთხოვნას. თუ სახელმწიფო ყოველ ჯერზე დაჰყვებოდა მორწმუნეთა ინდივიდუალურ სურვილებსა და მოთხოვნებს, იგი ვერ შეძლებდა, დაეცვა თანაბრობა და ნეიტრალიტეტი ქვეყანაში ფუნქციონირებადი განსხვავებული რელიგიების მიმართ.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადავო ნორმის შემუშავების პროცესში სახელმწიფოს არ წარმოეშვა პოზიტიური ვალდებულება, მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების საზიანოდ დაეშვა გამონაკლისები ზოგადი, შინაარსობრივად ნეიტრალური რეგულაციიდან და გაეთვალისწინებინა წესი, რომლის მიხედვითაც დაშვებულად იქნებოდა გამოცხადებული ოფიციალური დოკუმენტების შინაარსის, ფორმისა თუ ტექნიკური პარამეტრების შეცვლა ცალკეული ინდივიდების სუბიექტური მოტივებით. სასამართლომ მიუთითა, რომ რელიგიის თავისუფლება ადამიანს იცავდა მის რელიგიურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ინტერვენციისაგან და იგი არ მოიცავდა სახელმწიფოზე აქტიური ზემოქმედების თავისუფლებას სახელმწიფოს გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით და სუბიექტური მოტივებით. სასამართლომ მიუთითა, რომ კონსტიტუციის მე-16 მუხლით დაცული რწმენის/რელიგიის თავისუფლება ვერ

იქნებოდა განმარტებული იმგვარად, თითქოს იგი გულისხმობდა ინდივიდის უფლებას, დამორჩილებოდა სახელმწიფოს მხოლოდ იმ კანონს, რომელიც მის რწმენას შეესაბამებოდა და სპეციფიკური მოთხოვნები წაეყენებინა სახელმწიფოსათვის ისეთ საკითხებში, რომლის რეგულირებაც, ჩართული საჯარო და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, მისი ღვიძლი ფუნქცია იყო და მისი მიხედვლების ფარგლებში სრულად მოქცეული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმები, რომლებიც აწესებდა ელექტრონული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების შემოღების უალტერნატივო წესს, სუბიექტური მოტივებით გამონაკლისის დაშვების გარეშე, ვერ ჩაითვლებოდა არაკონსტიტუციურად კონსტიტუციის მე-16 მუხლთან მიმართებაში.

#### დ) სასამართლოს პასუხი დე ფაქტო ვითარებაზე

მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ საქმეში, სასამართლომ უარყო სახელმწიფოს მხრიდან ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულების დარღვევა, მან მიიჩნია, რომ ქმედით მისაგებელს საჭიროებდა ის არსებული სამართლებრივი ვითარება, რაც სადავო ნორმის ამოქმედების შემდეგ წარმოიშვა მოსარჩელებისა და მათ მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის. კერძოდ, მან მიუთითა, რომ ვინაიდან სადავო ნორმით დადგენილი წესის ამოქმედების შემდგომ აშკარად გამოიკვეთა, რომ მის მიმართ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის გულწრფელ და ძლიერ რელიგიურ წინააღმდეგობას მოჰყვა მათი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე დარჩენა და ამ გარემოებასთან დაკავშირებული სერიოზული გვერდითი შედეგები, სახელმწიფოს წარმოეშვა პოზიტიური ვალდებულება, ამა თუ იმ გზით ებრუნა წარმოშობილი ზიანის შემცირებისა და აღმოფხვრისათვის. სასამართლოს თქმით, სახელმწიფოს, შესაბამის ორგანოებს ევალებოდათ გამოენახათ გზა, რომელიც ამ



პირებს დაეხმარებოდა სამოქალაქო და საჯარო ცხოვრებაში ჩართვასა და აქტიურ მონაწილეობაში, იმ ნაბიჯების გადადგმაში, რასაც აუცილებლად მიიჩნევენ თავიანთი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, პირადი ცხოვრების, საკუთრებისა და სხვა სასიცოცხლო ინტერესების უზრუნველყოფისათვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა ძალზე პრინციპული და საგულისხმო დებულებები ამ მიმართებით: „სახელმწიფო ვალდებულია, ადეკვატური პასუხი გასცეს იმ დე ფაქტო ვითარებას, რაც ნორმის ამოქმედების შედეგად წარმოიშვა სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფი პირების ოფიციალური საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გარეშე დარჩენით. დემოკრატიულ, სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც უმაღლეს ღირებულებად ადამიანია მიჩნეული, დაუშვებელია, სახელმწიფო გულგრილად ეკიდებოდეს მის დატოვებას ყოველდღიური ყოფითი საჭიროებების, ცხოვრებისთვის აუცილებელი სერვისებისგან მოწყვეტილად და იხსნიდეს პასუხისმგებლობას მის ცხოვრებასა და კეთილდღეობაზე, ანდა ასეთი შთაბეჭდილება იქმნებოდეს. ელექტრონული პირადობის მოწმობის აღებაზე უარი მათ არ აკარგვინებს საქართველოს მოქალაქეობას და, მასთან ერთად, სახელმწიფოს მხრიდან ზრუნვის მიღებისა და მფარველობის უფლებას. ისინი რჩებიან საქართველოს მოქალაქეებად, მათ იურისდიქციაში მყოფ პირებად, ხოლო სახელმწიფო კი – მათი უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელ სუბიექტად. ამგვარად, სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად არცნობა არ ათავისუფლებს სახელმწიფოს მოსარჩელეთა ინტერესების დაცვის და იმ საფრთხეების განეიტრალების ვალდებულებისაგან, რომელთა წინაშეც მოსარჩელები და მათ მდგომარეობაში მყოფი სხვა პირები აღმოჩნდნენ სადავო ნორმების მოთხოვნებისადმი მათი გულწრფელი რელიგიური წინააღმდეგობის გამო“<sup>14</sup>.

ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლომ ამ საკითხშიც დისკრეციის გა-

რკვეული ფარგლები მიაკუთვნა სახელმწიფოს და მიუთითა, რომ სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში რჩებოდა საკითხი, დაუშვებდა თუ არა იგი გაყალბებისაგან მაღალი ხარისხით დაცული საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გარეშე პირთა მონაწილეობას იმგვარ ურთიერთობებში, რომლებიც საჯარო, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობისა იყო, მთელი საზოგადოების ინტერესებს (როგორცაა, მაგალითად, არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება) ან საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას უკავშირდებოდა და არა ამ პირთა მხოლოდ ყოველდღიური სასიცოცხლო საჭიროებების დაკმაყოფილებას. პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გარეშე დარჩენილ პირთა მიმართ წარმოშობილი პოზიტიური ვალდებულებები, ისეთ პირობებში, როდესაც ეს პირები თავად აცხადებენ უარს მათ მიღებაზე რელიგიური მოტივებით, არ მიდიოდა ისე შორს, რომ სახელმწიფოს ხელი აეღო ადმინისტრაციული დოკუმენტების სფეროში ახალი, უსაფრთხო სისტემების დანერგვისა და თავისი იმანენტური ფუნქციების შესრულებისაგან, და წარმოშობილ კონფლიქტში, სასამართლომ ინდივიდუალური და საჯარო ინტერესების სწორედ ასეთი დაბალანსება მიაჩნია გონივრულად და სამართლიანად.

ამგვარად, საკონსტიტუციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელეთა პოზიცია, თითქოს სადავო ნორმები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლს.

### 2.3. დისკრიმინაციის თემა

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები კონსტიტუციურად ცნო კონსტიტუციის მე-11 მუხლთან მიმართებაშიც. სასამართლომ მიიჩნია, რომ არ დადასტურდა განსხვავებული მოპყრობა ადამიანთა იმ ჯგუფის მიმართ, ვისაც მოსარჩელები ედრებოდნენ. არსებითად თანასწორ პირებად, ვისთან მიმართებაშიც გრძნობდნენ

14 იხილეთ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის მე-40 პუნქტი.

თავს დისკრიმინაციულად, მათ დაასახელებს ის პირები, რომლებსაც 2011 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებამდე შეუსრულდათ 65 წელი და გადაეცათ უვადო პირადობის მოწმობები, ხოლო ახალი რეგულაციებით კი არ დაევალებათ ახალი ჩიპიანი დოკუმენტების მიღება.

სასამართლომ მიუთითა, რომ არსებული რეგულაციის პირობებში ნებისმიერ პირზე გაიცემოდა ელექტრონული პირადობის მოწმობა. ამგვარად, სადავო ნორმა არ ადგენდა განსხვავებულ რეგულაციებს მოსარჩელეთა მიერ იდენტიფიცირებადი ჯგუფების მიმართ. დადგენილი საერთო წესიდან კანონმდებლობა მხოლოდ ობიექტური გარემოებების არსებობისას ითვალისწინებდა გამონაკლისებს (კერძოდ, იგი შეეხებოდა შემთხვევებს, როდესაც ელექტრონული დოკუმენტის გაცემა შეუძლებელია ობიექტური გარემოებების გამო). საქმეც ის იყო, რომ მოსარჩელე მხარე ამგვარ ობიექტურ გარემოებებში მყოფ პირთა კატეგორიას კი არ ედრებოდა, არამედ თავს დისკრიმინირებულად მიიჩნევდა პირთა იმ კატეგორიასთან შედარებით, რომლებიც დღემდე სარგებლობდნენ უვადო პირადობის მოწმობებით და კანონმდებლობით არ მოეთხოვებოდათ აღნიშნული დოკუმენტების შეცვლა. მნიშვნელოვანი იყო იმაზე ხაზგასმა, რომ მოსარჩელე მხარის მიერ გასაჩივრებული რეგულაცია აწესრიგებდა პირადობის მოწმობის გაცემის ზოგად წესს და ადგენდა, თუ რა წესით მოხდებოდა (ამ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ) პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემა იმ პირებისათვის, ვინც ამ დოკუმენტების გაცემის მოთხოვნით სახელმწიფოს შესაბამის სამსახურებს მიმართავდა და, იგი საერთოდ არ შეეხებოდა საკითხს, თუ ვის შეეძლო იმჟამად ესარგებლა არა-ელექტრონული პირადობის მოწმობით და ვის – ელექტრონულით. უფრო მეტიც, იგი არ აწესებდა არც არაელექტრონული მოწმობის ელექტრონულით გამოცვლის ვალდებულებას არავისთვის – როგორც იმ ჯგუფისათვის, ვისაც ვადიანი პირადობის

მოწმობა გააჩნიათ (რომელ კატეგორიასაც მოსარჩელები მიეკუთვნებიან), ისე იმ ჯგუფისათვის, ვინც უვადო მოწმობების მფლობელები იყვნენ (რომელ კატეგორიასაც მოსარჩელები ედრებოდნენ).

სასამართლოს აზრით, ის გარემოება, რომ სადავო რეგულირება ადგენდა ერთნაირ უფლებრივ რეჟიმს პირადობის მოწმობის მიღების მსურველი ყველა პირისათვის, იქიდანაც ჩანდა, რომ მოქმედი რეგულაციის პირობებში, ნებისმიერ პირზე, მათ შორის მოსარჩელეთა მიერ იდენტიფიცირებული ჯგუფის წევრებზეც, პირადობის მოწმობის განახლების შემთხვევაში, გაიცემოდა ელექტრონული პირადობის მოწმობა. შესაბამისად, ახალი რეგულაციით ყველა პირი, მათ შორის, უვადო არაელექტრონული პირადობის მოწმობის მფლობელები, პირადობის მოწმობის აღების საკითხში, იმყოფებოდნენ არა განსხვავებულ, არამედ ერთნაირ, იდენტურ უფლებრივ მდგომარეობაში. აქედან გამომდინარე, a fortiori ნიადაგს მოკლებული იყო მოსარჩელეთა მთქცება, თითქოს განსხვავებული მოპყრობა რწმენის ნიშანს ემყარებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო რეგულაცია არ ადგენდა მოსარჩელე მხარის მიერ იდენტიფიცირებული პირების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საქმეში არ დასტურდებოდა მოსარჩელეთა დიფერენცირებულ მდგომარეობაში ჩაყენების ფაქტი, სასამართლო აღარ იდგა დიფერენცირების გამართლებულობის შეფასების საჭიროების წინაშე.

## დასკვნა

ე.წ. კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის საქმეები საკმაოდ რთულ და კომპლექსურ საკითხებს უკავშირდება და დელიკატურ მოპყრობას მოითხოვს. ზემოაღნიშნული ქართული საქმე და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული

გადაწყვეტილება მოწმობს, რომ ქართული პრაქტიკა იზიარებს და ძირითადად მიჰყვება იმ მიდგომებს, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს მიერ არის დამკვიდრებული შესაბამის პრეცედენტული სამართლით.

თუმცა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ შემოიტანა რამდენიმე ახალი პრინციპიც. კერძოდ, მან ერთმანეთისაგან გამიჯნა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნეიტრალური რეგულაციის შემუშავებისა და მიღების დროს რეგულაციიდან გამონაკლისის დაწესების საკითხში, და პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას ნეიტრალური რეგულაციის ამოქმედების შემდგომ დე ფაქტო ვითარებასთან მიმართებაში მორწმუნეთათვის წარმოშობილი ტვირთის გათვალისწინებით.

ამასთან, ნორმის შემუშავების დროს პოზიტიურ ვალდებულებათა წარმოშობა საკონსტიტუციო სასამართლომ დაუკავშირა შედეგების – რწმენის საფუძველზე კეთილსინდისიერი წინააღმდეგობის წარმოშობის – განჭვრეტადობის შესაძლებლობას; ხოლო განჭვრეტადობის შემთხვევაში – მხარი დაუჭირა საკითხის გადაწყვეტას ღირებულებათა კონფლიქტისა და სამართლიანი ბალანსის საფუძველზე. ამგვარი დიფერენცირება სიახლეს წარმოადგენს. ასევე სიახლე და უდავოდ დადებითი მოვლენაა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებათა დანახვა დე ფაქტო ვითარებასთან მიმართებაში, მორწმუნეთა მიმართ წარმოშობილი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის მიმართულებით, მიუხედავად მათი შეგნებული არჩევანისა, არ დამორჩილებოდნენ სახელმწიფოს ნეიტრალური რეგულაციის მოთხოვნას თავიანთი რწმენის გამო და ეწვნიათ ეს შედეგები.

# CONSCIENTIOUS OBJECTION (Georgian approach – case of “ID Cards”)

**Eva Gotsiridze**

*PhD in Law, Professor of Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia,  
Judge of the Constitutional Court of Georgia*

**KEYWORDS:** Conscientious Objection, Interference with the Religious Rights, Close and Direct Link

## ABSTRACT

The article concerns the legal issues of the “Conscientious objection”, primarily that of substantiation of the question –whether an individual’s act, motivated by religious or non-religious beliefs and denying to observe certain legal requirements, will gain legal protection; The Author represents all related issues, factors and circumstances, that should be taken into account and the corresponding scheme of the analysis and substantiation, with several important crossroads. By the Author, it is too important to find a good, proper direction on each stage and continue until the following crossroad. The Author shows, what these crossroads are in practice, and issues that should be discussed and analyzed on each stage.

Through this prism the Georgian legal approach is analyzed in the article, namely, the decision of the Georgian Constitutional Court of June 4, 2020, so called “a case of ID cards” – Nana Sepiashvili and Ia Rekhviashvili v. Parliament of Georgia and Minister of Justice of Georgia. The case concerns the applicant’s denial to receive and use new ID card, containing electronic chip. For the applicants, the electronic chip represents the effective mean for massive control over the people. They share the widespread orthodox Christians’ opinion, that chip represents the sign of the Beast, despite the fact, that Holy Synod of Georgian Orthodox Church disclaimed such an opinion.

There is shown in the article, what issues and questions have been considered and examined by the Constitutional Court, in which way and succession; By Author, The Court took a very delicate approaches and was

able to find a very proper way of substantiation in spite of multiplicity of the pro et contra arguments, different factors and controversial issues.

The Author concludes, that the Georgian approach is in line with the European and American case-law, but, at the same time, it develops a new principle and methodology, that facilitates the proper adjudication of the “conscientious objection” cases and reaching a fair balance between the individual rights and public interests. To the Author, the Georgian Constitutional Court has further developed already existing approaches, particularly, in the direction of positive obligation of a State. The Court differentiated the positive obligation of a State in the process of elaborating the new legislation and positive obligation which may arise after the legislation became operative. The

first one implies an obligation to predict the risk of appearance of a conscientious objection towards new legislation, possible negative side effects in case of disobedience, inter alia, the burden, that can be imposed over an individual’s religious rights, and, finally, to make relevant exemptions from new regulations, if reasonable and necessary. But the second one implies a positive obligation of a State to respond adequately the de facto situation and administer all necessary measures in order to eliminate the damage and other negative effects that individual suffers as result of disobedience based on his/her belief. In the abovementioned case, the Court saw the State’s positive obligation to respond the de facto situation notwithstanding the fact, that it did not find the challenged law unconstitutional.

#### BIBLIOGRAPHY:

1. Black’s Law Dictionary, “Conscientious objector“, St.Paul, Minn. West Publishing Co. Centennial edition, 1991;
2. P.van Dijk; G.J.H. van Hoof, 1998. Theory and practice of the European Convention on Human Rights; Kluwer Law international , Hague,- London-Boston;
3. R. A. Lawson & H.G. Schermers, 1999. Leading cases of the European Court of Human Rights (sec.ed);
4. D.G. Harris; M.O’ Boule, C.Warbrick, 1995. Law of the European Convention on Human Rights; Butterwarths, London, Dublin; Edinburg;
5. William B.Lockhart, Yale Kamissar, Jesse H. Choper, Steven H. Shiffrin, Constitutional law; Cases – Comments – Questions, seventh edition, American Casebook Series, Westpublishing Co. 1991; Chapter 9, Freedom of Religion.
6. Samanta Knight; Art. 9 : Freedom of thought, Conscience and Religion, Human Rights Practice, Sweet &Maxwell, Release 22; 2011;
7. კონსტიტუციონალიზმი, მიღწევები და გამოწვევები; სტატიათა კრებული; სამეცნიერო რედაქტორები და გამომცემლები: მინდია უგრეხელიძე და ბექა ქანთარია; გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019 წ;
8. Charter of Fundamental Rights of the European Union;
9. European Convention on Human Rights;
10. Christopher Decker, Lucia Fresa, The Status of conscientious objection under Article 4 of the ECHR; D. J. International Law and Politics, vol. 33 : 379 ;<http://www1.law.nyu.edu/journals/jilp/issues/33/pdf/33n.pdf>
11. "Conscientious objection to military service, Commission on Human Rights resolution 1998/77, Document: CHR 54th 4/22/1998E/CN.4/RES/1998/77". United Nations Human Rights, Office of the High Commissioner for Human Rights. 2008; [https://ap.ohchr.org/documents/sdpage\\_e.aspx?b=1&se=10&t=11](https://ap.ohchr.org/documents/sdpage_e.aspx?b=1&se=10&t=11)
12. Merriam-Webster.com Dictionary, Conscientious objection; <https://www.merriam-webster.com/dictionary/conscientious%20objection>

# სახელმწიფოს ვალდებულებები სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით

## ნაზი ჯანეზაშვილი

კავკასიის სამართლის სკოლის დოქტორანტი.  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოფილი  
არამოსამართლე წევრი (2017-2021)

საკვანძო სიტყვები: იმპლემენტაცია, გაუპატიურება,  
გამოძიება

„ადამიანის უფლებების ეფექტიანი დაცვის მიღწევა  
მოითხოვს ადამიანის ინდივიდუალიზმის  
სამართლებრივ აღიარებას და დაცვას“<sup>1</sup>

## შესავალი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის XXII თავი<sup>2</sup> ეთმობა დანაშაულებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ. აქედან გამომდინარე, შესწავლილი იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ 2015

- 1 Marshall, J., 2009. Personal Freedom Trough Human Rights Law? Autonomy, Identity and Integrity under the European Convention on Human Rights. (L. Loucaides, 1990. p. 175). Leiden, Boston: Martinus Nijhoff Publishers, p. 3.
- 2 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233> [წვდომის თარიღი 5 მაისი 2021].

წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 1 მაისამდე პერიოდში ღია სასამართლო სხდომებზე განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები, სადაც ფიგურირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი, 138-ე მუხლი ან 139-ე მუხლი. მართალია, ამ სტატიაში ყველა საქმის განალიზება ვერ მოხდება, მაგრამ აშკარაა, რომ ტენდენცია, რომელიც ამ კატეგორიის საქმეებზე იკვეთება, არ შეესაბამება იმ თანამედროვე მიდგომებსა თუ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც დამკვიდრებულია სქესობრივი დანაშაულების საქმეებთან მიმართებით.

დასაწყისშივე უნდა აღინიშნოს ერთ-ერთი განაჩენი, რომელიც საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლომ 2015 წელს გამოიტანა, სადაც მითითებულია შემდეგი: "...ძალმომრეობა ქალის მიმართ, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ესე იგი ქალთან სქესობრივი კავშირის დაჭერას მისი წინააღმდეგობის ფიზიკურად დაძლევიტ – შებოჭვით, ცემის, სხეულის დაზიანების და სხვა საშუალებით. გარდა ამისა, განაჩენში აღნიშნულია, რომ „ქალის წინააღმდეგობა უნდა იყოს ნამდვილი და შეუპოვარი და არა მოჩვენებითი, თვალთმაქცური [...]“<sup>3</sup>, რაზეც ამავე კვლევაში აღნიშნულია, რომ „გაუპატიურების თანამედროვე სამოსამართლო განმარტება სინამდვილეში ძველია“.<sup>4</sup> ეს განაჩენი ცალსახად მიაჩნდება სასამართლოს ძალზედ მოძველებულ მიდგომაზე, რომელიც 1960 წლის საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსში იყო განვითარებული, რომლის დროსაც ქმედების გაუპატიურებად შეფასებისთვის ქალის მხრიდან მოძალადის მიმართ „შეუპოვარი“ და „არა თვალთმაქცური“ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა იყო აუცილებელი.<sup>5</sup> ამ განაჩენში სასამართლოს რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პერსპექტივიდან ემ-

სჯელა, სრულიად განსხვავებული შედეგი დადგებოდა. ამდენად, ერთია, როგორია კანონმდებლობა, რომელიც ცხადია, რომ საქიროებს ცვლილებებს, მაგრამ მეორეა სასამართლოს განმარტებები, რომლებიც ამ დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს მსხვერპლის ინტერესებს.

საგულისხმო ტენდენციას წარმოადგენს საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ისეთ საქმეებზე,<sup>6</sup> სადაც პირი დანაშავედ იქნა ცნობილი სქესობრივი დანაშაულის ჩადენისათვის, მაგალითად, სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში. ამავე დროს, საინტერესოა სასჯელის სახე და ზომა, რომელზეც სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე, სადაც დადგინდა პირის მიერ სსკ-ის 138-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა, სასამართლომ თავისუფლების აღკვეთა განსაზღვრა 6 თვის ვადით პენიტენციურ დაწესებულებაში მოსახდელად, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი, საქართველოს სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად 4 წლის გამოსაცდელი ვადით.<sup>7</sup> ამ მხრივ ასევე მნიშვნელოვანია კიდევ ერთი საქმე<sup>8</sup>, რომელზეც 2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიამ გამოიტანა განაჩენი, სადაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებთან ერთად, ფიგურირებს საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილი, კერძოდ პირის სხეულში სექსუალური ხასიათის იძულება, სახელის გამტეხი ინფორმაციის ან ისეთი ცნობის გახმაურების მუქარით, რომელმაც შეიძლება

3 გეგელია, თ., კვლენკერიძე და ი., ჯიშკარიანი, ბ., 2020. სქესობრივი დანაშაულები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 22.  
 4 იქვე, გვ. 21.  
 5 იქვე, გვ. 22.

6 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 სექტემბრის განაჩენი (საქმე #1/3986-19). თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 11 აპრილის განაჩენი (საქმე #1/1623-20).  
 7 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 2 სექტემბრის განაჩენი (საქმე #1/3986-19).  
 8 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 21 ივლისის განაჩენი (საქმე #1/2829-19).

არსებითად დააზიანოს ამ პირის უფლება. სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებული სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და სასჯელად განუსაზღვრა ჯარიმა 10 000 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მძიმე კატეგორიის დანაშაულები, მოსამართლემ სასჯელის გამოყენების თაობაზე დასაბუთებისას მიუთითა იმაზე, რომ ბრალდებულმა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, საქმეში არ მოიპოვება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი რაიმე გარემოება. შესაბამისად, ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნების, დანაშაულის მოტივის, ხერხის მხედველობაში მიღებით და მომავალში ქმედების თავიდან არიდებისათვის სასამართლომ სასჯელის სახედ ჯარიმის გამოყენება საკმარისად მიიჩნია. ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის<sup>9</sup> პირველი ნაწილის თანახმად, სასჯელის ერთ-ერთი მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ჩნდება კითხვა, რამდენად დაასაბუთა სასამართლომ სასჯელის ეს სახე და ზომა კონკრეტულ საქმესთან მიმართებაში. უფრო მეტიც, სასამართლოს დასაბუთება ტოვებს ფორმალური მიდგომის შთაბეჭდილებას.

ამრიგად, წარმოდგენილი რამდენიმე მაგალითი მიუთითებს იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ქართულ სისხლის სამართალში სექსობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულებთან მიმართებაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი პრეცედენტების დანერგვა, რასაც მოწმობს მომდევნო თავებში წარმოდგენილი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

## 2. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიღება და საქართველო

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია კაცობრიობის ისტორიაში იურიდიულად სავალდებულო პირველი საერთაშორისო დოკუმენტია, რომლითაც მოწესრიგდა მრავალი ძირითადი უფლება და თავისუფლება. ევროპული კონვენცია, რომელიც სახელმწიფოებისთვის იურიდიულ ვალდებულებებს წარმოშობს, მიჩნეულია ადამიანის უფლებათა დაცვის ეფექტიან საერთაშორისო ხელშეკრულებად, რაც საერთაშორისო საზედამხედველო მექანიზმის შექმნამ განაპირობა.<sup>10</sup>

1950 წლის 4 ნოემბერს ქ. რომში, ბარბერინის სასახლეში, ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომელიც ძალაში 1953 წელს შევიდა, ხოლო მოგვიანებით, 1955 წლის 5 ივლისს ინდივიდუალური განაცხადების წარდგენის უფლება ამოქმედდა. 1999 წლის 27 აპრილს საქართველო ევროპის საბჭოს 41-ე წევრი ქვეყანა გახდა. საქართველოს პარლამენტის მიერ კონვენციის რატიფიცირების შედეგად ქვეყნისთვის იგი ძალაში შევიდა 1999 წლის 20 მაისს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ ევროპულ სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და პრაქტიკაზე. ევროპული სახელმწიფოებისთვის, კონვენციის დიდი მნიშვნელობის გამო, იგი აღიარებულია „ევროპული საჭარო წესრიგის კონსტიტუციურ აქტად“.<sup>11</sup>

9 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233> [წვდომის თარიღი 5 მაისი 2021].

10 კორკელია, კ., 2007. ევროპული სტანდარტების ინტეგრაციისაკენ: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და საქართველოს გამოცდილება. თბილისი: ევროპის საბჭო, გვ. 6-7.

11 კორკელია, კ., 2004. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის გამოყენება საქართველოში. თბილისი: ევროპის საბჭო, გვ. 11.



### 3. „თანხმობა“ პირადი ცხოვრების კათივისცემის უფლების კონტექსტში

გაუპატიურების დანაშაული actus reus არის არაკონსესუალური სქესობრივი კავშირი, ხოლო ძალადობით და ძალადობის მუქარით გაუპატიურების ჩადენა არ წარმოადგენს actus reus-ის აუცილებელ ელემენტებს.<sup>12</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ქვემოთ განხილული გადაწყვეტილებები პირდაპირ მიანიშნებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ, როგორც სისხლის სამართლის კანონმდებლობამ, ასევე პრაქტიკამ განიცადოს ცვლილება. სსკ-ის 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გაუპატიურება შემდეგნაირად განისაზღვრება: პირის სხეულში ნებისმიერი ფორმით სექსუალური ხასიათის შეღწევა სხეულის ნებისმიერი ნაწილის ან ნებისმიერი საგნის გამოყენებით, ჩადენილი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. ბოლო წლებში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, აღნიშნული ქმედების შემადგენლობაში კვლავ მოიაზრება სექსუალური ხასიათის შეღწევა პირის სხეულში ძალადობით, ძალადობის მუქარით ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. მიუხედავად იმისა, რომ სქესობრივ კავშირზე თანხმობის არარსებობა გაუპატიურების დამაფუძნებელი ობიექტური ნიშანია, „სამწუხაროდ ქართულ სისხლის სამართლის დოგმატიკაში ძალიან ცოტას თუ საუბრობენ, მაშინ, როცა დასავლეთის ქვეყნებში ის ცხარე დისკუსიების საგანია.“<sup>13</sup>

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო იურისტებს შორის ფართოდ გავრცელებული მოსაზრების თანახმად, „არა ნიშნავს არას“ („no means no“) და მსხვერპლის მიერ წინააღმდეგობის გაწევა აუცილებლობას არ წარმოადგენს, უფრო მეტიც, ფართო

მიმღებლობა აქვს ასეთ სტანდარტს – „მხოლოდ დიახ ნიშნავს თანხმობას“ („only yes means yes“). სწორედ ეს მოსაზრება განავითარა ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილებაში M.C. v Bulgaria ჯერ კიდევ 2003 წელს, რომ „გაუპატიურების დანაშაულის ცენტრალური ელემენტი არა ძალადობა, არამედ თანხმობა“.<sup>14</sup>

M.C. v Bulgaria<sup>15</sup> არის პირველი გადაწყვეტილება, სადაც ევროსასამართლო გაუპატიურების დეფინიციას ახდენს, ის „თანხმობის“ მნიშვნელობაზე საუბრობს და გაუპატიურებას აიდენტიფიცირებს, როგორც სექსუალური ავტონომიის დარღვევას, მიუხედავად იმისა, ჩადენილია თუ არა ფიზიკური ძალადობით. ამრიგად, ფოკუსი არის თანხმობაზე დამყარებულ დეფინიციაზე, რომელიც შეიძლება იყოს გაუპატიურების იმ ვიწრო განმარტების პრევენცია, რომელიც კვალიფიკაციისთვის ძალადობის ან მუქარის არსებობას მოითხოვს.

განმცხადებელი (M.C.) ამტკიცებდა, რომ 14 წლის ასაკში იგი გააუპატიურა ორმა პირმა (A-მ და P-მ). საქმის ფაქტობრივი გარემოებები მდგომარეობდა იმაში, რომ განმცხადებელი 1995 წლის 31 ივლისს, ორ მამაკაცთან და თავის მეგობართან ერთად, იმყოფებოდა ბარში/დისკოთეკაზე. უკან დაბრუნებისას, განმცხადებლის მტკიცებით, ჯერ P-მ აიძულა, მასთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა, ხოლო მოგვიანებით მეორე პირმა. ორივე მათგანმა M.C.-ის გაუპატიურების ფაქტი უარყო. ისინი ამბობდნენ, რომ M.C. მათთან სქესობრივ კავშირს დათანხმდა. 1997 წლის 17 მარტს საოლქო პროკურორმა შეწყვიტა სამართალწარმოება იმ მიზეზით, რომ „ძალის ან მუქარის გამოყენება არ იყო დადგენილი გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით“.<sup>16</sup> განმცხადებლის საჩივარი ამ გადაწყვეტილებაზე არ დაკმაყოფილდა.

ნაზი ჯანგაშვილი

12 Chalmers, J., 2002. How (Not) to Reform the Law of Rape. *Edinburgh Law Review*, p. 388.

13 გეგელია, თ., კვლევკერიძე და ი., ჯიშკარიანი, ბ., 2020. სქესობრივი დანაშაულები. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 29.

14 Londono, P., 2010. Rethinking Rape Law, *International and Comparative Perspectives*. Defining rape under the European Convention on Human Rights, Torture, Consent and Equity. Taylor & Francis e-Library, p. 177.

15 ECtHR, M.C. v. Bulgaria, App no 39272/98, 4 December 2003.

16 იქვე, §80.

წერილობითი საექსპერტო დასკვნებით, რომლებიც წარედგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს M.C.-ის მიერ, გამოვლინდა, რომ განმცხადებელს ჰქონდა „გაყინული შიში“ (ტრავმული ფსიქოლოგიური ინფანტილიზმის სინდრომი), როგორც გაუპატიურების ყველაზე გავრცელებული რეაქცია, როცა დაშინებული მსხვერპლი ან პასიურად ემორჩილება მოძალადეს, ან ის ფსიქოლოგიურად ეთიშება გაუპატიურების ფაქტს.

განმცხადებელი ამ საქმეზე ამბობდა, რომ ბულგარეთის კანონი და პრაქტიკა არ არის ეფექტიანი დაცვა გაუპატიურებისგან და სექსუალური ძალადობისგან. მხოლოდ იმ შემთხვევების გამოძიება ხდებოდა, სადაც დაზარალებული აქტიურ წინააღმდეგობას უწევდა დამნაშავეს.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ისტორიულად არაერთ ქვეყანაში, კანონმდებლობასა თუ პრაქტიკაში, საჭირო იყო ისეთი მტკიცებულებების არსებობა გაუპატიურების საქმეებზე, რომლებიც დაადასტურებდა ფიზიკური ძალის გამოყენებას და ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევას. თუმცა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში არსებობს ცხადი და სტაბილური ტენდენცია ევროპაში და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში იმისა, რომ უარი თქვან ამ სფეროში კანონის ფორმალისტურ განმარტებაზე და ვიწრო ინტერპრეტაციაზე.<sup>17</sup>

სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე M.C. v. Bulgaria დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-8 მუხლის (პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება) დარღვევა, რადგან მოპასუხე სახელმწიფომ არ შეასრულა ამ დებულებებით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულებები – „დაიცვას ინდივიდის ფიზიკური ხელშეუხებლობა და პირადი ცხოვრება და უზრუნველყოს ეფექტიანი დაცვის საშუალებები“.<sup>18</sup>

I.G. v. Moldova<sup>19</sup> განმცხადებელი არის

1989 წელს დაბადებული პირი, რომელიც იმ მოვლენების დროს, რომელთა გამოც ევროპულ სასამართლოში წარადგინა განაცხადი, იყო 14 წლის. პირმა, რომელთან ერთადაც ის ბარში იმყოფებოდა, წააქეზა, არაყი დაელია, მანქანით სახლში დაბრუნებისას კი მასთან სქესობრივი კავშირი დაამყარა. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მას არ სურდა სქესობრივი კავშირი, მაგრამ ალკოჰოლის ზემოქმედების გამო თავს სუსტად გრძნობდა და არ შეეძლო ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ გაუპატიურების შემდეგ მას მოკვლით ემუქრებოდა, თუ ამ ფაქტს გაახმაურებდა. თუმცა იმავე დღეს განმცხადებელმა დედას უამბო, რომელმაც მოგვიანებით საჩივარი შეიტანა პოლიციაში. გამოძიება დაიწყო არასრულწლოვნის გაუპატიურების დანაშაულის თაობაზე. ექსპერტიზის დასკვნებისა და საჩივრის საფუძველზე, V.R. ბრალდებულად იქნა ცნობილი არასრულწლოვნის გაუპატიურებისთვის. პროკურორის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს დამატებითი სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაუტარდა, მას სხეულზე სისხლჩაქცევები და დაზიანებები არ აღმოაჩნდა, თუმცა ის ამტკიცებდა, რომ სქესობრივი კავშირი მისი თანხმობით არ ყოფილა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა განაჩენი და აღნიშნა, რომ სქესობრივი კავშირი ემყარებოდა ორმხრივ თანხმობას, რადგან არ აღმოჩენილა ფიზიკური ძალადობის კვალი მის სხეულზე, რაც დადასტურებულია სასამართლო ექსპერტიზის დასკვნით. სასამართლომ გამოიტანა განაჩენი V.R.-ს წინააღმდეგ მხოლოდ იმ დანაშაულის ჩადენისთვის, რომელიც თექვსმეტ წლამდე ასაკის პირთან სქესობრივ კავშირს გულისხმობს და არა გაუპატიურებას.<sup>20</sup>

განმცხადებელმა სააპელაციო სასამართლოს მიმართა და ამტკიცებდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო მისი მოწყვლადი

17 იქვე, §156.

18 იქვე, §109.

19 ECtHR, I.G. v. Moldova, App no 53519/07, 13

November 2012.

20 იქვე, §23.

მდგომარეობა ალკოჰოლის ზემოქმედების გამო და ასევე გათვალისწინებული არ იქნა მისი ასაკი. მისი თქმით, სასამართლო სქესობრივ კავშირზე თანხმობის საკითხს მხოლოდ წინააღმდეგობის გაწევის დამადასტურებელი მტკიცებულების პერსპექტივიდან უყურებდა.<sup>21</sup> საბოლოოდ, სააპელაციო სასამართლომ მისი საჩივარი არ მიიღო. განმცხადებელს, სასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, დასჭირდა ფსიქოლოგის და ფსიქიატრის დახმარება; ის განიცდიდა პოსტტრავმულ სტრესულ აშლილობას, რადგან დამნაშავე სათანადოდ არ დაისაჯა, ასევე საჭაროდ დამცირების გამო, რომელსაც ის განიცდიდა საქმეზე შიდა პროცედურების დროს.<sup>22</sup>

სასამართლომ, V.R.-ის ბრალეულობის შესახებ აზრის გამოთქმის გარეშე, დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, ვინაიდან სახელმწიფომ არ შეასრულა პოზიტიური ვალდებულებები, რაც გულისხმობს გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის შემთხვევის ეფექტიან გამოძიებას და დამნაშავეს დასჯას.

E.B. v. Romania<sup>23</sup> გადაწყვეტილებით ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის და მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. განაცხადი შეეხებოდა გაუპატიურების ბრალდებებს, რომლებიც სათანადოდ არ იქნა გამოძიებული, რითიც დაზარალებულის პროცედურული უფლებები დაირღვა. ვინაიდან გაუპატიურებისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იყო ინტელექტუალური შეფერხების მქონე, მისი საქმე საჭიროებდა კონტექსტ-სენსიტიურ გამოძიებას, რაც ასე არ მომხდარა. T.F.S.-მ, რომელიც ადრე მსჯავრდებული იყო გაუპატიურებისთვის, პოლიციაში განაცხადა, რომ განმცხადებელი თანახმა იყო მასთან სქესობრივ კავშირზე. ამასთან, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, რომ „გაუპატიურებისთვის დამახასიათებელი დაზიანებები“ განმცხადებელს არ აღმოაჩნდა.<sup>24</sup>

საბოლოოდ საქმეზე გამოძიება შეწყდა და განმცხადებელს პირველი ინსტანციის სასამართლოში სამართალწარმოებისთვის სასამართლო ხარჯების გადახდაც კი დაევალა.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, რომელიც კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლებიდან გამომდინარეობს, გაგებული უნდა იქნეს, როგორც მოთხოვნა, რომ ნებისმიერი არაკონსესუალური სექსუალური ქმედება დაისაჯოს და განხორციელდეს ეფექტიანი დევნა, მათ შორის, დაზარალებულის ფიზიკური წინააღმდეგობის არარსებობის შემთხვევაშიც. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „ნებისმიერი ხისტი მიდგომა სქესობრივი დანაშაულის გამოძიების დროს, როგორცაა ყველა შემთხვევაში ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევის მტკიცებულების მოთხოვნა, იწვევს რისკს, რომ გარკვეული ტიპის გაუპატიურების შემთხვევები დაუსჯელი დარჩება და, მაშასადამე, საფრთხეს შეუქმნის ინდივიდის სექსუალურ ავტონომიას.“<sup>25</sup>

#### 4. არაეფექტიანი გამოძიება სქესობრივი დანაშაულების საქმეებზე

P.M. v. Bulgaria<sup>26</sup> გადაწყვეტილებაში განმცხადებელი ბულგარეთის მოქალაქეა. როდესაც განმცხადებელი იყო 13 წლის, წავიდა წვეულებაზე 21 წლის მამაკაცის სახლში. მას ჯერ ერთ-ერთი სტუმარი, 17 წლის ბიჭი დაემუქრა და გაუპატიურა, შემდეგ მას სცემა მასპინძელმა, რომელმაც ასევე სცადა მისი გაუპატიურება. პროკურორმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე ორი ადამიანის წინააღმდეგ, თუმცა გამოძიება შეწყდა რამდენიმე თვეში, რადგან ერთ-ერთი პირი ვერ იქნა ნაპოვნი.

21 იქვე, §25.

22 იქვე, §29.

23 ECtHR, E.B. v. Romania, App no 49089/10, 19 March 2019.

24 იქვე, §16.

25 იქვე, §56.

26 ECtHR, P.M. v. Bulgaria, App no 49669/07, 24 January 2012.

რვა წლის შემდეგ სისხლის სამართალწარმოება განახლდა, რომელიც პროკურორმა შეწყვიტა ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართ ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის მოტივით. მოგვიანებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიება კვლავ განახლდა. 2005 წელს ერთ-ერთი ბრალდებული დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურების ბრალდებით, მაგრამ გათავისუფლდა პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. მეორე ბრალდებულიც დამნაშავედ ცნო სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებებში გაუპატიურების მცდელობისათვის, ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება შეწყვიტა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

განმცხადებელი ჩიოდა, რომ მის საქმეზე გამოძიება იყო არაეფექტიანი. სასამართლომ დაადგინა, რომ ბულგარეთის ხელისუფლების უმოქმედობა იყო თვითნებობის ზღვარზე, განსაკუთრებით გათვალისწინებული იქნა ფაქტების სიმძიმე და განმცხადებლის ასაკი. სასამართლომ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავეთა ვინაობა იქნა დადგენილი, გაუპატიურების შემთხვევიდან მრავალი წლის გასვლის გამო ძნელია, რომ გამოძიება მიჩნეულ იქნეს ეფექტიანად, რადგან გამოძიების შედეგად შეუძლებელია პასუხისმგებელი პირების სათანადო დასჯა.<sup>27</sup> შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობას.

*M. and others v. Italy and Bulgaria*<sup>28</sup> საქმეზე მომიჩინები, რომლებიც არიან ბულგარეთის მოქალაქეები, ამტკიცებდნენ, რომ იტალიაში სამუშაოს საძებნელად ჩასვლის შემდგომ, მათი ქალიშვილი იარადის მუქარით დააკავეს კერძო პირებმა და მასზე განხორციელდა სექსუალური ძალადო-

ბა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ იტალიის ხელისუფლებამ ვერ შეძლო მოვლენების ადეკვატურად გამოძიება. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ იტალიის ხელისუფლებამ ეფექტიანად არ შეისწავლა განმცხადებლების საჩივრები იმის თაობაზე, რომ მათ შვილს, რომელიც იმ დროს არასრულწლოვანი იყო, არაერთგზის სცემეს და გააუპატიურეს. ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, მისი პროცედურული ვალდებულებების შეუსრულებლობის თვალსაზრისით. კონვენციის მე-3 მუხლი მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ გამოიძიოს არასათანადო მოპყრობის საქმეები. გამოძიების მინიმალური სტანდარტები, რომლებიც განისაზღვრება სასამართლოს პრეცედენტული სამართლით, მოიცავს მოთხოვნებს, რომ გამოძიება იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი, უნდა არსებობდეს საზოგადოების მხრიდან კონტროლის შესაძლებლობა და კომპეტენტური ორგანოები უნდა მოქმედებენ სამაგალითო მონდომებით და ოპერატიულად. გარდა ამისა, იმისთვის, რომ გამოძიება ქმედითად ჩაითვალოს, ხელისუფლებამ უნდა გადადგას ყველა გონივრული ნაბიჯი შემთხვევის შესახებ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რაშიც იგულისხმება, *inter alia*, მსხვერპლის დეტალური განცხადება, თვითმხილველთა ჩვენებები, სასამართლო მტკიცებულებები და, საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი სამედიცინო დასკვნები.<sup>29</sup>

არაეფექტიანი გამოძიების მაგალითია გადაწყვეტილება *W. v. Slovenia*.<sup>30</sup> ის შეეხება სისხლის სამართლის საქმეს მამაკაცთა ჯგუფის წინააღმდეგ, რომლებმაც 18 წლის განმცხადებელი გააუპატიურეს. განმცხადებლის მტკიცებით, სისხლის სამართლის საქმის დიდი ხნით შეფერხებამ გამოიწვია სახელმწიფოს ვალდებულების შეუსრულებლობა, რათა ეფექტიანად დაედგინა მის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართ-

27 იქვე, §66.

28 ECtHR, *M. and others v. Italy and Bulgaria*, no. 40020/03, 2012.

29 იქვე, §100.

30 ECtHR, *W. v. Slovenia*, App no 24125/06, 23 January 2014.

რთლის დანაშაულები. მიუხედავად იმისა, რომ მას გადაეცა კომპენსაცია ეროვნულ დონეზე, ხანგრძლივი პროცესის გამო მიიჩნია, რომ თანხა 5000 ევროს ოდენობით არ შეიძლება მოიაზრობდეს საკმარის ღონისძიებად. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას. კიდევ ერთ-ერთ საქმეზე, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე M.A. and N.D. v. Slovenia (2015) მიიჩნია, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული კუთხით, ვინაიდან გაუპატიურების ფაქტზე სისხლის სამართლის სამართალწარმოების პროცესი ერთ შემთხვევაში, დაახლოებით, 26 წელი მიმდინარეობდა, ხოლო მეორე შემთხვევაში – ცხრა წელზე მეტხანს. ასევე საინტერესოა B.V. v. Belgium (2017) გადაწყვეტილება, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას უკავშირდება, გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ძალადობის ფაქტებზე არაეფექტიანი გამოძების ჩატარების გამო. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ „ყველა საგამოძიებო მოქმედება, რომელიც მას შემდეგ ჩატარდა, რაც მომჩივანმა მოითხოვა მხარის სტატუსით სამართალწარმოების პროცესში ჩართვა, განხორციელდა დაგვიანებით, საქმეზე სიმართლის დადგენის მიზნით თანმიმდევრული საგამოძიებო გეგმის არარსებობის პირობებში. სასამართლოს მოსაზრებით, მსგავს გარემოებებში, გამოძიება ვერ იქნებოდა მიჩნეული სრულყოფილად და საფუძვლიანად ჩატარებულად.“<sup>31</sup>

### 5. ნამება ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მიხედვით

ზიანის ხასიათისა და სიმძიმის გათვალისწინებით გაუპატიურების საქმეებისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია

31 ECtHR, B.V. v. Belgium, App no 61030/08, 2 May 2017 [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3nWG1TA> [წვდომის თარიღი 5 მაისი 2021].

ლია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა. ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, გაუპატიურება მიიჩნევა წამებად, თუ ეს ჩადენილია სახელმწიფო მოხელის მიერ, მაგრამ არაადამიანურ მოპყრობად – თუ ეს ჩადენილია კერძო პირის მიერ.<sup>32</sup> განსხვავება წამებასა და არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას შორის განისაზღვრება ქმედებების სიმწვავის მიხედვით. მომდევნო საქმე ნათლად წარმოაჩინს, რომ გაუპატიურების ერთეული შემთხვევაც კი შეიძლება მიჩნეული იქნეს წამებად და პირიქით, როგორც ეს კვიპროსის<sup>33</sup> საქმეში მოხდა, გაუპატიურების მასობრივი შემთხვევები ევროპულმა სასამართლომ შეიძლება არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობად შეაფასოს.

Aydin v. Turkey<sup>34</sup> არის ევროპული სასამართლოს პირველი გადაწყვეტილება, სადაც თქვა, რომ სახელმწიფო მოხელეების ან სხვა ოფიციალური სტატუსით მოქმედი პირის მიერ ჩადენილი გაუპატიურების აქტი წარმოადგენს წამების ფორმას. ამ გადაწყვეტილებამ შეცვალა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტიტუტების მიდგომები გაუპატიურების და სექსუალური ძალადობის შემთხვევების ინტერპრეტირებისა თუ ბრალდებების სერიოზულობის თვალსაზრისით. ეს ქმედებები მარტივად აღარ მიიჩნევა მხოლოდ ისეთ დანაშაულად, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული კანონმდებლობით, ასეთი ქმედებები არის ადამიანის უფლებების დარღვევა.<sup>35</sup>

განმცხადებელი აღნიშნულ საქმეზე თურქეთის მოქალაქეა. შემთხვევის დროს ის იყო 17 წლის და ცხოვრობდა მშობლებთან ერთად. განმცხადებელი ძალით წაიყვანეს სახლიდან ჟანდარმერიის შტაბში

32 Londono, P., 2010. Rethinking Rape Law, International and Comparative Perspectives. Defining rape under the European Convention on Human Rights, Torture, Consent and Equility. Taylor & Francis e-Library, p. 113.

33 ECtHR, Cyprus v Turkey, App no 25781/94, 10 May 2001.

34 ECtHR, Aydin v. Turkey, App no 57/1996/676/866, 25 September 1997.

35 The Tackling Violence against Women, Aydin v. Turkey. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია <https://bit.ly/2SAIYia> [წვდომის თარიღი 5 მაისი 2021].

და დააშორეს ოჯახს. მას სამ დღეზე მეტი ხნის განმავლობაში სასტიკად სცემდნენ, ის გააშიშვლეს და მაღალი წნევით შეასხურეს ცივი წყლის ქავლი. ამის შემდგომ დაკითხვის ოთახში ის ორჯერ გააუპატიურეს. ამ შემთხვევის შემდგომ, პროკურორის გადაწყვეტილებით, განმცხადებელს რამდენჯერმე ჩაუტარდა „ქალწულობის ტესტი“. ევროპული სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი ჩაუყარა იმ იდეის განვითარებას, რომ ასეთ „ტესტირებას“ არანაირი სამეცნიერო მნიშვნელობა არ გააჩნია და უფრო მეტიც, ის არის დისკრიმინაციული და არღვევს ადამიანის უფლებებს.<sup>36</sup>

პატიმრის გაუპატიურება უნდა ჩაითვალოს არაადამიანური მოპყრობის განსაკუთრებით მძიმე და დასაგმობ ფორმად, რადგან „დამნაშავეს ადვილად შეუძლია გამოიყენოს თავისი მსხვერპლის მოწყვლადობა და წინააღმდეგობის განვითარების დასუსტებული უნარი. გარდა ამისა, გაუპატიურება ტოვებს ღრმა ფსიქოლოგიურ იარებს, რომელთა აღმოფხვრაც ისე სწრაფად არ ექვემდებარება დროის გასვლას, როგორც ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის სხვა ფორმები.“<sup>37</sup>

განმცხადებლის წინააღმდეგ აკუმულირებული განზრახვი ქმედებები განსაკუთრებით დამაშინებელი და დამამცირებელი იყო, რაც მას მუდმივ ფიზიკურ ტკივილსა და ფსიქიკურ ტანჯვას აყენებდა – განსაკუთრებით მხედველობაში მისაღებია განმცხადებლის ასაკი, სქესი და ის გარემოებები, რაშიც ის იმყოფებოდა. სასამართლომ დაადასტურა დაკავებულის გაუპატიურება, როგორც „განსაკუთრებით მძიმე და შეუთავსებელი მოპყრობის ფორმა“. ასევე, აღნიშნა მსხვერპლის ფიზიკური და ემოციური ტანჯვის, ხანგრძლივი ფსიქოლოგიური ტრავმის შესახებ, რომელსაც დაზარალებული განიცდიდა.

წამების უფლების აბსოლუტური ხასიათის გათვალისწინებით, და რომ განსაკუთ-

რებით მოწყვლადნი არიან წამების მსხვერპლნი, ამ უფლებასთან დაკავშირებით არსებულ ნებისმიერ საჩივარზე სახელმწიფოებმა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ საფუძვლიანი და ეფექტიანი გამოძიება, რაც მოიცავს არა მხოლოდ სათანადო მტკიცებულებების შეგროვებას, არამედ დაზარალებულის კომპეტენტურ და დამოუკიდებელ ექსპერტიზას „ყველა სათანადო სენსიტიურობით“.<sup>38</sup> აღნიშნულ საქმეზე ქვეყნის შიგნით უნდა მომხდარიყო მსხვერპლის ფსიქოლოგიური და ემოციური მდგომარეობის შეფასება, დაზიანებების დოკუმენტირება და გამოცდილი სამედიცინო პრაქტიკოსის შეფასება, თუ რამდენად იყო განმცხადებელი გაუპატიურების მსხვერპლი. ამ შემთხვევაში კი, პროკურორის მოთხოვნები სამედიცინო გამოკვლევების ჩატარებაზე, აშკარა იყო, რომ მიზნად არ ისახავდა ზემოაღნიშნულის დადგენას.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია მე-3 მუხლის დარღვევა მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობის, განსაკუთრებით გაუპატიურების გამო, რომელიც წამების ტოლფასია. გარდა ამისა, დაადგინა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლის, ეფექტიანი დაცვის საშუალებების უფლების დარღვევა, საქმეზე ჩატარებული არაეფექტიანი გამოძიების გამო.

Maslova and Nalbandov v. Russia (ECtHR, App no 839/02, 7 July 2008) საქმეზე განმცხადებლები, ოლგა მასლოვა და ფედორ ნალბანდოვი, არიან რუსეთის მოქალაქეები. აღნიშნული საქმე შეეხებოდა მასლოვას განცხადებას, რომ იგი პოლიციელმა და პროკურატურის წარმომადგენლებმა არაერთხელ გააუპატიურეს და სასტიკად მოეპყრნენ და რომ მის ბრალდებებზე გამოძიება არაადეკვატური იყო. მასლოვა, რომელიც მკვლელობის საქმის მოწმე იყო, გამოიძახეს დაკითხვაზე პოლიციის განყოფილებაში. პოლიციელები მას დაემუქრნენ, სცემეს და გააუპატიურეს. როდესაც მისი საქმე გადაეცა პროკურატურის ორგანოებს, დაკითხვის დასრულების შე-

36 იქვე.

37 ECtHR, Aydin v. Turkey, App no 57/1996/676/866, 25 September 1997, §83.

38 იქვე, §107.

მდეგ პროკურატურის თანამშრომლებმა მიიღეს ალკოჰოლური სასმელი და გააუპატიურეს. პირველმა განმცხადებელმა საჩივარი შეიტანა პროკურატურაში, გამოძიება დაუყოვნებლივ დაიწყო და გამოიკითხნენ მოწმეები. მტკიცებულებების შეგროვებისა და ექსპერტიზის დასკვნის შემდგომ, 2000 წლის 25 აპრილს, ოთხ ბრალდებულ ოფიცერს ოფიციალურად წაუყენეს ბრალი. თუმცა სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდებულის გარკვეული უფლებები იყო დარღვეული, კერძოდ, პროკურატურის ოფიცრების წინააღმდეგ სამართალწარმოების სპეციალური პროცედურა არ იყო დაცული. შიდა საპროცესო პროცედურული წესების დარღვევა ნიშნავდა იმას, რომ ყველა შეგროვილი მტკიცებულება დაუშვებლად იქნა ცნობილი. საქმე გადაიგზავნა ახალი გამოძიებისთვის, მაგრამ მოგვიანებით აღარ გაგრძელებულა მტკიცებულებების არარსებობის გამო.

საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2001 წლის 10 ივლისს წარედგინა. სასამართლომ აღნიშნა, რომ არსებობდა შთამბეჭდავი და არაბუნდოვანი მტკიცებულებები მოვლენების დასადასტურებლად პირველი განმცხადებლის ვერსიის მიხედვით. საქმეზე სამართალწარმოების პროცესის დაწყება და ბოლოს შეწყვეტა მიუთითებს იმაზე, რომ მისი ბრალდებები დამატებელი იყო. მტკიცებულებები დაუშვებლად იქნა ცნობილი მხოლოდ პროცედურული ხარვეზების გამო.

პატიმრობაში მყოფი პირის გაუპატიურება სახელმწიფო მოხელის მხრიდან, რომელიც არასათანადო მოპყრობის განსაკუთრებით ამაზრბენ ფორმად მიიჩნევა, რადგან „...დამნაშავეს შეუძლია ისარგებლოს მსხვერპლის მოწყვლადობითა და სისუსტით. ...ამასთან, მსხვერპლი განიცდის ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ძალადობრივი აქტისას, რაც უტოვებს დამცირებისა და ძალადობის განცდას, როგორც ფიზიკურ, ასევე ემოციურ დონეზე.“<sup>39</sup> პირველი განმცხადებლის მიმართ ფიზიკური ძალადო-

ბის აქტების ნაკრები და განსაკუთრებით სასტიკი ქმედება – არაერთი გაუპატიურება – უტოლდება წამებას, კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევით.

### 6. სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება

*O’Keeffe v. Ireland*<sup>40</sup> ეს საქმე ეხებოდა სახელმწიფოს პასუხისმგებლობას 9 წლის ასაკის სკოლის მოსწავლეზე სექსუალურ ძალადობაზე, რომელსაც ახორციელებდა მასწავლებელი ირლანდიის ეროვნულ სკოლაში 1973 წელს. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ირლანდიის სახელმწიფომ ვერ შეძლო ისე მოეწესრიგებინა დაწყებითი განათლების სისტემა, რომ ის ძალადობისგან დაეცვა, აგრეთვე მართლმსაჯულების სისტემამ არასათანადო მოპყრობაზე შესაბამისი რეაგირება არ მოახდინა. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 (არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) და მე-13 მუხლები (ეფექტური დაცვის საშუალება). ირლანდიის სახელმწიფომ განმცხადებელი ვერ დაიცვა სექსუალური ძალადობისგან და განმცხადებელმა ვერ შეძლო ეროვნულ დონეზე მიეღწია სახელმწიფოს მხრიდან ამ მარცხის აღიარებისთვის.

*I.P. v. the Republic of Moldova*<sup>41</sup> საქმეში განმცხადებელი მიუთითებდა, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 და მე-8 მუხლები, ვინაიდან გაუპატიურების თაობაზე არსებულ ბრალდებებთან დაკავშირებით სათანადო გამოძიება არ ჩატარებულია. ამასთანავე, განმცხადებელი ჩიოდა, რომ არ არსებობდა დაცვის ეფექტიანი საშუალებები ისე, როგორც ამას მოითხოვდა კონვენციის მე-13 მუხლი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-13 მუხლის დარღვევა და მიუთითა, რომ გამოძიება

39 ECtHR, *Maslova and Nalbandov v. Russia*, App no 839/02, 7 July 2008, §104-105.

40 ECtHR, *O’Keeffe v. Ireland* [GC], App no 35810/09, 28 January 2014.

41 ECtHR, *I.P. v. the Republic of Moldova*, App no 33708/12, 28 July 2015.

იყო პრობლემური სხვადასხვა მიზეზების გამო. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ საჩივრის მიღებისთანავე გამოძიება არ დაწყებულა, როგორც ჩანს, ბრალდებები საკმარისად სერიოზულად არ მიიჩნიეს. ეს მოხდა თავდაპირველ სამედიცინო დასკვნაში არსებული მითითების მიუხედავად, რომ აპლიკანტის ფიზიკური მდგომარეობა მასზე განხორციელებულ ძალადობასა და გაუპატიურებაზე მიაჩნებოდა. სტრასბურგის სასამართლომ მიუთითა, რომ „განმცხადებლის მიერ გაუპატიურების ბრალდების გარემოებების გამოძიების არაადეკვატურობის გათვალისწინებით, სამოქალაქო სარჩელს იმავე ფაქტებსა და ბრალდებებთან მიმართებით, წარმატების არანაირი პერსპექტივა არ ექნებოდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არის ნაჩვენები, რომ არსებობდა ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც განმცხადებელს შესაძლებლობას მისცემდა, მოეთხოვა კომპენსაცია სავარაუდო გაუპატიურებისთვის“.<sup>42</sup>

## დასკვნა

ამრიგად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია შესაძლოა ინტერპრეტირდეს, როგორც მოთხოვნა იმისა, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული სისხლის სამართლის პოლიტიკა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში – სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია უნდა განიმარტოს და გამოყენებული იქნეს იმ განზრახვით, რომ გაფართოვდეს სისხლის სამართლის ფარგლები. ამ მხრივ საყურადღებოა სტატიაში განხილული ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებით; ასევე – თუ როგორ რეაგირებს სტრასბურგის სასამართლო სქესობრივ დანაშაულებთან დაკავშირებით არსებულ დარღვევებზე და როგორ განმარტავს ამა თუ იმ ქმედებას. საქართველოს საე-

რო სასამართლოების პრაქტიკა ცხადად წარმოაჩინეს იმ პრობლემას, რომელიც მოძველებულ მიდგომებს უკავშირდება სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე აუცილებელია გატარდეს ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში, ასევე, სასამართლოებმა ფუნდამენტურად უნდა შეცვალონ მიდგომები, რათა სამომავლოდ პრაქტიკა დაეფუძნოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს სქესობრივი დანაშაულების თაობაზე.

42 იქვე, §42.



# OBLIGATIONS OF THE GOVERNMENT CONCERNING SEX OFFENCES ACCORDING TO THE EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS CASE-LAW

**Nazi Janezashvili**

*PhD student at the Caucasus School of Law*

**KEYWORDS:** Implemetation, Rape, Investigation

## ABSTRACT

Due to the special importance of the European Convention on Human Rights, the article discusses the judgments of the European Court of Human Rights regarding sexual offences, which establish violations of various rights protected under the Convention. In addition, it is mentioned in the article whether the practice of the national courts complies with the standards of the European Convention on Human Rights.

The approaches of the ECtHR on this issue is very interesting, in particular, on the definition of the crime of rape, nonconsensual sexual intercourse and importance of protection of sexual autonomy. Furthermore, the judgments of the ECtHR related to the sexual offences are discussed, in particular violation of the right to respect for private life. As most of the violations in this category of cases are related to the Article 3 of the European Convention on Human Rights, therefore the case-law of the ECtHR in this regard, especially in terms of the definition of torture and the ineffective investigation is the important component of the present publication. The aim of this article is to demonstrate the main challenges existing in the Georgian criminal law and practice regarding the implementation of the European Convention on Human rights on national level.

## BIBLIOGRAPHY:

1. Lekveishvili, M., Todua, N. and Mamulashvili, G., 2011. Special Part of the Criminal Code of Georgia, fourth edition, Tbilisi: Meridiani.(in Georgian)
2. Brown, V. And others, 2020. Rape & sexual assault. Georgetown Journal of Gender and the Law, 21(2), pp. 367-438. (in English)
3. Mancini, C., Barnes, J. J., Mears, D. P., 2013. It varies from state to state: An examination of sex crime laws nationally. Criminal Justice Policy Review, 24(2), pp. 166-198. (in English)
4. deGuzman, M. M., 2011. Giving priority to sex crime prosecutions: The philosophical foundations of feminist agenda. International Criminal Law Review. (in English)

## Normative Materials:

1. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233> [Accessed 5 May 2021]. (in Georgian)
2. European Convention on Human Rights [Online] available at: [https://www.echr.coe.int/documents/convention\\_eng.pdf](https://www.echr.coe.int/documents/convention_eng.pdf) [Accessed 5 May 2021]. (in English)

## NOTES:

1. Marshall, J., 2009. Personal Freedom Through Human Rights Law? Autonomy, Identity and Integrity under the European Convention on Human Rights. (L. Loucaides, 1990. p. 175). Leiden, Boston: Martinus Nijhoff Publishers, p. 3. (in English)
2. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233> [Accessed 5 May 2021]. (in Georgian)
3. Gegelia, T., Kelenjeridze, I., Jishkariani, B., 2020. Sexual Ofences. Tbilisi: World of Lawyers, p. 22. (in Georgian)
4. Ibid, p. 21.
5. Ibid, P. 22.
6. Judgement of Tbilisi City Court, 2 September 2018 (Case no 1/3986-19). Judgement of Tbilisi City Court, 11 April 2020 (Case no 1/1623-20). (in Georgian)
7. Judgment of Tbilisi City Court, 2 September 2018 (Case no 1/3986-19). (in Georgian)
8. Judgement of Tbilisi City Court, 21 July 2019 (Case no 1/2829-19). (in Georgian)
9. Criminal Code of Georgia. [Online] available at: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=233> [Accessed 5 May 2021]. (in Georgian)
10. Korkelia, K, 2007. Towards the integration of the European standards: the European Convention on Human Rights and the experience of Georgia. Tbilisi: Council of Europe, pp. 6-7. (in Georgian)
11. Korkelia, K, 2004. Application of the European Convention on Human Rights in Georgia. Tbilisi: Council of Europe, p. 11. (in Georgian)
12. Chalmers, J., 2002. How (Not) to Reform the Law of Rape. Edinburgh Law Review, p. 388. (in English)

13. Gegelia, T., Kelenjeridze, I., Jishkariani, B., 2020. Sexual Ofences. Tbilisi: World of Lawyers, p. 29. (in Georgian)
14. Londono, P., 2010. Rethinking Rape Law, International and Comperative Persectives. Defining rape under the European Convention on Human Rights, Torture, Concent and Equility. Taylor & Francis e-Libray. p. 177. (in English)
15. ECtHR, M.C. v. Bulgaria, App no 39272/98, 4 December 2003. (in English)
16. Ibid, §80.
17. Ibid, §156.
18. Ibid, §109.
19. ECtHR, I.G. v. Moldova, App no 53519/07, 13 November 2012. (in English)
20. Ibid, §23.
21. Ibid, §25.
22. Ibid, §29.
23. ECtHR, E.B. v. Romania, App no 49089/10, 19 March 2019. (in English)
24. Ibid, §16.
25. Ibid, §56.
26. ECtHR, P.M. v. Bulgaria, App no 49669/07, 24 January 2012. (in English)
27. Ibid, §66.
28. ECtHR, M. and others v. Italy and Bulgaria, no. 40020/03, 2012. (in English)
29. Ibid, §100.
30. ECtHR, W. v. Slovenia, App no 24125/06, 23 January 2014. (in English)
31. ECtHR, B.V. v. Belgium, App no 61030/08, 2 May 2017 [Online] available at: <https://bit.ly/3nWG1TA> . [Accessed 5 May 2021]. (in English)
32. Londono, P., 2010. Rethinking Rape Law, International and Comperative Persectives. Defining rape under the European Convention on Human Rights, Torture, Concent and Equility. Taylor & Francis e-Libray. p. 113. (in English)
33. ECtHR, Cyprus v Turkey, App no 25781/94, 10 May 2001. (in English)
34. ECtHR, Aydin v. Turkey, App no 57/1996/676/866, 25 September 1997. (in English)
35. The Tackling Violence against Women, Aydin v. Turkey. [Online] available at: <https://bit.ly/2SAIYia> [Accessed 5 May 2021]. (in English)
36. Ibid.
37. ECtHR, Aydin v. Turkey, App no 57/1996/676/866, 25 September 1997, §83. (in English)
38. Ibid, §107.
39. ECtHR, Maslova and Nalbandov v. Russia, App no 839/02, 7 July 2008, §104-105. (in English)
40. ECtHR, O’Keeffe v. Ireland [GC], App no 35810/09, 28 January 2014. (in English)
41. ECtHR, I.P. v. the Republic of Moldova, App no 33708/12, 28 July 2015. (in English)
42. Ibid, §42.

# მედიაცია ადმინისტრაციულ დავებში

## სალომე წურწუმია

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,  
ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ავილირებული  
ასისტენტ-პროფესორი,  
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და  
ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს  
საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის  
მოადგილე

საკვანძო სიტყვები: მედიაცია, ალტერნატიული  
გადაწყვეტა, ადმინისტრაციული დავა

### 1. მედიაციის არსი

მედიაცია მოიხსენიება როგორც „ხელშემწყობი მოლაპარაკება“. ეს არის არასავალდებულო პროცესი, რომელშიც მხარეები ცდილობენ კონსენსუსის მიღწევას მესამე ნეიტრალური მხარის დახმარებით. მედიაცია უფრო არაფორმალური პროცედურაა, ვიდრე სასამართლო დავა და არბიტრაჟი, მისი არასადამსჯელო, კონსენსუალური თვისებების გამო. მედიაცია შეიძლება დაიწყოს ნებისმიერ დროს, როდესაც დავა არ არის გადაწყვეტილი, მათ შორის სარჩელის შეტანამდე ან არბიტრაჟის დაწყებამდე.<sup>1</sup>

2001 წლის 5 სექტემბერს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა რეკომენდაცია 2001(9) „ადმინისტრაციულ ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადაჭრის სასამართლო გარეგნის ალტერნატიულ საშუალებათა შესახებ“ (შემდგომში – რეკომენდაცია).<sup>2</sup> აღნიშნულ

1 Lebovits G., Hidalgo L.R., 2010. Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. Cardozo Journal of Conflict Resolution, no. 2, p.440.

2 Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to

რეკომენდაციაში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა განსაზღვრა საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები და ადმინისტრაციული ორგანოებსა და კერძო პირებს შორის დავის გადასაწყვეტად წევრ სახელმწიფოებს შესთავაზა შიდა გადასინჯვა, მორიგება, მედიაცია, დავის შეთანხმებით მოგვარება და არბიტრაჟი. ამასთან, განისაზღვრა, რომ ალტერნატიულ საშუალებათა მიზანშეწონილობა დავის მიხედვით უნდა განისაზღვროს.<sup>3</sup> რეკომენდაციაში მიეთითა, რომ ზოგიერთი ალტერნატიული საშუალება, როგორც არის შიდა გადასინჯვა, მორიგება, მედიაცია და დავის შეთანხმებით მოგვარება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასამართლო განხილვის დაწყებამდე,<sup>4</sup> ხოლო არბიტრაჟი პრაქტიკულად გამორიცხავს სასამართლო განხილვას.<sup>5</sup>

მედიაცია არის დავის გადაწყვეტის ნებაყოფლობითი არაფორმალური პროცესი, სადაც ნეიტრალური მესამე პირი ეხმარება მხარეებს მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას დავაში. მედიაცია ხშირად გამოიყენება როგორც სასამართლო დავის ალტერნატივა.<sup>6</sup> მედიაცია კონფლიქტების მოგვარების შესანიშნავი საშუალებაა საჯარო სექტორში და მხარეები, რომლებიც ჩართულნი არიან საერთაშორისო ვაჭრობაში, აღიარებენ მის უპირატესობებს მათ დავებში. განასაკუთრებით დიდ, კომპლექსურ დავებში, მედიაცია სულ უფრო ხშირად გამოიყენება როგორც პირველი ნაბიჯი მორიგებისათვის.<sup>7</sup> იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შეუძლებელია მთელი დავის გადაწყვეტა მედიაციით, მხარეები ხშირად აღწევენ შეთანხმებას რამდენიმე ფაქტობრივ და სა-

მართლებრივ გარემოებაზე, რაც ამარტივებს დარჩენილ საკითხებზე სასამართლო ან არბიტრაჟის გადაწყვეტილების მიღებას.<sup>8</sup> რეკომენდაციის შესაბამისად, მედიატორები შეხვედრების შესახებ ყოველ მხარესთან ცალკე ან ერთდროულად უნდა შეთანხმდნენ დავის გადასაჭრელად.<sup>9</sup> მედიატორებს შეუძლიათ ხელისუფლების ადმინისტრაციულ ორგანოებს შესთავაზონ უარი თქვან, გაითხოვონ ან სახე უცვალონ აქტს, მიზანშეწონილობისა და კანონიერების საფუძველზე.<sup>10</sup>

## 2. მედიაციის მაგალითები ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ურთიერთობებში

მედიაციის, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებას ადმინისტრაციულ დავებში შესაძლოა პერსპექტივა ჰქონდეს, თუ მას ექნება სათანადო სამართლებრივი მხარდაჭერა. მაგალითად, იტალიაში მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება დასაშვებია საგადასახადო დავებში და კანონმდებლობა გარკვეული წახალისების მექანიზმსაც ითვალისწინებს, კერძოდ, იტალიაში 20 000 ევრომდე საგადასახადო დავებზე სავალდებულო საგადასახადო ადმინისტრაციაში საჩივრის წარდგენა.<sup>11</sup> მნიშვნელოვანია, რომ იტალიაში საჩივრის წარდგენისას შესაძლოა მედიაციის მოთხოვნაც, რომელიც ცალკე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმია და ამ შემთხვევაში გადა-

member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. www.coe.int

3 იქვე.

4 იქვე.

5 იქვე.

6 Van Winkle K.M., 1997. Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. LBJ Journal of Public Affairs, 9, p.18.

7 Hoellering M.F., 1986. Alternative Dispute Resolution and International Trade. New York University Review of Law & Social Change, vol. 14, no. 3, p.791.

8 იქვე.

9 Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, www.coe.int

10 იქვე.

11 Comba M., Caranta R., 2014. Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg, p.90.

სახადის გადამხდელი იღებს სარგებელს საგადასახადო ჯარიმის 40%-ის შემცირებით და იწყება შეთანხმების პროცედურა საგადასახადო ორგანოსთან.<sup>12</sup>

მედიაცია, როგორც დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმი, შესაძლოა პერსპექტიული აღმოჩნდეს ისეთ ადმინისტრაციულ დავებში, სადაც დავის მხარე მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანო და ერთი კერძო პირია, მაგალითად, სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურების დავები, საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავები. ადმინისტრაციულ დავაში რამდენიმე პირის მონაწილეობამ, შესაძლოა გაართულოს მედიაციის ინსტიტუტის გამოყენება. იმდენად, რამდენადაც შეთანხმების მიღწევას მედიაციის გამოყენებით სჭირდება ყველა მხარის თანხმობა, ხოლო ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილე, თუნდაც ერთი მხარის უარყოფითი პოზიციით მედიაცია შესაძლოა წარუმატებლად დასრულდეს. თუმცა მედიაცია შესაძლოა, პერსპექტიული იყოს შესაბამის ადმინისტრაციულ დარგებში მიუხედავად დავაში მონაწილე პირთა რაოდენობისა, მაგალითად, გარემოს დაცვით, სამშენებლო სფეროში. ამ შემთხვევაში, მედიაციის წარმატება შესაძლოა განაპირობოს დარგში შესაბამისი ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე მედიატორის ჩართულობამ, რომელიც ოპტიმალურ გზას შეარჩევს კონსესუსის მისაღწევად. მაგალითად, გარემოსდაცვით სფეროში პირველად მედიაცია 1970 წელს იქნა გამოყენებული აშშ-ში. კერძოდ, ეს იყო ფორდის ფონდის ექსპერიმენტული პროგრამა, რომელმაც უზრუნველყო ამ პროექტის დაფინანსება. საკითხი ეხებოდა წყალდიდობის მაკონტროლებელი დამბის მოწყობას ვაშინგტონის შტატში მდინარე სნოქვალმიზე, რაზეც უკმაყოფილება გამოხატა რამდენიმე პირმა. კერძოდ, უკმაყოფილებას გამოხატავდნენ გარემოს დამცველები. დამბის მოწყობა მიზნად ისახავდა ახლოს მცხოვრები მოსახლეობის დაცვას. აღნიშნულ დავაში 1973 წელს

12 იქვე, p.97.

მედიატორები ჩაერთვნენ. მედიაციისა და მხარეებთან ორიგანიზებული რამდენიმე შეხვედრის შემდეგ, დავა დასრულდა მორიგებით. აღნიშნული მედიაციის შემდეგ განისაზღვრა, რომ გარემოსდაცვით საკითხებში მედიაცია იყო წარმატებული ნაბიჯი.<sup>13</sup>

გარემოსდაცვით საკითხებში მედიაცია წარმატებით იქნა გამოყენებული აშშ-ში ასევე გედის ტბაზე ჰიდროელექტრო სადგურის დამბის მშენებლობისას წარმოშობილი დავის ფარგლებში, ვაშინგტონიდან სიეტლამდე შიდასახელმწიფოებრივი მაგისტრალის მშენებლობის ფარგლებში გარემოსდაცვით საკითხებზე წარმოშობილი დავის ფარგლებში და სხვა<sup>14</sup>. დღეს აშშ-ში გარემოსდაცვით საკითხებზე აქტიურად იყენებენ მედიაციას, როგორც დავის გადაწყვეტის მექანიზმს. ზემოაღნიშნულ ყველა დავაში მედიაციის დროს წამოჭრილი იყო გარემოსდაცვით სფეროში ტექნიკური არგუმენტები და ჩართულნი იყვნენ გარემოსდაცვის სფეროს მცოდნეები, საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება ალტერნატიულ მეთოდებზე, რაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია დავის მშვიდობიანად გადაწყვეტისათვის. სწორედ სხვადასხვა ალტერნატივების შეთავაზება არის დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის ერთ-ერთი ელემენტი, რაც მის წარმატებას განაპირობებს.

### 3. ადმინისტრაციულ დავებში მედიაციის გამოყენების შესაძლებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

13 Stukenborg Ch., 1994. The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. University of Dayton Law Review, no. 3, p.1310-1312.

14 იქვე, p.1313-1319.

გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი<sup>15</sup>. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აღიარებს სასამართლო მედიაციის ინსტიტუტს.<sup>16</sup> სარჩელის სასამართლოში წარდგენის შემდეგ სასამართლო მედიაციისადმი დაქვემდებარებული საქმე შეიძლება დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების მიზნით მედიატორს გადაეცეს.<sup>17</sup> საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია იმ დავების ჩამონათვალი, რომლებიც შესაძლოა დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციას.<sup>18</sup> მათ შორის კანონი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მედიაციას დაექვემდებაროს ნებისმიერი სხვა დავა – მხარეთა შეთანხმებით<sup>19</sup>. შესაბამისად, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ნებისმიერი ადმინისტრაციული დავა დაექვემდებაროს სასამართლო მედიაციას. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი სასამართლო სისტემის ნაწილია და მასში სასამართლო სისტემის მონაწილეობას ითვალისწინებს. სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი არ არის ინსტიტუციური მედიაცია.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა იძლევა ადმინისტრაციულ დავებში სასამართლო მედიაციის ინსტიტუტის გამოყენების შესაძლებლობას, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ეს ნორმები და, შესაბამისად, დავის გადაცემა მედიატორისათვის, ჭერჭერობით, პრაქტიკულად არასოდეს გამოუყენებიათ<sup>20</sup>. სავარაუდოდ

აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ სასამართლო მედიაციის ინსტიტუტი უკავშირდება სასამართლო სისტემას, ასევე აღნიშნულ ინსტიტუტს უკავშირებენ მხოლოდ სამოქალაქო დავებს და ადმინისტრაციულ დავებში მხარეები არ ცდილობენ სასამართლო მედიაციის გამოყენებას, ვინაიდან ისედაც სასამართლო პროცესში არიან ჩაბმულნი.

მედიაციის, როგორც ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სამართლებრივ სივრცეში დამკვიდრება საჭიროებს სამართლებრივი სისტემის მზაობას. საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შეთანხმებას, რომელშიც გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულებები დავების მედიაციის, მოლაპარაკებისა და არბიტრაჟის მექანიზმებით გადაწყვეტის კუთხით<sup>21</sup>, თუმცა აღნიშნული არ ავალდებულებს სახელმწიფოს, დაამკვიდროს ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები ადმინისტრაციულ დავებში.\*

#### 4. მედიაციის პერსპექტივა ადმინისტრაციულ დავებში

მედიაციის, როგორც ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრება გონივრული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამის ლეგიტიმური საფუძველი და შესაძლებელი იქნება მისი პრაქტიკული გამოყენება. ეფექტური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების მკაფიოდ განხორციელება ამარტივებს

15 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).  
 16 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).  
 17 იქვე.  
 18 იქვე.  
 19 იქვე.  
 20 გეწაძე შ., 2017. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ადმინისტრაციულ დავებში (საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივები). მეორადნდუმის ხელმოწერილი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები, „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არა-

სრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“, თბილისი, გვ. 116.  
 21 ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).  
 \* ვალდებულებები უკავშირდება თავისუფალი ვაჭრობის სფეროსა და ენერჯეტიკის სფეროში დავებს.

მოქალაქეთა ხელმისაწვდომობას მართლმსაჯულებაზე.<sup>22</sup>

მართლმსაჯულების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ყველა საჭიროების განსაზღვრა და საშუალება მისცეს ნებისმიერ ალტერნატივას არაფორმალური პროცედურისათვის, როდესაც არსებობს ორივე მხარის საჭიროება.<sup>23</sup> მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ დავებში დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმის – მედიაციის, დამკვიდრებაზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ გაიცა რეკომენდაცია, ინსტიტუციური დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრება ისევ გამოწვევას წარმოადგენს სახელმწიფოებისათვის. პრაქტიკულად ყველა თანხმდება, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული პროცესი გვთავაზობს დავის მოგვარების უფრო სწრაფ და ეკონომიკურ საშუალებას, ვიდრე ტრადიციული პროცესებია. კერძო სექტორი და სახელმწიფო დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს თეორიულად მიმზიდველად თვლიან, თუმცა მათ ნაკლებად სურთ ამ ტექნიკის გამოყენება იქ, სადაც მეორე მხარეს სამთავრობო უწყება წარმოადგენს.<sup>24</sup>

ალტერნატიული ტექნიკის გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცესებში ვითარდება, მაგრამ არცერთი განსაკუთრებული თეორია არ განვითარებულა, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული ისინი, როგორ უკავშირდება ისინი ტრადიციულ პროცესებს, პროცედურების რა ფორმები უნდა იქნეს გამოყენებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს მხარეთა და ადმინისტრაციულ ორგანოთა დაცვა, რა არის მათი დადებითი და უარყოფითი მხარეები.<sup>25</sup>

22 Ozbek M.S., 2009. Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition, p. 455.

23 Riggs D.A., Dorminey E.K, 1987. Federal Agencies' Use of Alternative Means of Dispute Resolution. Administrative Law Journal, no. 1, p. 130.

24 Smith W.F., 1984. Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. Missouri Journal of Dispute Resolution, p. 21.

25 Harter P.J. 1983. Dispute Resolution and Administrative

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის შესაბამისად რეკომენდირებულია ალტერნატიული საშუალებების გამოყენება დავის დაწყებამდე, რეკომენდაცია ასევე განსაზღვრავს სასამართლოს შესაძლებლობას მიუთითოს მხარეებს ალტერნატიული მექანიზმის გამოყენებაზე. რეკომენდაცია მხოლოდ არბიტრაჟის შემთხვევაში გამორიცხავს სასამართლოს ჩართულობას.<sup>26</sup> მედიაცია სწორედ ის მექანიზმია, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული დავის სასამართლოში დაწყებამდე, თუმცა სასამართლოში დავის დაწყება არ უნდა გამორიცხავდეს ინსტიტუციური მედიაციის გამოყენებას დავის ნებისმიერ ეტაპზე. აღნიშნული დაზოგავს როგორც კერძო პირების, ასევე ადმინისტრაციული ორგანოების დროსა და ხარჯებს. ამასთან, მედიაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია კონფიდენციალურობა, რომელიც ეფექტურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადმინისტრაციული ორგანოებისა და კერძო პირების მიერ, იმ შემთხვევაში, თუ საკითხი თავისი არსით არის სენსიტიური ან თუ საკითხის გადაწყვეტაზე ინფორმაციის გავრცელებამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კერძო პირის ინტერესებზე.

ზოგადად მუდმივი დავები ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სასამართლოებში ადმინისტრაციული კატეგორიის დავების ზრდა უარყოფითად აისახება სახელმწიფო მმართველობის სისტემაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქეთა უკმაყოფილება სასამართლოებში გაზრდილ დავებში აისახება. სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების ზრდით შეიძლება ითქვას, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სამედიაციო საქმიანობა არაეფექტურია, ისინი არ იყენებენ მედიაციის ყველა რესურსს და მოქალაქეებისათვის მათი ინტერესების

Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. Villanova Law Review, 29, p. 1402.

26 Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, www.coe.int



დასაცავად ყველა გზა მხოლოდ სასამართლომდე მიდის. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ ნდობის დაკარგვა, რაც შეუქცევადს გახდის ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობის საკითხს.

უკანასკნელ წლებში სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების რაოდენობა ყოველწლიურად ათასებს აჭარბებს,\* რამაც გამოიწვია სასამართლო სისტემის გადატვირთვა და საქმეთა განხილვის გაჭიანურება. ფაქტობრივად მარტივი ადმინისტრაციული დავებიც კი, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოებში გრძელდება 2-3 წელი. უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს დასრულებულ საქმეზე მხარეთათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარება, რაც იმდენად ხანგრძლივი პროცესია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, მოქალაქემ ეს გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 9-12 თვის შემდეგ.

ადმინისტრაციული დავების განხილვის დროსთან დაკავშირებული პრობლემა უფრო მკაფიოდ ჩანს სოციალური სახის დავებში, როდესაც მაგალითად იხილება პირის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხი. დროსთან დაკავშირებული პრობლემა ასევე გავლენას ახდენს საგადასახადო დავებზე, სახელმწიფოს მხრიდან ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ დავებზე და სხვა დავებზე, რომელთა ფარგლებში სასამართლოს გადაწყვეტილების მიღება დაუყოვნებლივ მნიშვნელოვანია. მსგავსი გაჭიანურებული დავები ვერ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ვინაიდან მოქალაქეებს არ აქვთ შესაძლებლობა „გონივრულ ვადაში“ მიიღონ მართლმსაჯულება, რაც ადამიანის

უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის დარღვევად შეიძლება მივიჩნიოთ.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ, საქმეთა რაოდენობის ზრდის გათვალისწინებით, სასამართლოები ორიენტირებული ხდებიან ტექნიკურ ასპექტებზე და იკარგება მართლმსაჯულების ხარისხი, რაც მოიცავს იმას, რომ სასამართლოები უფრო ნაკლებ დროს უთმობენ რთული კატეგორიის დავებს, რომლებსაც სამართლის განვითარებისათვის შესაძლოა პრეცედენტული მნიშვნელობა ჰქონდეს. ამ შემთხვევაში, სასამართლოები არ ზრუნავენ მყარად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაზე, სამართლის განვითარებაზე, რაც იწვევს საქმეების ზემდგომ ინსტანციაში გასაჩივრების აუცილებლობას.

პრობლემას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოების მიდგომა დავებთან დაკავშირებით, როდესაც ადმინისტრაციული ორგანოები ყველა საკითხს ასაჩივრებენ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში მიუხედავად იმისა, რომ მათ შესაბამისი სამართლებრივი არგუმენტაცია არ გააჩნიათ, რაც იწვევს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოების გადატვირთვასაც. შესაბამისად, ჯამურად ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვას შეიძლება დასჭირდეს დრო – 3-4 წელი და მეტი.

საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციული დავების ზრდის მსგავსი ტენდენცია ხაზს უსვამს მართლმსაჯულების სისტემაში რეფორმის საჭიროებას. მართლმსაჯულების რეფორმა არ მოიცავს მხოლოდ სასამართლო სისტემის რეფორმას, არამედ სახელმწიფომ უნდა იფიქროს სხვა ალტერნატივებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების შემცირებას. მართლმსაჯულების სისტემაზე წვდომა გულისხმობს კონფლიქტების მოგვარების გზების შექმნას, ფორმალურ იურიდიულ სტრუქტურაში სხვადასხვა სტრატეგიების მეშვეობით,<sup>27</sup> ასეთ

\* ადმინისტრაციული დავების მზარდი ტენდენცია ასახულია სტატისტიკურ ანგარიშებში. ამ მიზნით შეგვიძლია გავცნოთ თბილისის საქალაქო სამართლოს სტატისტიკურ ანგარიშს. 2017 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენილ იქნა – 9040 ადმინისტრაციული დავა; 2018 წელს – 8329; 2019 წელს – 10453; 2020 წელს – 8610. იხ. <<https://tcc.court.ge/ka/Statistics>> [07.06.2021]

27 Davis W., Turku H., 2011. Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute

სტრატეგიებად შეგვიძლია განვიხილოთ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების სხვადასხვა ფორმები, მათ შორის, მედიაცია. მედიაცია რთულ შემთხვევებში შეთანხმების მიღწევისა და დავის მშვიდობიანად გადაწყვეტის საშუალება შეიძლება იყოს, ამ შემთხვევაში, მხარეები ისარგებლებენ შესაძლებლობით – დაზოგონ დრო, თანხა და შეინარჩუნონ თანამშრომლური ურთიერთობა. მაგალითად, საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სასამართლოებში არსებული დავები ძირითადად უკავშირდება პირის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და აღდგენის მოთხოვნებს, ასევე, პირისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს. აღნიშნული წარმოადგენს ისეთ საკითხებს, რომელიც უნდა გადაწყდეს უმოკლეს ვადებში. გაჭიანურებული სასამართლო პროცესები ზრდის საჯარო დაწესებულების ხარჯს, რადგანაც პირის მოთხოვნის ოთხი წლის შემდეგ დაკმაყოფილების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებას უწევს ამ ოთხი წლის ხარჯის ანაზღაურება. მედიაცია აქტიურად გამოიყენება შრომით დავებში და აღნიშნული ანალოგიით ის საჯარო სამსახურის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის ფარგლებშიც შესაძლოა აქტიურად იქნეს გამოყენებული. საჯარო სამსახურთან დაკავშირებული დავების განხილვა მედიაციის მექანიზმით გამართლებული უნდა იყოს ასევე კონფიდენციალურობის პრინციპით, რადგანაც, ამ შემთხვევაში განხილვის საგანია პირის პირადი ინფორმაცია, რაც კანონმდებლობით დაცვის ღირსი ინფორმაციაა. სასამართლოში აღნიშნული საქმეების განხილვა გამოირიცხავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას. შესაბამისად, ამ დარგისათვის მედიაცია უფრო მოქნილი და ეფექტური იქნება, თუ იარსებებს მხარეთა შეთანხმება.

სასამართლოებში ადმინისტრაციული დავების შემცირების მიზნით, უნდა შეიქმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც გაითვალისწინებს ევროპის საბჭოს მინისტრ-

თა კომიტეტის რეკომენდაციას დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვაზე, ვინაიდან დღეს, სახელმწიფოს წინაშე, ამის რეალობად ქცევის აუცილებლობა დგას. ამ შემთხვევაში, ინსტიტუციური მედიაციის დანერგვა კანონმდებლობაში სათანადო ცვლილების გარეშე შეუძლებელია. მედიაციის მექანიზმის ადმინისტრაციულ დავებში დამკვიდრება შეიძლება იყოს ხელშემწყობი ბერკეტი სასამართლოების გადატვირთულობის გამოწვევის შესამცირებლად.

მნიშვნელოვანია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაში განსაზღვრული დავის გადაწყვეტის ყველა ალტერნატიული მექანიზმი შესაძლოა არ საჭიროებდეს ინსტიტუციურ რეგლამენტაციას კანონმდებლობაში, თუმცა, კანონმდებლობა უნდა ავალდებულებდეს ადმინისტრაციულ ორგანოებს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმების გამოყენებას. ამასთან, ისეთი მექანიზმი, როგორც არის მედიაცია, საჭიროებს ინსტიტუციურ რეგლამენტაციას იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ პროცესში მონაწილეობენ სხვა მესამე ნეიტრალური პირები და მხარეთა მოლაპარაკების უნარებზე არ არის დამოკიდებული მოლაპარაკება/მორიგება.

ადმინისტრაციულ დავებში მედიაციის მექანიზმების გამოყენებას სიფრთხილითა და სკეპტიციზმით შეიძლება შეხვდნენ ადმინისტრაციული ორგანოები, რაც თავიდანვე საჭიროებს გარკვეული სახის რეგლამენტაციას. კერძოდ, უნდა იქნეს გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს წაახალისებს, გამოიყენონ მედიაცია დავების მოსაგვარებლად. ასეთი მექანიზმი შეიძლება იყოს მედიაციისათვის მიმართვის დავალდებულება სასამართლოს მიერ, თუმცა აღნიშნული რეგლამენტირებულ უნდა იქნეს საკანონმდებლო დონეზე, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ მიიღოს გადაწყვეტილება ინსტიტუციური მედიაციის გამოყენებაზე.

ადმინისტრაციულ დავებში დავის გა-

დაწყვეტის მედიაციის, როგორც ალტერნატიული მექანიზმების დამკვიდრება საჭიროებს აღნიშნული მექანიზმის დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასებას, იმისთვის, რომ დამკვიდრებული მექანიზმი იყოს ეფექტური და ადმინისტრაციულ ორგანოებს გაუჩინოს მოტივაცია, დავები მშვიდობიანი გზით დაასრულონ. დავა არ არის გამოსავალი და არც სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა არის საჭირო ყველა საკითხზე. საკითხები, რომლებიც მედიაციის გამოყენებით შეიძლება გადაწყვიტონ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, არ უნდა იქცეს სასამართლოს დარბაზში მსჯელობის საგნად. თუმცა, ახალი ინსტიტუციების დამკვიდრება მოითხოვს სიფრთხილეს, დროს, სწავლებას, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, რომელიც ახალი მექანიზმების თანმდევი პროცესია.

# MEDIATION IN ADMINISTRATIVE DISPUTES

## Salome Tsurtsunia

*PhD Student of Tbilisi State University,  
Affiliated Assistant Professor of the European  
University,  
Deputy Chairperson of Roads Department of Georgia  
under the Ministry of Regional Development and  
Infrastructure of Georgia*

**KEYWORDS:** Mediation, Alternative Dispute Resolution,  
Administrative Dispute

## ABSTRACT

The role of mediation as mechanism for the amicable settlement of disputes is growing in the modern legal sector. Mediation is an alternative dispute resolution mechanism in modern law, and the Committee of Ministers of the Council of Europe recommended to use it in administrative disputes in 2001\*. Mediation as the alternative dispute resolution mechanism is actively applied in civil disputes in Georgian legal sector, although it has not gained popularity in administrative disputes.

Overwhelmed courts with administrative disputes and delayed justice once again underscores the need for reform, which may consider development of a new program to establish new mechanisms in administrative disputes and popularize application of new mechanisms.

The use of mediation as an alternative dispute resolution mechanism in administrative-legal proceedings may have prospects, given

---

\* find. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. Official Website: [www.coe.int](http://www.coe.int).

its growing popularity in civil disputes and the methodology for resolving disputes amicably, although this requires judicial/legislative readiness. The goal of the study is to consider the

perspective and possibility of using mediation in administrative disputes in order to demonstrate the need to use mediation as a mechanism.

#### BIBLIOGRAPHY:

1. Administrative Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
2. Civil Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
3. Association Agreement between Georgia, on the one hand, and the European Union and the European Atomic Energy Community, on the other, and their Member States, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
4. Getsadze Sh., 2017. Alternative Dispute Resolution in Administrative Disputes (Experience of Foreign Countries and Perspectives of Georgia). "Proceedings of the International Conference of Judges" Associations on Judicial Performance, Judicial Mediation and Juvenile Justice, Tbilisi. (In Georgian)
5. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. Official Website: [www.coe.int](http://www.coe.int). (In English)
6. Comba M., Caranta R., 2014. Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg. (In English)
7. Davis W., Turku H., 2011. Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute Resolution, no. 1. (In English)
8. Harter P.J. 1983. Dispute Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. Villanova Law Review, 29. (In English)

#### ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).
3. ასოციაციების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ოფიციალური ვებ-გვერდი: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge).
4. გენაძე შ., 2017. დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები ადმინისტრაციულ დავებში (საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს პერსპექტივები). მემორანდუმის ხელმოწერილი ქვეყნების მოსამართლეთა ასოციაციების საერთაშორისო კონფერენციის მასალები, „მოსამართლეთა საქმიანობის შეფასების, სასამართლო მედიაციისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებზე“, თბილისი.
5. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. Official Website: [www.coe.int](http://www.coe.int)
6. Comba M., Caranta R., 2014. Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). Administrative Dispute Resolution in European Administrative Law, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg.
7. Davis W., Turku H., 2011. Access to Justice and Alternative Dispute Resolution. Journal of Dispute Resolution, no. 1.

9. Hoellering M.F. 1986. Alternative Dispute Resolution and International Trade. New York University Review of Law & Social Change, vol. 14, no. 3. (In English)
10. Lebovits G., Hidalgo L.R., 2010. Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. Cardozo Journal of Conflict Resolution, no. 2. (In English)
11. Ozbek M.S., 2009. Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition. (In English)
12. Riggs D.A., Dorminey E.K, 1987. Federal Agencies' Use of Alternative Means of Dispute Resolution. Administrative Law Journal, no. 1. (In English)
13. Smith W.F., 1984. Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. Missouri Journal of Dispute Resolution. (In English)
14. Stukenborg Ch., 1994. The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. University of Dayton Law Review, no. 3. (In English)
15. Van Winkle K.M. 1997. Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. LBJ Journal of Public Affairs, 9. (In English)
8. Harter P.J. 1983. Dispute Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. Villanova Law Review, 29.
9. Hoellering M.F. 1986. Alternative Dispute Resolution and International Trade. New York University Review of Law & Social Change, vol. 14, no. 3.
10. Lebovits G., Hidalgo L.R., 2010. Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. Cardozo Journal of Conflict Resolution, no. 2.
11. Ozbek M.S., 2009. Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi 11, no. Special Edition.
12. Riggs D.A., Dorminey E.K, 1987. Federal Agencies' Use of Alternative Means of Dispute Resolution. Administrative Law Journal, no. 1.
13. Smith W.F., 1984. Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. Missouri Journal of Dispute Resolution.
14. Stukenborg Ch., 1994. The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. University of Dayton Law Review, no. 3.
15. Van Winkle K.M. 1997. Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. LBJ Journal of Public Affairs, 9.

## NOTES:

1. Lebovits G., Hidalgo L.R., 2010. Alternative Dispute Resolution in Real Estate Matters: The New York Experience. Cardozo Journal of Conflict Resolution, no. 2, p.440. (In English)
2. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. www.coe.int (In English)
3. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. www.coe.int (In English)
4. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. www.coe.int (In English)
5. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001. www.coe.int (In English)
6. Van Winkle K.M., 1997. Alternative Dispute Resolution: Approaches for Public Policy. LBJ Journal of Public Affairs, 9, p.18. (In English)
7. Hoellering M.F., 1986. Alternative Dispute Resolution and International Trade. New York University Review of Law & Social Change, vol. 14, no. 3, p.791. (In English)
8. Hoellering M.F., 1986. Alternative Dispute Resolution and International Trade. New York University Review of Law & Social Change,

- vol. 14, no. 3, p.791. (In English)
9. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, [www.coe.int](http://www.coe.int) (In English)
  10. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, [www.coe.int](http://www.coe.int) (In English)
  11. Comba M., Caranta R., 2014. Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). *Administrative Dispute Resolution in European Administrative Law*, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg, p.90. (In English)
  12. Comba M., Caranta R., 2014. Administrative Appels in the Italian Law: On the Brink of Extinction or Might They Be Saved (and Are They Worth Saiving). *Administrative Dispute Resolution in European Administrative Law*, Editors Dragos D.C., Neamatu B., Springer-Verlag Berlin Heidelberg, p.97. (In English)
  13. Stukenborg Ch., 1994. The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. *University of Dayton Law Review*, no. 3, p.1310-1312. (In English)
  14. Stukenborg Ch., 1994. The Proper Rule of Alternative Dispute Resolution (ADR) in Environmental Conflicts. *University of Dayton Law Review*, no. 3, p.1313-1319. (In English)
  15. Administrative Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
  16. Civil Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
  17. Civil Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
  18. Civil Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
  19. Civil Procedure Code of Georgia, Legislative Herald of Georgia, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
  20. Getsadze Sh., 2017. Alternative Dispute Resolution in Administrative Disputes (Experience of Foreign Countries and Perspectives of Georgia). "Proceedings of the International Conference of Judges' Associations on Judicial Performance, Judicial Mediation and Juvenile Justice, Tbilisi. (In Georgian)
  21. Association Agreement between Georgia, on the one hand, and the European Union and the European Atomic Energy Community, on the other, and their Member States, *Legislative Herald of Georgia*, Official Website: [www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge). (In Georgian)
  22. Ozbek M.S., 2009. Report on Alternative Dispute Resolution within the Context of Better Access to Justice. *Dokuz Eylul Universitesi Hukuk Fakultesi Dergisi* 11, no. Special Edition, p. 455. (In English)
  23. Riggs D.A., Dorminey E.K, 1987. Federal Agencies' Use of Alternative Means of Dispute Resolution. *Administrative Law Journal*, no. 1, p. 130. (In English)
  24. Smith W.F., 1984. Alternative Means of Dispute Resolution: Practices and Possibilities in the Federal Government. *Missouri Journal of Dispute Resolution*, p. 21. (In English)
  25. Harter P.J. 1983. Dispute Resolution and Administrative Law: The History, Needs, and Future of a Complex Relationship. *Villanova Law Review*, 29, p. 1402. (In English)
  26. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe to member states on alternatives to litigation between administrative authorities and private parties, Rec(2001)9, 5 September 2001, [www.coe.int](http://www.coe.int). (In English)
  27. Davis W., Turku H., 2011. Access to Justice and Alternative Dispute Resolution. *Journal of Dispute Resolution*, no. 1. p.50. (In English)

ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ  
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: [www.lawandworld.ge](http://www.lawandworld.ge)  
ელ. ფოსტა: [info@lawandworld.ge](mailto:info@lawandworld.ge)  
მისამართი: გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141  
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 952 024

---

The online version of the journal is available on the website:  
[www.lawandworld.ge](http://www.lawandworld.ge)  
E-mail: [info@lawandworld.ge](mailto:info@lawandworld.ge)  
Address: 76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141  
Phone: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 952 024